საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# ცისკარი

1134
2021

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 3 ლარი



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

ჩიმამანდა ნგოზი ადიჩი

## ამერიკანა

2021
4 (296)

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


კრიტიკა 1 ნუცა ბათიაშვილი | ამერიკანა

თარგმანი 6 ჯოის ქეროლ ოუტსი | ჰოსპისი / თაფლობის თვე
*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

8 გრემ სვიფტი | სიწითლე
*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა*

15 ჟან ანუი | მედეა
*ფრანგულიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა*

პროზა 30 მარი ბექაური | მდუმარე იყო წყნეთის ქუჩა, ნაღვლიანი

33 ანი კილაძე | ასიმბიოზი

36 ქეთევან მეფარიძე | ტეო ოტეოს უთვალთვალებენ

პოეზია 39 შოთა იათაშვილი

43 თემურ ჩხეტიანი

დიალოგი 47 ფილიპ როთის ინტერვიუ პრიმო ლევისთან
*იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა*


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო
რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი
ბალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge
AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
ჟურნალი გამოიცემა
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის
მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცა ბათიაშვილი

# ამერიკანა






**ჩიმამანდა ნგოზი ადიჩი, "ამერიკანა"**
**მთარგმნელი: ეკატერინე მაჩიტიძე"**
**გამომცემლობა პალიტრა L, 2021**

რაზეა ეს წიგნი? - ეკითხება იფემელუს ერთი უმნიშვნელო პერსონაჟი. იფემელუს ისედაც ნერვები აქვს აშლილი, იმიტომ, რომ თვითკმაყოფილი ამერიკელის სნობიზმითა და ზედაპირული ინტელექტუალიზმით გაჯერებულ საუბარს ისმენს და წიგნის კითხვით ცდილობს თავი აარიდოს ბუტაფორიულ ინტერაქციას. ეს უსაგნო კითხვა კიდევ უფრო ნერვებს უშლის. გეგონება, წიგნი მხოლოდ ერთ რამეზე უნდა იყოს - გულში ჯაჯღანებს.

ჩიმამანდა ნგოზი ადიჩის 2013 წლის რომანი, რომლის მთავარი პერსონაჟიც იფემელუა, ნამდვილად არ არის ერთ რამეზე და არც სიად ჩამოიწერება ყველაფერი, რაზეც არის ეს წიგნი. ერთი იმიტომ, რომ სიებს თანმიმდევრობა აქვთ - თითო-თითოდ და ცალ-ცალკე ჩამოწერილი საგნების თანმიმდევრობა. ამ წიგნს კიდევ აქვს ერთდროულობა და მრავალხმიანობა, როგორც მთავარი თვისება, რომელიც მისი ლიტერატურული ქსოვილის და ესთეტიკური მგრძნობელობის მსაზღვრელია.

ამიტომ მე ვერ გეტყვით რაზეა ეს წიგნი და ვერც თანმიმდევრულად მოგითხრობთ იფემელუს ამბავს. განა ამბად არ მოიყოლება. უბრალოდ, ხანდახან ტექსტის არსს ვრცელ მონათხრობზე უკეთ ერთი სცენა ან ერთი აბზაცი გადმოსცემს. ისევე, როგორც ჩვენს თავს გადამხდარს, ზოგჯერ ყველაზე უკეთ "სქრინშოთი" იტევს.

მეც ასე დავიწყებ - ერთი სცენით და მერე თქვენ გადაწყვიტეთ, რაზეა ეს წიგნი.

## აფრიკელი ქალის თმის ოდისეა

ბევრი სხვა რეცენზია გეტყვით, რომ ეს წიგნი რასიზმზეა ან სამშობლოს მოწყვეტილი აფრიკელი ქალის ნოსტალგიაზე, ან ორი ემიგრანტი ნიგერიელის სიყვარულზე. კი, ყველაფერ ამაზეა, მაგრამ ეს აღწერები დაახლოებით ისევე მწირად პასუხობს კითხვას, როგორც "ოდისეაზე" რომ თქვა, ეს "წიგნი" კაცზეა, რომელიც მოგზაურობს და ბოლოს ცოლთან ბრუნდება სახლში. ტყუილი არ იქნება, მაგრამ მეტი არც არაფერი.

ამერიკანაც ოდისეაა - ნიგერიელი ქალის ოდი-

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეა ამერიკაში და უკან. ოღონდ ის დაბრუნებით ინყება; დაბრუნების გადაწყვეტილებით, უფრო სწორად და იმის გააზრებით, რომ ამერიკიდან ბოლომდე ველარასდროს ბრუნდები უკან; რომ დაბრუნებულიც სამუდამოდ "ამერიკანა" ხარ. და ეს "ა" პრივილეგიაცაა და სირცხვილიც. ეს "ა" უთავბოლო იდენტობის შფოთის სუფიქსია, რომელთან კონფრონტაციას უფრო მეტი პრივილეგია და პრივილეგიის სირცხვილი მოაქვს.

ოდისევსისგან განსხვავებით, ერთადერთი სხეულებრივი განსაცდელი, რომელიც იფემელუსთვის ამ გადაწყვეტილებასა და დაბრუნებას შორისაა, უთვალავსაათიანი თმის პროცედურაა.

აქ, პრინსტონიდან მოშორებულ თმის სალონში, იშლება აფრო-ამერიკელი ქალის დრამა, რომელიც მის ვარცხნილობაში თამაშდება. სალონის სცენა, სიუჟეტურად, ალბათ, ყველაზე მარგინალური ეპიზოდია რომანის. ის ფიზიკური სივრცეც კი, რომელსაც სალონი იკავებს, ურბანული ლანდშაფტის ლიმინალურ ველშია გაჩხერილი, სხვადასხვა კულტურებსა და დროებს შორის გამოკიდული. ამიტომ აქ დროს ბევრად მეტი შინაარსი აქვს ვიდრე სხვაგან. "რამდენი ხანია ამერიკაში ხარ?" - ამ მარტივ კითხვაზე პასუხიც კი პრივილეგიისა და კულტურული კაპიტალისადმი მგრძნობელობით არის გაბიდნული. აფრიკელ იმიგრანტებში სერიოზულად რომ აღგიქვან, ორ წელზე მეტი უნდა ცხოვრობდე ამერიკაში. ამიტომ იფემელუს პასუხი, ყოველთვის ცოტათი აცდენილია სინამდვილეს - ყოველთვის ცოტა მეტი დროა საჭირო; ხუთის მაგივრად რვა, რვის ნაცვლად ათი; ახლა კი, როცა უკვე ცამეტი წელი იცხოვრა ამერიკაში, ტყუილი აღარ იყო საჭირო, მაგრამ მაინც თხუთმეტი უთხრა დალაქს.

სალონი, სადაც სხვადასხვა უბნელი შავკანიანი ქალები თმას მტკივნეული პროცედურით ისწორებენ, მთავარი ალეგორიაა იმ მდგომარეობის აღსაწერად, როცა ადამიანი სხვადასხვა დროებსა და სივრცეებს შორის იმყოფება, იქამდე სანამ ძველ ცხოვრებას მიატოვებს და ახალს დაიწყებს. და ეს მდგომარეობა ყველგან და ყოველთვის საკუთარ სხეულთან და ტკივილებთან კონფრონტაციას გულისხმობს.

თმის ვარცხნა, რაც ძალიან პირობითადაა იმის სახელი, რასაც ჩიმამანდა ნგოზი ადიჩი აღწერს, ყველაზე ცენტრალური და ყველაზე გრძელი სცენაა ამ წიგნის, რომელიც თავისთავად და შეგრძნებების დონეზე გვასწავლის რაღაცას თეთრ სამყაროში შავკანიანთა გამოცდილების შესახებ. ეს გამოცდილება ერთნაირია იფემელუსნაირი პრივილეგირებული პრინსტონის სტუდენტისთვისა და სხვა, არაფრით გამორჩეული აფრო-ამერიკელებისთვის, რომელთაც ამ პერიფერიულ სალონში ვხვდებით. თმა სიუჟეტური მოტივიცაა და ჩუმი მინიშნებაც ყველა იმ წნეხზე, რასაც რასობრივი წესრიგით დალარული სამყარო განაცდევინებს შავკანიან ქალს.

ეს უთქმელი კრიტიკა ამავე დროს არის სიუჟეტური წებო, რომელიც კრავს რომანს. ადიჩის ტექსტი ისეთნაირადაა აგებული, რომ იფემელუს თმის დაუსრულებელ გაბურდვასა და წნაში არის ჩავარცხნილი მისი ცხოვრების ყველა სხვა სცენასა და ეპიზოდზე რემინისცენცია. ძალიან არაპრუსტისეული ანამნეზია, რომელიც ნიგერიაში დაბრუნებამდე, ყოველთვის ერთ წერტილში ბრუნდება - მტკივნეულ თმაში.

## სიყვარული და დიალოგური ცნობიერება

იფემელუს და ობინზეს ბავშვობიდან უყვართ ერთმანეთი. ამათი სიყვარულის ამბავი ისევე იწყება და მთავრდება, როგორც ბევრი სხვა, მაგრამ ადიჩი რაღაცნაირად ახერხებს ამ უთავბოლო განცდის უნივერსალურობა და განუმეორებლობაც ნახევარფრაზებში ისე გადმოსცეს, რომ თან გეხმიანებოდეს, როგორც ყველაზე ნაცნობი და ამავე დროს ყველაზე არაბანალური რამე: "რაღაც უცნაური მოხდა. აჩქარება [იფემელუს] შიგნით, დათენება." ეს მწერლობისთვის საშიში ზღვარია ბანალურსა და რეზონანსულს შორის. მაგრამ ადიჩი კი არ ეკეკლუცება ამ ბანალურს, პირდაპირ თავზე გახლის, ირონიული ობერტონით, ისე რომ საკუთარივე სნობიზმის შეგრცხვეს კაცს. და ამიტომ ადიჩის განსაკუთრებული მწერლობა შეიძლება ყველაზე კარგად აქ ჩანს - სიყვარულისადმი სითამამეში, ამ გატრივიალურებული თემის ლიტერატურული ფობიისგან გამოხსნაში. იფემელუს და ობინზეს სიყვარული ამ რომანის ნარატიული ქვაკუთხედიცაა და მთავარი მორალური სენტიმენტიც.

***"მართლაც ასეა, რომ კაცის გამო მუცელი შეიძლება დაგეჭიმოს და აღარ განიკვანძოს, შენი სხეულის სახსრები ანჯამებიდან ამოვარდეს, კიდურები ველარ აყვეს მუსიკას და ყველანაირი აქამდე ძალდაუტანებელი რამ დაპლაგვდეს..."***

მათი სიყვარული უბრალოდ განცდა ან მიმართება კი არაა ორ სხეულს შორის, რომლებიც სხვადასხვა სივრცეს იკავებს, არამედ ცნობიერების ფორმაა - უსასრულოდ დიალოგური და ერთდროული ცნობიერების. პირველად რომ მიეყრდნობა ობინზეს, მაშინვე იგრძნობს იმას, რასაც მერე სულ გრძნობს მასთან: თვითკმარობას. ობინზეს თვალით იფემელუს საკუთარი თავი მოსწონს, საკუთარი კანი სწორი ზომის ეჩვენება.

თვითკმარობასთან ერთად სიყვარულს მოაქვს რაღაც სრულიად საპირისპიროც: ვარდნა ან უფრო კარგვა, როგორც საკუთარი თავის ახლიდან წაკითხვის ერთადერთი ჭეშმარიტი წინაპირობა. იფემელუსაც ასე მოსდის: ობინზესთან მას შეუძლია ისეთი იყოს, როგორიც სინამდვილეში არის, მაგრამ ამავე დროს უკვე აღარ იცის, ეს "ნამდვილი მე" რა არის იმიტომ, რომ მისი თვითობის ფუნდამენტში კვანტური ნაწილაკივით იპარება "სხვა", როგორც ცნობიერების ალტერნატიული ცენტრი და ამ ორი ცენტრის ერთდროულობა ისეთივეა, როგორც ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობის პრინციპი. ამის მერე ცნობიერება მხოლოდ უსასრულო დიალოგად გვეძლევა და არა მონოლითურ ღერძად.

დიალოგური მაშინაა ცნობიერება, როცა მის ძირში დევს "სხვა" და საკუთარ თავად ყოფნა უკვე ყოველთვის გულისხმობს ამ სხვასა და მე-ს ერთდროულობას. დაახლოებით ისეა, როცა საჭმელს გემოს უსინჯავ და ამ გემოს იმის პირითაც განიცდი, ვინც გვერდზე გინდა რომ გყავდეს. როცა გიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარს, ეს თანადროულობა უბრალოდ სურვილად კი არ გეძლევა, არამედ შეუძლებლობად, რომ ამ "სხვის" გარეშე განიცადო საერთოდ რამის გემო. ასეა ობინზეც. როცა მისი თვალით ვეცნობით ნიგერიულ ელიტას, იფემელუ იმ პერცეპტული აპარატის ნაწილია, რომლითაც ობინზე აღიქვამს ამ სამყაროსაც და საკუთარ ცხოვრებასაც; მათ შორის, საკუთარ ცხოვრებასთან შეუთავსებლობასაც.

***"ახლა ეს იყო [ობინზე], ისეთი ნიგერიელი, რომელსაც აეროპორტში ბევრი ფული ჰქონდა დასადეკლარირებელი. ეს გ ზააბენული სიუცხოვის განცდას უქმნიდა იმიტომ, რომ მისი გონება იმავე სიჩქარით არ შეიცვალა, როგორც მისი ცხოვრება და ის გრძნობდა ცარიელ სივრცეს საკუთარ თავსა და იმას შორის, რაც უნდა ყოფილიყო".***

ამ "რაც უნდა ყოფილიყოს" განუყოფელი ნაწილია იფემელუ. იფემელუ ობინზეს მიმართების ობიექტი კი არაა, არამედ ობინზეს ცნობიერების უტყვი, უხილავი მოწმეა. იქაა მაშინაც, როცა იქ არ არის. ობინზეს თვითკრიტიკული მგრძნობელობის სენსორია. მათი ცნობიერებების უსასრულო დიალოგიზმში თამაშდება არა მხოლოდ სიყვარულის დრამა, არამედ ის ეთნოგრაფიული ველიც, რომელშიც ორი კონტინენტის შფოთებია განთავსებული.

ადიჩის რომანი, ისევე როგორც ბევრი სხვა არაჩვეულებრივი ისტორია, გვაჩვენებს, რომ "სხვა" შეიძლება არსებობდეს როგორც მე-ს ცნობიერების ჰორიზონტი, მისი მუდმივი ადრესატი და ათვლის წერტილიც. როგორც დიალოგის გამოჩენილი ფილოსოფოსი მარტინ ბუბერი ამბობს, ასეთი არსებობა ყოველთვის გულისხმობს "მე-შენ" მიმართებას, სადაც "შენ" უჩემოდ ვერ "იშენებს" და პირიქით: "როცა მე ვხდები მე, მე ვამბობ შენ. ყველანაირი ჭეშმარიტი არსებობა შეხვედრაა" (I become through my relation to the *Thou*; as I become *I*, I say *Thou*. All real living is meeting" (Martin Buber, I and Thou). ვინც უნდა იყოს "შენ" - როგორი კონკრეტულიც ან როგორი აბსტრაქტულიც, აბსოლუტური თუ ფარდობითი - მე-შენ მიმართება გულისხმობს დიალოგს და შინაგან დიალოგურობას ცნობიერების განხორციელებისთვის.

ამ ცნობიერების კარნავალის ფონად, რითაც ობინზესა და იფემელუს ურთიერთობა აღიწერება, სხვანაირი სიყვარულის ხატებსაც ქმნის ადიჩი. მაგალითად დეიდა უჯუსა და გენერლის რომანი, ისეთი ურთიერთობის არქეტიპს ათამაშებს, რომელიც დიალოგური ცნობიერების ნაცვლად ადამიანს ისე გარდაქმნის, რომ საკუთარი თავის ხატს აეინყებინებს. "ნეტა დეიდა უჯუ თუ ხედავდა საკუთარ თავს იმ გოგოს თვალებით, რომელიც თვითონ იყო ოდესღაც - ფიქრობდა იფემელუ". ადიჩის ამ ერთ ფრაზაში განისჯება ურთიერთობის ან მიმიკრიული გარდასახვის ყველა ის ფორმა, რომელშიც საკუთარ თავს მხოლოდ ერთი დროითი წერტილიდან ხედავ, უფრო სწორად, როცა საკუთარ თავს შენს მიღმა ხილვადობის ველიდან საერთოდ ველარ ხედავ. როცა "მესთან" მიმართებას შთანთქავს რაღაცაზე მიშტერება და ეს რაღაცა სუბიექტური "სხვაც" არაა, უბრალოდ ობიექტია ფეტიშის.

მიხაილ ბახტინს (რუსი მოაზროვნე, რომლის სახელიც, ალბათ, ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება დიალოგიზმის ცნებას) აქვს ერთი ჩანაწერი, "ადამიანი სარკესთან". ჩანაწერი კი არა ნაჯღაბნი უნდა ყოფილიყო, რადგან ერთი სრული წინადადება არაა შიგნით, მაგრამ ერთიზე ბევრად მეტი სრული აზრია ცნობიერების იმ მდგომარეობაზე, როცა გარე ხედვის წერტილი არ გააჩნია ადამიანს საკუთარ თავზე, როცა არ არსებობს მთლიანობა სხვასა და მე-ს შორის. აქ "სხვა" მართლა "სხვაა" - უცხო სხეული, ინსტრუმენტი ან უბრალოდ გარემოცვა, რომელიც საკუთარ შინაგან მორალთან "ხალტურაზე" წასვლისთვის დროს და სივრცეს ავსებს. მარტინ ბუბერი ეგეთ გასაგნებულ "სხვასთან" მიმართებას ეძახის მე-ის (I-it) ურთიერთობას, როცა "ის" მე-ს საზღვრებს მიღმა საგნობს, მასთან შეხებაში კი არ მოდის, კი არ განსაზღვრავს, უბრალოდ ზღურბლს ქმნის "მე-ს" დახშული მონოლოგიზმისთვის. ის მხოლოდ გაუცხოებული საგანია - არა-მე - თავის ქრონოტოპული განზომილებით.

იფემელუს ოდისეაში რეალიზდება ერთგვარი ფილოსოფიური პრინციპი, რომელიც, მიხაილ ბახტინის ენაზე თუ ვიტყვით, გვეუბნება, რომ "თვითობა" ფარდობითი ფენომენია და არა აბსოლუტური - დიალოგური დინამიზმია ურთიერთობისა თავად "მე-სა" და "სხვას" შორის და, ამასთანავე, ეს მე-სხვა ერთდროულია, როგორც შროდინგერის კატის სიკვდილ-სიცოცხლე. ანუ ადამიანის ცნობიერება იმთავითვე გულისხმობს სიმრავლეს მის აღქმაში, თვითაღქმაში, ფიქრში და ხმებში. ოღონდ არა კაკოფონიურ არამედ დიალოგურ სიმრავლეს "სხვა" ხმებისა.

## ფემინისტი ფემინიზმის გარეშე

"ყველას ცოტათი ეშინოდა მისი და თან ყველა ცოტათი შეყვარებული იყო მასზე"

იფემელუს პერსონაჟში - მის სიყვარულში, მის დიალოგურ ცნობიერებაში - ყველაზე არაორდინალურად ხორციელდება ადიჩის ფემინისტური პროექტი.

არაორდინალურად იმიტომ, რომ მისი და მისი პერსონაჟის ფემინისტური იდენტობა არც ერთხელ პირდაპირ არ არის გახმოვანებული. ამით ადიჩი კონფრონტაციულობას კი არ ართმევს ფემინიზმს, პირიქით კიდევ უფრო აღრმავებს მას, ზუსტად იმით, რომ ფემინურ სტოიციზმს დისკურსს მიღმა ათავსებს.

ერთგან ასე აღწერს ადიჩი იფემელუს:

***"ბოლო-ბოლო ის ისეთი ქალი იყო, რომელიც კაცს საკუთარ ცხოვრებას ადვილად ამოაძირკვინებდა, ისეთი ქალი, რომელიც ზუსტად იმიტომ, რომ არც ელოდა და არც ითხოვდა განსაზღვრულობას, გარკვეულ უსათუობას შესაძლებელს ხდიდა".***

იფემელუს ფემინისტური ძალაუფლება ყველაზე მეტად იმაში მჟღავნდება, რანაირადაც უყვარს ობინზე და რანაირადაც განაგებს საკუთარ თავს ამ სიყვარულთან ერთად.

ქალი პერსონაჟები განსაკუთრებულად მკაფიო ხატებს ქმნიან, მაშინაც კი, როცა მათი ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ხასიათი ნახევარ გვერდშია დატეული. რაც მთავარია, ადიჩი ახერხებს, რომ ამ ქალების ცნობიერება გვეძლეოდეს არა ობიექტად, არამედ აღქმის წერტილად, რომელშიც მხილებულია ყოფიერება ან ხმად, რომელშიც ისმინება სამყარო.

მაგალითად ობინზეს დედაც ასეთი პერსონაჟია. მისი ფემინური ძალაუფლება მის შვილშიც ან უფრო მისი შვილის სიყვარულისა და ქალისადმი დამოკიდებულების უნარშიც არის განსხეულებული: ***"ის სასიამოვნო და პირდაპირი იყო, თბილიც კი, მაგრამ რაღაცნაირი განმარტოება იგრძნობოდა მასში, თავშეკავება, რომ საკუთარი თავი გაეშიშვლებინა სამყაროსთვის... მან თავის შვილს გადასცა უნარი იმისა, რომ ბრბოში ყოფნის დროსაც კი, რაღაცნაირად კომფორტულად ყოფილიყო საკუთარი თავის შიგნით".***

ხანდახან შეიძლება იფიქრო, რომ ადიჩის ქალების გალერეა ჯეინ ოსტინის სულსაა დადევნებული.

## მრავალხმიანობა და ორი კონტინენტის ეთნოგრაფია

ადიჩის მწერლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირსება მისი ეთნოგრაფიული სიღრმე და ნიუანსურობაა. მისი გმირების სამეტყველო ჟანრში, ენობრივ რეგისტრებში და ხასიათში აღიწერება ორი კონტინენტის - ამერიკის და აფრიკის - კულტურული თავისებურებები და პოლიტიკური შფოთები. ამ ერთდროულ აღწერაში მჟღავნდება ცენტრისა და პერიფერიის, იმპერიისა და კოლონიის დაუძლეველი დიქოტომიურობა, მათი ასინქრონულობაც და გარდაუვალი ლტოლვაც, რომლითაც პოსტკოლონიური სივრცე მიემართება დასავლურ სამყაროს.

"იცით ეს სიმღერა "არავინ იცის ხვალინდელი დღე"? (No One knows Tomorrow)... ეგ არის ერთადერთი პრინციპი, რომელზეც დაფუძნებულია ეს ქვეყანა. მთავარი პრინციპი. არავინ იცის ხვალინდელი დღე. გახსოვთ ის დიდი ბანკირები აბაჩას მთავრობის დროს? მათ ეგონათ, რომ ეს ქვეყანა მათი იყო, და მერე უცებ ციხეში აღმოჩნდნენ."

არასტაბილურობა ყოფიერების ერთადერთი მდგრადი პრინციპია, რომლითაც განისაზღვრება ნიგერიისნაირი პერიფერია ან საქართველოსნაირი იმპერიის მიჯნა. ერთდროული ღელვა და სიდინჯე, რომლითაც ადამიანები არამდგრადობას ეგუებიან, ისევე ნაცნობად ჟღერს, როგორც მუდმივი მოლოდინი, რომ ერთხელაც რაღაც "გვეშველება."

როდესაც იფემელუ ნიგერიაში დაბრუნებას გადაწყვეტს, მას ეტყვიან, რომ ლაგოსი სავსეა ამერიკიდან დაბრუნებულებით. *მათ ყოველ დღე ხედავ, ხელში წყლის ბოთლით, გეგონება მოკვდებიან ყოველ წამს თუ წყალი არ სვეს.* ადიჩის ამ მოკლე აკორდში ისმინება ხმათა სიმრავლე, რომლითაც ხასიათდება განვითარებულობაზე და "ჩამორჩენილობის" კომპლექსზე დისკურსები.

ასეთი ნახევარაკორდებით, ამერიკანას პოლიფონიურობა ავლენს იმ ზღვრულ მიმართებას ალტაცებასა და მიუღებლობას შორის, რომლითაც დატვირთულია კოლონიური ცნობიერება, თავისი დადევნებული ფანტაზიებით იმაზე, რაც არ გააჩნია, რისგანაც არის განძარცვული; წყლის ბოთლებისგან, მათ შორის.

იფემელუს ხმა და ცნობიერება არის ის სარკე, რომელშიც ირეკლება ამ სამყაროების კონტრასტი. ეს კონტრასტი თავისთავადი, ნახევრადარტიკულირებული კრიტიკაა არა მხოლოდ ნორმატიული დასავლური დისკურსების, არამედ ამ ნორმატიულის გადამლაშებული კრიტიკისაც, რომელშიც კიდევ ერთხელ მჟღავნდება დასავლური ინფანტილიზმიც და ქედმაღლობაც.

ადიჩის ტექსტში ხანდახან სრულიად ტრივიალური რამე ხდება ამ ეპოქალური კონტრასტის და ქედმაღლობის სამხილიც. მაგალითად ის გაოგნება, რომლითაც აფრიკელი (ან ნებისმიერი) იმიგრანტი ისმენს სავაჭრო მოლებისადმი გაცხარებულ კრიტიკას. მათთვის, ვისთვისაც სტაბილურობა დეფიციტი და ნანატრი რესურსია, სრულიად გაუგებარია, რა პრობლემაა, რომ მოლები ყველგან ერთნაირია. ეს ერთფეროვნება ზოგისთვის კომფორტის წყაროა.

იფემელუს ირონიული პოსტი ამერიკელების ჩაცმის კულტურაზე კიდევ ერთი ასეთი მაგალითია დამიწებული კრიტიკის: "ჩაცმაზე რომ მიდგება საქმე, ამერიკული კულტურა იმდენად თვითკმარია, რომ არათუ უგულებელყო თვითპრეზენტაციის ეტიკეტი, არამედ ეს უგულებელყოფა ღირსებად აქცია. "ჩვენ ზედმეტად ზემდგომი/დაკავებული/ქულ/გახსნილი ვართ იმისთვის, რომ ვიდარდოთ სხვა ხალხისთვის როგორ გამოვიყურებით, ამიტომ შეგვიძლია პიჟამოებით ვიაროთ სკოლებში და ტრუსებით მოლებში."

იფემელუ ყოველთვის ერთდროულად გაუცხოებული და გაშინაურებული ნიგერიელი ან ამერიკელია. ის თავად არის ორი კონტინენტის ყოფიერების კონტრაპუნქტა. ნიგერიაში ამერიკელი და ამერიკაში ნიგერიელი იფემელუსთვის ირონიულობა არსებობის მთავარი ინსტრუმენტია. ეს ერთდროული გაუცხოება და გაშინაურება, მის ცნობიერებას თავისთავად აქცევს პოლიფონიურ, დიალოგურ კონდიციად, რომლის საშუალებითაც ყოველთვის, სულ მცირე, ორ ხმაში და ორი პერსპექტივიდან აღიქმება სამყარო. იფემელუს ნარატივის ეთნოგრაფიული სიღრმეც ამ ერთდროულობის პროდუქტია. ეთნოგრაფებიც ყოველთვის ასე ორი გაუმთელებელი - უცხოსა და შინაურის - პრიზმიდან ხედავენ სხვის კულტურას და საკუთარსაც.

ნიგერიელი ტაქსისტები (ქართველი ტაქსისტებივით) დარწმუნებული არიან, რომ ისინი სინამდვილეში ტაქსისტები არ არიან. იფემელუ მათ თავს არიდებს იმიტომ, რომ თუ აქცენტი იცნეს, მაშინვე იწყებენ იმაზე ლაპარაკს, რამდენი მაგისტრის ხარისხი აქვთ, მათი შვილი სად და როგორ სწავლობს ან, სულაც, ჩუმდებიან და გულში წინასწარ იმკიან წყენას, რომ ეს გოგო მათ ზევიდან უყურებს.

ერთგან წერს მიხაილ ბახტინი, რომ ყველა ჭეშმარიტი რომანი არის "ენების, სტილის, კონკრეტული ცნობიერებების რეპრეზენტაციის დიალოგური სისტემა, [სადაც] ენა არა მხოლოდ წარადგენს რამეს, არამედ თავად არის წარმოჩენის საგანი. რომანის თხრობა ყოველთვის თვითკრიტიკულია, [რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გან] ნამდვილ რომანში ყოველი გამონათქვამის უკან იგრძნობა სოციალური (კულტურული) ენების ბუნება, მათი შინაგანი ლოგიკითა და აუცილებლობებით." ენის კარნავალური სიმრავლე ყველაზე განსაკუთრებული თვისებაა ადიჩის რომანის. ყოველი ცენტრალური თუ პერიფერიული პერსონაჟი საკუთარი მეტყველებითი ჟანრით განასხეულებს კონკრეტულ ცნობიერებას, რომლის უკან სხვადასხვა სოციუმი, კულტურული სივრცე და დისკურსული დროა. ამ მრავალხმიანობაში ხორციელდება ადიჩის ან უფრო მისი პერსონაჟების თვითშემეცნებაც და თვითკრიტიკაც.

## ამერიკან-აჰ

ამ წიგნის ირონია და ეთნოგრაფიული მრავალხმიანობა სათაურშივეა განხორციელებული. ამერიკან-ას ერთ ზედმეტ მარცვალში (ორიგინალში Americanah) თავსდება მთელი კონტინენტის ხმა, მთელი ჯაჭვი დისკურსების, კრიტიკების, კულტურული და გეოპოლიტიკური შფოთების; შფოთების ნიგერიაზე და აფრიკაზე, კარგ და ცუდ ამერიკაზე, ამერიკანიზაციაზე და ამერიკანიზებულ ნიგერიელებზე.

"ეს სიტყვა "ამერიკანა", საზეიმოდ შემკობილი, მეოთხე გაგრძელებული მარცვლით" მინიშნებაა იმათზე, ვინც ამერიკიდან უცნაური მიდრეკილებებით ბრუნდება, თავს იკატუნებს, რომ ადგილობრივი ენა აღარ ესმის და ჩაყლაპულ "რ-ს" უმატებს ყველა ინგლისურ სიტყვას.

უფრო მეტად კი, ეს ნაგრძელებელი მარცვალი მინიშნებაა იმ ერთდროულ გაუცხოებასა და ლტოლვაზე, რომლითაც კოლონია მიემართება მეტროპოლისს, იმ შეფარულ ლტოლვებზე, რომლებშიც ხერხდება "ევროპის გაპროვინციულება" (Chakrabarty, 2000). "ა" ირონიული თავსართია, როგორც უკანასკნელი ინსტრუმენტი იმ ასიმეტრიასთან გასამკლავებლად, რომლითაც ხასიათდება პოსტკოლონიური სამყაროს წესრიგი. ამ ერთ მარცვალში ისმინება და ხორციელდება ამერიკანას უკიდეგანო პოლიფონიურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯოის ქეროლ ოუტსი

# ჰოსპისი / თაფლობის თვე

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



"ჰოსპისი!"

ამ სიტყვის წარმოთქმისთანავე მიწა იძვრის. ამას ყველა გრძნობს.

ისე შეუმჩნევლად იძვრის, თითქოს დედამიწა ძალზე მოკლე ძაფივით წინ და უკან მოძრაობს ნემსის ყუნწში.

ასეთ დროს თვით ჰაერიც კი ცივი და გაიშვიათებულია.

თვალებში გიბნელდებათ. შემდეგ ეს ბნელი დავიწროებას იწყებს და მალე იმდენად ცოტა სინათლე რჩება, რომ პეშვშიც კი ჩაეტევა. შემდეგ ის ქრება.

როდესაც ამბობენ "ჰოსპისი", ეს იმას ნიშნავს, რომ *იმედი გადაწურულია.*

*იმედი გადაწურულია.* ეს ორი სიტყვა ბილწია, უთქმელი. როდესაც იმედი აღარ რჩება, მომავალიც აღარ არსებობს.

იმის აღიარება, რომ მომავალი აღარ არსებობს, ნიშნავს, რომ ფარ-ხმალი დაყარე.

და ამიტომ როდესაც სიტყვას "ჰოსპისი" გაუბედავად, ფრთხილად ამბობს ექიმი, რომელიც პალიატიურ დახმარებას გიწევთ, არც ერთ თქვენგანს არ ესმის ის. ან, თუ გესმით, ვერ აცნობიერებთ, რომ გესმით.

მხოლოდ ოდნავ გასაგონი ზუზუნი გაისმის - მხოლოდ მაღვიძარას შორეული წიკწიკი დარაბებდახურულ ოთახში. ესაა და ეს.

და თუ ეს სიტყვები არ გესმის, შესაძლოა, ისინი (ჯერ კიდევ) არ თქმულა.

და თუ არც ერთ თქვენგანს არ ესმის, შესაძლოა, ისინი (არასოდეს) ითქმება.

მაგრამ რატომღაც ისე ხდება, რომ სიტყვა "ჰოსპისი" ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო ხშირად ითქმის.

და რატომღაც ისე ხდება, რომ შენი ქმარი გაოცებით ლაპარაკობს "სიცოცხლის ბოლო დღეების" შესახებ. მაგალითად, "ეს, ალბათ, ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებია".

ერთ დილას, ძალიან ადრე, ამ სიტყვებს რაღაცნაირი კრძალვით ამბობს, როდესაც, საავადმყოფოდან (ონკოლოგის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე) გირეკავს.

ამ სიტყვებს ტელეფონით გეუბნება, რომ არ დაინახოს შენი სახე. შენ კი - მისი.

ეს კრძალვა იმ ოდინდელ კრძალვას წააგავს და ისევე, როგორც მაშინ, შენი. ქმარი ცდილობს გითხრას, რომ უყვარხარ.

ზოგიერთისთვის ასეთი სიტყვების წარმოთქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელია,

მაგრამ შენმა ქმარმა ეს შეძლო და შენც შეძელი გეთქვა: *მიყვარხარ.*

ახლა, წლების შემდეგ, ის ამბობს: "მგონი, ეს ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებია".

ეს სიტყვები ტელეფონში გარკვევით გესმის, თუმცა ცდილობ თავი დაარწმუნო იმაში, რომ ისინი არ გაგიგონია, არა!

მაგრამ შენ გაიგონე ეს სიტყვები. ალბათ, გაიგონე, რადგან თავბრუ გესხმის, ძრწი, მუხლები გეკვეთება, შეშინებული ბავშვივით იჩოქებ და ჩურჩულებ: "რაო? რა თქვი? რა სისულელეა! ამას ნუ ამბობ! "ბოლო დღეები" რას ნიშნავს?

უკვე ყვირი. ლამისაა, ტელეფონის ყურმილი მოისროლო.

ამის ატანა შეუძლებელია. ამის წარმოდგენა შეუძლებელია. ჯერ კიდევ არ იცი, რომ წინ უზარმაზარი არარა გელოდება, და კიდევ ბევრი რამ, რისი ატანაც შეუძლებელია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერს აიტან.

რადგან ამ გზაზე გადასადგმელ ყოველ ნაბიჯს მედგრად ეწინააღმდეგები.

ეს გზა ციცაბო აღმართზე ადის. ბუნებრივია, რომ არ გსურს მასზე ასვლა. ან, თუკი მაინც ადიხარ, თავს იმით ინუგეშებ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. გზის ბოლოს ზეგანია, ვაკე. მალე მიხვალთ იქ. მალე.

იმ დღემდე, იმ წუთამდე - შეიძლება თვითონვე ახსენო ჰოსპისი.

თავდაპირველად ბორძიკით, გაუბედავად ამბობ ამ სიტყვას. გეჩვენება, რომ ყელში ბურთი გაგეჩხირა.

თანდათან მიეჩვევი ამ სამი მარცვლის გარკვევით წარმოთქმას: "ჰოს-პი-სი".

მალე ძალდაუტანებლად წარმოთქვამ: "ჩვენი ჰოსპისი".

და, თითქოს ღვთის წინაშე აღთქმას დებდე, საკუთარ თავს შეჰფიცავ:

*ვფიცავ, ჩვენს ჰოსპისს თაფლობის თვედ ვაქცევ.*

*ვფიცავ, ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩემი ქმარი ბედნიერად გრძნობდეს თავს; რომ ორივენი ბედნიერნი ვიყოთ.*

*შეძლებისდაგვარად შევუსრულებ ყველა სურვილს.*

*უპირველეს ყოვლისა, შევუქმნი სასიამოვნო გარემოს. ონკოლოგიურ ცენტრში არ დავაწვენ. ჩვენი ჰოსპისი ჩვენსავე სახლში იქნება, რომელიც მას უყვარს.*

*ატრიუმი - დილის მზის შუქით განათებული.*

*ჰორიზონტი - ჩვენი სახლის გარემომცველი ხეები.*

*სკულპტურული ღრუბლების ფლოტილიები.*

*ჩემს ქმარი დივანზე წამოწვება და დაინახავს ხეებსა და ცას. ზურგს უკან ბალიშებს ამოიდებს; ფეხებს, რომლებზეც თბილი წინდები ეცმევა, ოდნავ მაღლა დააწყობს.*

*მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ჩემი ქმარი დაწვება საავადმყოფოდან ქირით წამოღებულ საწოლზე, ფანჯრის მახლობლად. გვერდით მივუწვები, ისე, როგორც საავადმყოფოში ვიქცეოდი.*

*ერთმანეთს ხელებს ჩავჭიდებთ. რასაკვირველია, ჩავჭიდებთ. მისი ხელები ჯერ კიდევ თბილია და ძლიერი.*

*როდესაც ვაკოცებ, ყოველთვის მაკოცებს საპასუხოდ.*

*ჩემი ქმრის გვერდით დავიძინებ; ხელს მოვუჭერ მის ხელს, რომელიც უკვე საკმაოდ ულონოა; მიუხედავად ამისა, საპასუხოდ ისე მიჭერს თითებს, თითქოს ძლიერი, ღონიერი იყოს.*

*ფანჯრის მიღმა, წითელი ხის ტერასაზე ჩიტებს საკენკს ვუყრი. არა ჩვეულებრივ საკენკს, არამედ უფრო ძვირად ღირებულს, რომელსაც ჩემი ქმარი ყიდულობს ხოლმე.*

*რა საინტერესოა ჩიტებზე დაკვირვება. დრო არ მენანება, ყურადღებით დავაკვირდები ერთხელ მაინც...*

*ჩემს ქმარს მუსიკა უყვარს! ყველაზე ლამაზ მუსიკას მოვასმენინებ! საწოლზე მის გვერდით დავწვები, მოვეხვევი და ერთად მოვუსმენთ ბეთჰოვენის "ოდას სიხარულისადმი", რახმანინოვის "მწუხრის ლოცვას".*

*მასთან ერთად დავიძინებ ხოლმე. დღისითაც კი. თვით დღის მკრთალ შუქზეც. თავს ბალიშზე დავდებ მისი თავის გვერდით.*

*ერთად დავათვალიერებთ წიგნებს ხელოვნების შესახებ, საუკეთესო ფოტოგრაფების - ბრიუს დევიდსონის, ედვარდ უესტონის, დიანა არბუსის ალბომებს. ნელა გადავაბრუნებ ფურცლებს. ერთად დავტკბებით ამ შესანიშნავ ფოტოხელოვანთა ნამუშევრებით.*

*მე-19 საუკუნის დასაწყისის ოჯახური ფოტოსურათები. ძველი ალბომები. მისი წინაპრები, რომლებმაც თავი დააღწიეს გეტოს და სამშობლოდან გადაიხვეწნენ. წინაპრებით ახლახან დაინტერესდა.*

*მისი საყვარელი კერძები... ვეცდები, დავუმზადო.*

*შესაძლოა, მადაც დაუბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, ჩემ მიერ დამზადებულ საჭმელს მადიანად შეექცევა.*

*რა თქმა უნდა, ჩვენი ოჯახის წევრები გვეწვევიან. შვილები, შვილიშვილები. ნათესავები, მეგობრები. კოლეგები უნივერსიტეტიდან. მეზობლები. ორმოცდაათი წელია, გიმნაზიელი მეგობრები არ უნახავს. საუკეთესო სიურპრიზებს მოვუმზადებ..*

*არა, უბრალოდ, ჰოსპისი, არამედ - ჩვენი ჰოსპისი. არა სევდიანი, არამედ - ხალისიანი დრო, თაფლობის თვე.*

*ბედნიერნი ვიქნებით საკუთარ სახლში. ორივენი.*

*ორივესთვის "ბოლო დღეები" თაფლობის თვედ გადაიქცევა. ვფიცავ.*

*სინამდვილეში არაფერი მსგავსი არ მოხდება. ეს ხომ წარმოუდგენელია.*

*იქნება ჰოსპისი, მაგრამ არ იქნება თაფლობის თვე.*

**The New Yorker**
**30 ივლისი, 2020**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრემ სვიფტი

# სინითლე

*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა*



ექიმმა კოულმა მანქანა გარაჟიდან გამოიყვანა. შემდეგ შეჩერდა, უკანა ხედვის სარკეს თვალი შეავლო და დაინახა, რომ გარაჟის კარი ნელა დაეშვა ძირს, მის თავზე მოციმციმე ნათურა კი ჩაქრა. ოდესღაც ეს სანახაობა კოულს უაზრო კმაყოფილებას ანიჭებდა, ახლა კი თითქოს ეთხოვებოდა აქაურობას. მანქანა ძვირადღირებული და მყუდრო იყო, სახლი - ვეება, სოლიდური, მდელოებითა და ხეებით გარშემორტყმული, ისეთივე, როგორც სხვა სახლები ამ დაცულ ტერიტორიაზე.

როდესაც კოულმა მანქანა დაძრა, სიჩუმე ძრავის ბუყბუყმა და ხრეშის ტკაცუნმა დაარღვია. მართალია, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, მაგრამ მანქანაში მათი ხმები არ ისმოდა. აპრილის დილა იყო. ექვსი საათი. აქ რვა საათზეც კი საოცარი სიჩუმე სუფევდა ხოლმე, მხოლოდ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ ხმამაღლა, ისე, თითქოს განზრახ ძალას ატანდნენ საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ჩიტების ჭიკჭიკი ხმამაღლა გაისმოდა მხოლოდ ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში. ერთი საათის წინ კოული ჯერ კიდევ ლოგინში იწვა და ამ ხმებით ტკბებოდა. ამ ხმებით ტკბებოდა მარტოხელა მამაკაცი ვეება სახლში.

დილას გზები, თვით მთავარი გზებიც კი, უკაცრიელი იქნება. რვა საათზე ისეთივე უკაცრიელნი იქნებიან. ქალაქი-მოჩვენებააო, ხშირად ფიქრობდა ექიმი კოული, როდესაც მანქანით მგზავრობდა. მოჩვენებითი სამყარო. საავადმყოფოში, ალბათ, თხუთმეტ წუთში მივიდოდა. ჩვეულებრივ - როდის იქნება, რომ სიტყვა "ჩვეულებრივ" აღარ თქვან? - ამ გზის გავლას ორმოცდახუთ წუთს ანდომებდა.

როდესაც ეზო გადაიარა და მანქანა გზაზე გაიყვანა, ფარების შუქზე დაინახა, როგორ გაირბინა მელიამ. ერთხელ ექვსი მელია დაითვალა. ჩიტები და მელიები. ძველი სამყარო.

მგზავრობისას არა მარტო მელიებს ითვლიდა, არამედ ფიქრობდა კიდეც. უფრო ზუსტად, უნებურად წარმოუდგებოდა მოგონებათა წყება. მოჩვენებები. კოული დარწმუნდა, რომ როდესაც ვბერდებით, ყველაზე ნათლად წარმოგვიდგება ადრეული მოგონებები, უფრო გვიანდელი ამბები კი ბუნდოვნად გვახსენდება.

უფრო გვიანდელი ამბები ასეთი იყო: ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწინება, ერთი განქორწინება, უშვილობა. მეორე ქორწინება გაცილებით უფრო დიდ ხანს გაგრძელდა, ვიდრე - პირველი. მეორე ცოლი მისი ერთადერთი სიყვარული იყო - ამაში კოულს ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ ქალი უკვე თითქმის ორი წლის წინ გარდაიცვალა (ეს კოულის უდიდესი დანაკარგი იყო). ის გარდაიცვალა ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც კოული პენსიაზე გავიდა. წლების განმავლობაში ისინი ერთად იწვნენ იმ საწოლში, რომელშიც კოული ახლა მარტო იწვა ხოლმე. რიჟრაჟზე ფრინველების ჭიკჭიკს უსმენდნენ. ერთხელ ქალმა ალერსით უთხრა ქმარს: "რა კარგია, რომ ახლა დილაობით არსად გეჩქარება". ისე უთხრა, თითქოს გვერდიგვერდ წოლა და ჩიტების ჭიკჭიკით ტკბობა უდიდესი ჯილდო იყო, რაც პენსიაზე გასვლამ მოუტანა მათ. მართლაც ასე იყო.

უკაცრიელი გზების მიუხედავად ან სწორედ ამ მიზეზით კოული ახლა უფრო ადრე გადიოდა ხოლმე სახლიდან, ვიდრე საჭირო იყო. ასე რომ, შეეძლო განზრახ შეენელებინა მანქანის სვლა, შორიდანაც კი მოევლო, რათა მოგონებების ნაკადისთვის ხელი არ შეეშალა. ეს იყო მოგონებები და არა აზრები. მისი გონება, უბრალოდ, ამ მოგონებებით ივსებოდა და ფეთქავდა, როდესაც მანქანა გზაზე მიჰყავდა. ბუნდოვან სიამოვნებას ანიჭებდა გზის მშვიდობიანობა, რაც მოგონებებში ჩაფლობის საშუალებას აძლევდა. ეს სიტყვაც მოაგონდა. "მშვიდობიანობა". გარკვეული ხნის შემდეგ ხომ ბრძოლის ველზე უნდა გასულიყო.

კოული სამსახურში დაბრუნდა. განა შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო? სამოცდათორმეტი წლის პენსიონერი გახლდათ. მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო? რესპირატორული დაავადებების სპეციალისტი იყო. დედამისის სიკვდილის შემდეგ მალევე გავიდა პენსიაზე. დედა ოთხმოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. ათწლეულების წინ, ქმართან განქორწინების შედეგ, სწორედ დედამ მოინდომა, რომ კოული ექიმი გამხდარიყო. შვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია და გახდა არა უბრალოდ ექიმი, არამედ საუკეთესო სპეციალისტიც თავის სფეროში. ასე რომ, კოულმა ხორცი შეასხა დედამისის ოცნებას და გადააჭარბა კიდეც.

წამყვანი სპეციალისტი იყო მედიცინის სფეროში, მაგრამ დედის გადარჩენა ვერ შეძლო. ვერც ცოლის. ორი წლის განმავლობაში ორივე ხელიდან გამოეცალა. კოულის ცხოვრების მთავარი ქალები.

სამსახურში დაბრუნდა. სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო? ისე დაბრუნდა, თითქოს თადარიგში დათხოვნილი მუშაკი იყო, რომელიც კვლავ გაიწვიეს სამსახურში. რა თქმა უნდა, კოლეგები ძალზე გაახარა კოულის დაბრუნებამ, მაგრამ რა უნდა გაეწყო მას ამდენი ავადმყოფით, ამდენი მომაკვდავით გადაჭედილ საავადმყოფოში? შესაძლებელი იყო - და ეს კოულს კარგად ესმოდა - რომ ამ სენის მსხვერპლი თვითონაც გამხდარიყო. ამას ყველა ხვდებოდა. არც ერთი მათგანი არ იყო დაზღვეული ამ მომაკვდინებელი სენისგან.

მაგრამ არავინ იცოდა - რადგან კოულს ყოველთვის შეუვალი გამომეტყველება ჰქონდა და მბრძანებლურად იქცეოდა - რომ მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა საავადმყოფოში დაბრუნება. როგორც იტყვიან ხოლმე, "მუშაობას გულს აყოლებდა". ბოლოს და ბოლოს, კვლავ საქმიანობდა. გვიან ღამით შინისკენ მიემგზავრებოდა და იძინებდა. მადლობა ღმერთს, დაძინების უნარი არ დაუკარგავს. მაგრამ მხოლოდ დილაობით (როდესაც საავადმყოფოში მიემგზავრებოდა) გრძნობდა, რომ უბრუნდებოდა სიცოცხლე, - საიდანღაც, სასწაულებრივი შორეთიდან. სხვა დროს კი ეჩვენებოდა, რომ ყოველივე უკვე დამთავრდა ან მალე შეიძლებოდა დამთავრებულიყო.

დილაობით, როდესაც საჭეზე ხელები ეწყო, ბავშვობა ახსენდებოდა და თვითონაც ბავშვად იქცეოდა ხოლმე. ათი წლის ბავშვად.

ივნისის ერთ საღამოს ათი წლის კოული ლოგინში იწვა. ავად იყო. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი დედა დროდადრო ეფერებოდა ბავშვის საბნით დაფარულ ფეხს ან ხელს. თუმცა შვილი ავად ჰყავდა, მაგრამ დედას სახეზე მღელვარება არ ეტყობოდა. ხალისიანი და მხიარული გამომეტყველება ჰქონდა.

დედა, ალბათ, ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. მის მსგავსად, მისტერ ჰენდერსონიც, რომელიც ექიმი იყო და, მაშასადამე, სერიოზული გამომეტყველება უნდა ჰქონოდა, მაინც იღიმებოდა. საერთოდ, როდესაც კოულების ოჯახს სტუმრობდა, ექიმს ყოველთვის ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა. იმ დროს ექიმები "ვიზიტით სტუმრობდნენ" ხოლმე პაციენტებს. კოულს თვალნათლივ წარმოუდგა კარებში მდგომი, უმეტესად ზამთრის შავ პალტოში გამოწყობილი ექიმი, სამედიცინო ჩანთით ხელში. მას ყოველთვის ცივი ჰაერის ტალღა შემოჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ ექიმი შემოსვლისთანავე მეგობრულად, მხიარულადაც კი უღიმოდა ბიჭს. რამდენი წლისა იყო? ოცდაათი ჯერ არ შესრულებოდა. "ახალგაზრდა ექიმი".

ახლა, რა თქმა უნდა, ცოცხალი აღარ იქნებაო, გაიფიქრა კოულმა.

მაგრამ იმ დილას ექიმ ჰენდერსონს ბაცი რუხი ფერის თხელი საზაფხულო კოსტიუმი ეცვა. ექიმი საწოლთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა, რომელსაც ყოველთვის უდგამდნენ. ეს სკამი ბიჭის საწოლ ოთახში არ იდგა ხოლმე. დედას შემოჰქონდა. სკამი ექიმი ჰენდერსონისთვის! სკამზე მოთეთრო ზოლებიანი წითელი ქსოვი-

ეროვნული

ლი იყო გადაკრული. მოგვიანებით კოულმა შეიტყო, რომ ეს სკამი ანტიკვარული იყო. ჩვეულებრივ, ის მშობლების საწოლ ოთახში იდგა, სადაც მასზე არავინ ჯდებოდა. ამ სკამზე ყოველთვის მისტერ და მისის კოულების ტანსაცმელი ეფინა.

"ჯიმი, იღბალი გქონია, - უთხრა ექიმმა ბიჭს, სანამ სკამზე ჩამოჯდებოდა, - კიდევ კარგი, რომ მეათე დაბადების დღეს ჯანმრთელად შეხვდი. მალე კარგად იგრძნობ თავს. დედაშენმა მითხრა, რომ შესანიშნავი დაბადების დღე გადაგიხდია. აბა, ერთი, კარგად გაგსინჯო".

ექიმი სკამზე დაჯდა. დედა საწოლზე ჩამოჯდა. ისევე, როგორც ყოველთვის. დედა კოულს ტერფსა და მუხლზე ეფერებოდა. ექიმი ჰენდერსონი კოულისკენ დაიხარა.

ყოველთვის, როდესაც კოულთან ექიმი მოდიოდა, ბიჭი ფიქრობდა (თუმცა კი არ ამბობდა), რომ ისინი პატარა ოჯახს ჰგავდნენ. სამკაციან ოჯახს, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა. რა მოხდებოდა, რომ მამას, რომელიც ახლა სამსახურში იმყოფებოდა, უეცრად ექიმი ჰენდერსონი შენაცვლებოდა? განა ეს წარმოუდგენელი რამ იყო? ექიმი ჰენდერსონი მამობრივად ექცეოდა ბიჭს. უფრო მამობრივად ხომ არ ექცეოდა, ვიდრე - ღვიძლი მამა?

დედას სახე უბრწყინავდა. ამ დილას მათ ირგვლივ ყველაფერი თითქოს სიხარულს ასხივებდა.

კოული დედის სიხარულის მიზეზს ხვდებოდა. მან მოიხადა ყველა დაავადება, რომლებიც აუცილებლად უნდა მოეხადა. ეს ერთგვარი ვალი იყო, რომლის გადახდასაც ბიჭმა ათი წელი მოანდომა. მთელი თავისი სიცოცხლე! ყოველი ავადმყოფობა მძიმედ მოიხადა, მაგრამ ისინი სიამაყისა და სიამოვნების წყაროსაც წარმოადგენდა. ახლა კი უკვე ყველა მათგანი მოიხადა. მართლაც რომ, მისალოცი იყო - და არა მარტო იმის გამო, რომ ახლახან დაბადებიდან ათი წელი შეუსრულდა.

როდესაც ის ინვა და დედა და ექიმი ჰენდერსონი თავს ევლებოდნენ, კოულს ბედნიერების ტალღამ გადაუარა. თვით სიტყვა "ბედნიერება" თითქოს თავს დასტრიალებდა, ისევე, როგორც ექიმ ჰენდერსონის ჯერ უთქმელი დიაგნოზი, და ეს სიტყვა - ბედნიერება - შესაძლოა, სწორედ ის სიტყვა იყო, რომელიც მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში მის თავზე ილივლივებდა.

"ესეც ასე, ჯიმი. ჩემი აზრით, დედაშენი არ შემცდარა. საბედნიეროდ, ადვილად ამოსაცნობი დაავადებაა".

ექიმმა ჰენდერსონმა კოულის დედას სწრაფი, შესაძლოა, თავხედური მზერა ესროლა. დედამისი ხშირად ამბობდა ამ სიტყვას (ჩვეულებრივ, შვილის მისამართით) - "ნუ თავხედობ!".

"ქუნთრუშაა" - თქვა ექიმმა ჰენდერსონმა. - "მეც ასე მგონია".

კოულის დედამ კი ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შენიშნა: - "თუმცა, შესაძლოა, ეს სინითლე არაფერს ნიშნავს".

ექიმმა ჰენდერსონმა ჩაიფრუტუნა ან, შესაძლოა, გაიცინა. "არაფერს ნიშნავს? აბა, ყმაწვილო, ხომ გააღებ პირს"?

კითხვა დაუსვა, მაგრამ პასუხის გაცემის საშუალება აღუკვეთა. კითხვა ჰაერში ტრიალებდა, როდესაც ექიმი ჰენდერსონი კოულის ენას და ნუშისებრ ჯირკვლებს აკვირდებოდა.

- ნამდვილად ქუნთრუშაა. აბა, შენი გამონაყარი მაჩვენე.

ახლა, როდესაც კოულს მანქანა აკლდამების მსგავს სახლებს შორის მიჰყავდა, თავისი პიჟამა გაახსენდა, რომელიც სკამივით ზოლიანი იყო. გაახსენდა თავისი გამონაყარიც, ქავილიც და ისიც, რომ დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ის უკვე ჯანმრთელი იყო, კანი მაინც უხეში და ხორკლიანი ჰქონდა. გაახსენდა, აგრეთვე, იმ დაავადებების ჩამონათვალი, რომელთა სახელწოდებები რამდენადმე ბავშვურად და ზღაპრულად ჟღერდა, ისე, თითქოს ბავშვებისთვის იყო გამოგონილი: წითელა, ყბაყურა, ჩუტყვავილა, ყივანახველა... ყოველივე ეს უნდა მოეხადა და შემდეგ უკან მოეტოვებინა, ისე, როგორც უკვე უსარგებლო საბავშვო ტანსაცმელი.

ბავშვებს დედამიწის ყველა კუთხეში ემართებათ ასეთი დაავადებები. ოდესღაც ისინი საშიში იყო, ზოგჯერ - ძალიან საშიში და, შესაძლოა, მომაკვდინებელიც. როდესაც კოული უფრო პატარა იყო, საშიში დაავადება იყო პოლიომიელიტი. თუმცა, ერთ დილას ეს საფრთხე კოულს თავიდან აარიდეს იმის წყალობით, რომ ხელში ნემსი უჩხვლიტეს. შეეშინდა, მაგრამ არ უტირია. დედამისს ძალზე კმაყოფილი იერი ჰქონდა. პოლიომიელიტი მოგერიებულ იქნა, ისე, რომ კოული საწოლში ორი დღეც კი არ წოლილა. მკლავში ნემსის ჩხვლეტა ნიშნავს, რომ პოლიომიელიტი არასოდეს დაგემართება, რადგან, ასე ვთქვათ, ეს დაავადება უკვე მოხდილი გაქვს. დედამ განუმარტა, ამას ვაქცინაცია ენოდებაო.

გზაზე კიდევ ერთმა მელიამ გაირბინა. ბინდბუნდში არ ჩანდა არც მისი თავი, არც მოწითალო ბეწვი, მაგრამ კოულს ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ მელიები იკრიჭებოდნენ.

საწოლ ოთახში ფარდები ნახევრად ჩამოშვებული იყო - ბიჭის ავადმყოფობის გამო. კვლავ აიძულეს დადუმებულიყო, რადგან პირში თერმომეტრი ჩაუდეს. ექიმმა ჰენდერსონმა თავისი ჩანთიდან წამლები ამოიღო და დედას რამდენიმე რჩევა-დარიგება მისცა. ბიჭს ორი აბი დაუყოვნებლივ უნდა გადაეყლაპა. ექიმმა კიდევ ერთი რეცეპტი გამოწერა. შემდეგ თერმომეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი აიღო, დახედა, ფრთხილად გაწმინდა და პატარა მილაკში შეინახა.

"მსუბუქი ფორმაა, ჯიმი. მაღალი სიცხე არ გაქვს. უარესი შემთხვევებიც მინახავს. რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდები, თუ დედაშენის რჩევებს დაუჯერებ. ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში არ იარო".

რა ბედნიერებაა!

"რაც შეეხება სიწითლეს, ყმაწვილო, ვერაფრით დაგეხმარები. ადრე თუ გვიან გაგივლის".

ექიმმა ტუჩები მოკუმა. სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ სახეზე მაინც ღიმილი დასთამაშებდა. შემდეგ თავისი ჩანთა დახურა, სკამიდან წამოდგა და საათზე დაიხედა. "დედაშენი დამპირდა, ჩაის დაგალევინებო".

ექიმ ჰენდერსონს ყოველთვის ჩაით უმასპინძლდებოდნენ.

კოულის დედაც წამოდგა. ახლა ისინი გვერდიგვერდ იდგნენ საწოლთან, ისე, თითქოს კოული მათი შვილი იყო. ექიმმა ჰენდერსონმა თქვა: "მეგობრებთან თამაშსაც არ გირჩევ. თუმცა, ალბათ, თამაშით უკვე გული მოიჯერე. შესანიშნავი დაბადების დღე იყო. იღბალი გქონია, რომ ქუნთრუშა მოგვიანებით დაგემართა. ვნანობ, რომ პირადად ვერ მოგილოცე".

შემდეგ ისინი ქვევით ჩავიდნენ და კოულმა რატომღაც გაიფიქრა, ალბათ, ექიმი ჰენდერსონი ჩემს საძინებელ ოთახში აღარასოდეს შემოვა, თუკი ეს უკანასკნელი ავადმყოფობა არისო. შემდეგ გაუკვირდა: ნეტავ, რატომ ნანობს ექიმი ჰენდერსონი, რომ დაბადების დღეს ვერ დაესწრო? ნუთუ, სტუმრად მოიწვიეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად გაახსენდა, როგორ იწვა ლოგინში და იგონებდა ერთი კვირის წინანდელ წვეულებას, წვეულების ყოველ დეტალს. ახლა, სამოცი წლის ასაკს გადაცილებულს, ყველაფერი ისევ ისე ცოცხლად ახსოვდა.

ის წვეულება, რომელზეც, შესაძლოა, ექიმი ჰენდერსონი ესწრებოდა! თუმცა, რატომ უნდა ყოფილიყო ექიმი წვეულებაზე? რატომ უნდა მდგარიყო, როგორც საპატიო სტუმარი, ბავშვების დედებს შორის? დედები ერთადერთი მოზრდილები იყვნენ იმ წვეულებაზე. მამები არ მოსულან. სამსახურებში იმყოფებოდნენ. ყველა მამა. და ყველა ექიმი.

ეს იყო შესანიშნავი წვეულება. ახლა კოული ხვდებოდა ამას. საუკეთესო იყო იმ წვეულებებს შორის, რომლებსაც დაბადების დღეების აღსანიშნავად უხდიდნენ, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ათი წელი შეუსრულდა. დიდი ბიჭი იყო, მისი ასაკი უკვე ორნიშნა რიცხვით განისაზღვრებოდა. განსაკუთრებული წვეულება იყო, რადგან - ახლა მან უკვე იცოდა ეს - ერთ წელიწადში მისი მშობლები ერთმანეთს დასცილდნენ. და კოულის სამყარო დაიმსხვრა.

დედამისს და ექიმ ჰენდერსონს ერთმანეთთან სასიყვარულო კავშირი არ ჰქონიათ, თუმცა, ბიჭი ამას ვარაუდობდა და ბუნდოვნად ოცნებობდა კიდეც. დედა ზოგჯერ მიდიოდა ჰენდერსონთან, მაგრამ - მხოლოდ როგორც ექიმთან. ქალური ამბებიაო, თქვა ერთხელ კოულის მამამ ამ ვიზიტების შესახებ. შემდეგ მხრები აიჩეჩა, ისე, თითქოს ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ახლა კოულმა გაიფიქრა, იქნებ ამ ვიზიტებს შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდათ პატარა დის ან ძმის შეძენასთან, რასაც მშობლები ოდესღაც მპირდებოდნენო. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ მშობლებს ეს საკითხი გაცილებით უფრო ადრე გადაეწყვიტათ, ვიდრე ბიჭი ათი წლისა გახდებოდა. დედამისი ერთი შვილით დაკმაყოფილდა. კოულიც კმაყოფილი იყო, რომ დედისერთა გახლდათ. სწორედ მაშინ გაბედა და ივარაუდა, რომ დედამისი მკურნალობის მიზნით როდი სტუმრობდა ექიმს.

თუმცა, ყველაფერი პირიქით იყო. როდესაც მამა ამბობდა, სამსახურში მივდივარო, სინამდვილეში ვიღაც ქალთან მიდიოდა.

მაგრამ ამ ფიქრებს როდი ჩაუმწარებია დაბადების დღე, ისევე, როგორც - დაავადებას, რომელიც ერთი კვირის შემდეგ დაემართა.

ეს შესანიშნავი წვეულება ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გაიმართა, ბაღში, კოულის ოთახის ფანჯრის ქვეშ. საწოლიდან რომ წამომდგარიყო, თვალს შეავლებდა იმ ადგილს, მაგრამ ეს აუცილებელი როდი იყო - ყველაფერი კარგად ახსოვდა.

ახლაც კარგად ახსოვდა.

მდელოზე კოულის უამრავი სტუმარი, მისი თანაკლასელები მოჰფენოდნენ. ერთი საათის წინ ისინი სკოლაში იმყოფებოდნენ და მდელოზე, უბრალოდ, ივნისის მზით გასხივოსნებული ადგილი იყო კოულების ბაღში. მაგრამ ახლა ყველაფერი შეცვლილიყო. ბიჭებს, კოულის ჩათვლით, სუფთა პერანგები ჩაეცვათ, გოგონებს კი - ლამაზი კაბები. შემდეგ ისინი კოულის ბაღში მოვიდნენ და მდელოზე მოეფინენ.

სახლსა და მდელოზე შორის, ვიწრო ტერასაზე იდგა მაგიდა, რომელზეც საჭმელ-სასმელი ეწყო. მის ირგვლივ მორთულ-მოკაზმული დედები შეგროვილიყვნენ. მაგიდის ქვეშ ელაგა საჩუქრები და თამაშებისთვის საჭირო საგნები. კოულს ესმოდა, რომ საჩუქრები ყველა ბავშვისთვის უნდა დაერიგებინათ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი საჩუქარი საუკეთესო იქნებოდა.

ასეც მოხდა. სტუმრებმა ხორაგი სწრაფად გაანადგურეს. მაგიდაზე გადაფარებულ სუფრაზე მხოლოდ ლაქები დარჩა. მდელოზე, სადაც მალე მხოლოდ ბავშვები დარბოდნენ, დახეული და დაჭმუჭნილი შესაფუთი ქაღალდის ნაფლეთები, მუყაოს თეფშები და ჭიქები ეყარა, რომლებსაც ბავშვები ფეხებით თელავდნენ.

მთელი ეს ნამუსრევი კოულის დედის მძიმე შრომისადმი გადახდილი ხარკი გახლდათ. ალბათ, ძალიან დაიღალა იმ დღეს, როდესაც ამზადებდა პაწაწინა ნამცხვრებს და დიდ ტორტს და, ასევე, ნაყინს, ჟელეს, ლიმონათს, ფორთოხლის წვენს, რომლებიც ახალი მაცივრიდან გამოტანილ ყინულის ნატეხებზე უნდა დაესხა. იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა სკოლიდან კოულის დაბრუნებასა და წვეულების დაწყებას შორის, ბიჭი ხედავდა, როგორ მშვიდად, აუღელვებლად, ღიმილით აწყობდა დედამისი სუფრას. დიდი დრო მოანდომა საჩუქრების შეფუთვას. როგორ დინჯად ალაგებდა მაგიდაზე საჭმელ-სასმელს.

ბიჭი ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, დედამისივით აუღელვებლად შეხვედროდა თავისი დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებას.

ბოლო წუთს დედა სწრაფად ავიდა თავის საძინებელ ოთახში, რომ კაბა გამოეცვალა. როდესაც ჩამოვიდა, წითელი ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა და სასიამოვნო სურნელი ასდიოდა.

შემდეგ კარზე ზარი დარეკეს.

კოული ყოველივე ამას ხედავდა ახლა, როდესაც მიემართებოდა იქ, სადაც წვეულება სულაც არ ელოდა. ხედავდა ბავშვებს მდელოზე; ქალებს, რომლებიც მაგიდის ირგვლივ ისხდნენ ან ნამცხვრები და სასმელიანი ჭიქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰქონდათ; არიგებდნენ საჩუქრებს. ზოგიერთ მათგანს ძალზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

კოულს ახსოვდა წვეულებაზე დაპატიჟებული ზოგიერთი მეგობრის სახელი, თუმცა ეს მეგობრები ათეულობით წლების განმავლობაში არც კი გახსენებია: ბობი სკოტი, ნაიჯელ უილსონი, ჰელენ ფლეტჩერი, ვენდი სიმსი... მდელობზე დარბოდნენ... ნეტავ, ახლა სად არიან?

დადგა წუთი, როდესაც დედებმა მას დაუძახეს, გვერდზე გაიყვანეს და ეუბნებოდნენ: "არ დაგვივიწყო, ჯიმი". ან "შენც მოგვინახულე!".

ეს მისის სიმსმა უთხრა. "შენც მოგვინახულე." ნეტავ, რას გულისხმობდა? ეს სიტყვები მას შემდეგ წარმოთქვა, რაც თითქმის მთლიანად ჩაიტენა პირში პატარა ნამცხვარი. თვალები კინაღამ გადმოსცვივდა, ისევე, როგორც მის პატარა გოგონას, რომელმაც სცადა, დედისთვის მიებაძა. ქალმა ნამცხვრის ნამცეცები მოიწმინდა პირიდან, შემდეგ ხელის თითები ჰაერში აათამაშა. მასაც ყვავილებით მოჩითული, მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა, ღრმად ამოჭრილი გულისპირით. როდესაც პირი მოიწმინდა, მსხვილი ნამცეცი გულისპირში ჩაუვარდა და გაუჩინარდა. იგრძნო თუ არა ეს მისის სიმსმა? შეამჩნია თუ არა ის, რაც ბიჭმა დაინახა? მაგრამ ქალმა მხოლოდ ბორძიკით წაილაპარაკა: "შენც მოგვინახულე, ჯიმი" და დასძინა: "ჩვენც, გოგონები მოგვინახულე". დედები ახლა "გოგონებად" იქცნენ? ბიჭი დაიბნა.

შემდეგ მისის სიმსმა მდელობს თვალი შეავლო და ისევ ჯიმს მიმართა ისეთი შეკითხვით, რომელმაც ბიჭი კიდევ უფრო დააბნია: "აბა, ჯიმი, ახლა უნდა გვითხრა, რომელი მათგანია საუკეთესო? რომელი მათგანი უფრო მოგწონს?" და მაშინვე დააზუსტა: "რომელი კაბა მოგწონს?" ბიჭმა მაშინვე გაიფიქრა, ნეტავ, რომელიმე გოგონას გულისხმობს თუ რომელიმე კაბასო. ან შეიძლება ეს ერთი და იგივე იყო. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მას უნდა გაეცალკევებინა გოგონები და მათი კაბები? რა უნდა ეპასუხა?

ამიტომ არაფერი უთქვამს. ნუთუ მისის სიმს მართლაც სურდა, რომ ბიჭს მისი ქალიშვილი - ვენდი სიმსი და მისი კაბა დაესახელებინა? კაბაც და გოგონაც? შემდეგ სხვა დედამ - მგონი, ეს მისის სკოტი იყო - შენიშნა: "შეხეთ, როგორ გაწითლდა!" და ბიჭმა კიდევ უფრო მეტი უხერხულობა იგრძნო.

მაგრამ ბიჭის დედამ სწრაფად, მაგრამ მშვიდად თქვა: "თავი დაანებეთ. შეეშვით. ეს ხომ მისი დაბადების დღეა". დედა არ საყვედურობდა დანარჩენ ქალებს. ეს იყო უბრალოდ უწყინარი შენიშვნა, რომელმაც ბიჭი გადაარჩინა. იცოდა, რომ ახლა სამოცდათორმეტი წლის ბერიკაცი იყო და მანქანის საჭესთან იჯდა, მაგრამ დედის სიტყვები მასთან თითქოს ფრინველივით მოფრინდა და დასაცავად ფრთები გადააფარა.

და მეტად აღარ გაწითლებულა? საიდან უნდა სცოდნოდა? შესაძლოა, არავინ, თვით მისის სიმსმაც კი არ იცოდა, რომ ბიჭი დაბნეულობის გამო კი არ გაწითლდა, არამედ იმ ნამცეცის გამო, რომელიც მისის სიმსს გულისპირში ჩაუვარდა. სად გაქრა? და ბიჭმა გაიფიქრა, რომ ეს ქალები, რომელთა კაბები შრიალებდნენ და სხეულზე ეხებოდნენ, სწორედ მისი, ბიჭის გამო იყვნენ ასე ლამაზად მორთულ-მოკაზმულნი.

წამით მას ქალები დაეუფლნენ და თავიანთი ძალაუფლება აგრძნობინეს. და აგრძნობინეს, რომ ისინიც გოგონები იყვნენ. დედის სასწაულებრივი ჩარევის შემდეგ ბიჭს ისიც კი მოეჩვენა, რომ ყველაფერს მათი თვალთახედვით აღიქვამდა. არა მარტო თვით წვეულებას, მდელობზე მოთამაშე ბავშვებს, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა გამოერჩია, არამედ - *ყველაფერს*. ყველაფერს, რასაცირგვლივ ხედავდა. მდელობსაც, ბაღის დანარჩენ ნაწილსაც და მიმდებარე ბაღებსაც, თავიანთი მდელობებით, მესრებით, ვაშლის ხეებით, ვარდისა და ჰორტენზიის ბუჩქებით; და წითელკრამიტიან სახლებს, მოლაპლაპე ფანჯრებით. ბევრი ფანჯარა ღია იყო და სახლების მკვიდრნი ამ მოკაშკაშე შუადღით ტკბებოდნენ.

ის გარემოს თვალს ავლებდა, ისევე, როგორც ქალები - ბიჭმა ეს იცოდა - დროდადრო, ნება-ნება, თვალს ავლებდნენ იქაურობას, რათა ყველაფერი მეხსიერებაში აღებეჭდათ. *ყველაფერი.*

ერთხელ უთხრეს, ეს სახლები დაახლოებით შენი ასაკისა არისო. როდესაც ბიჭის მშობლები აქ დაბინავდნენ, ახალი სახლები იყო. პირველმოსახლეთა სახლები. ახლა მათ ათი წელი შეუსრულდა, მაგრამ ახალაშენებულ ნაგებობებს ჰგავდნენ. სახლებში ახალი მაცივრები, ახალი ტელევიზორები იდგა.

ამ სხივიან დღეს მამებს ვერც სახლებში და ვერც ბაღებში ვერ ნახავდით, რადგან - იცოდა თუ არა ბიჭმა მაშინ ამის შესახებ? - თავდაუზოგავად მუშაობდნენ, რათა ყოველივე ამის საფასური გადაეხადათ, ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ მთელი ეს სილამაზე.

რა საჭირო იყო ექიმ ჰენდერსონის დაპატიჟება?

ბაღებში აქა-იქ იდგა ვეებერთელა ხეები, რომელთა ფოთლებს შუადღის მზის შუქზე ოქროსფერი დაჰკრავდათ. ეს ხეები იმ დროიდან იდგნენ, როდესაც აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ცოცხალი ღობეები და მინდვრები იყო. ბიჭის დაწყებითი სკოლის ადგილას ოდესღაც ფერმერის სახლი და ფარდულები იდგა. ახლა ამის დაჯერება ძნელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მიმოიხედა და გაიფიქრა, რომ დედებს, ალბათ, ყოველივე ეს სამოთხედ მიაჩნდათ. სწორედ ამას ნატრობდნენ და მიაღწიეს კიდეც. ამ სამოთხეში ზრდიდნენ შვილებს და წვეულებებს აწყობდნენ. უწინ კოული არ დაფიქრებულა ამაზე, ახლა კი აღტაცებით ათვალიერებდა იქაურობას.

ბედნიერებისთვის სხვა რა იყო საჭირო... კოულს სუნთქვა შეეკრა, საჭეს ხელები მოუჭირა და მოგონებათა ტკბილი სურნელი შეიგრძნო. სამოცდათორმეტი წლის კაცს მიჰყავდა მანქანა სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის.

სუნთქვა ეკვროდა და მიხვდა, რომ ეს იყო ცხოვრების სურნელი. სურნელი.

კი მაგრამ, რატომ ვწითლდებით ხოლმე? რატომაა, რომ ზოგიერთი ჩვენგანი უხერხულობისგან წითლდება, რაც კიდევ უფრო მეტ უხერხულობაში გვაგდებს? შეიძლება თუ არა, რომ გავწითლდეთ ბედნიერებისგან, როდესაც ის აქვე, ახლოს შრიალებს და კანზე გვეხება? კოული კარგად იცნობდა ადამიანის ორგანიზმს, მაგრამ სიწითლეზე მეტი რამ როდი იცოდა, ვიდრე, როგორც ჩანს, ექიმმა ჰენდერსონმა. ეს მისი სფერო არ იყო. გაწითლება, ალბათ, ახალგაზრდებსა და უმანკოებს სჩვევიათ. მან გამოცადა ეს. "გოგოსავით წითლდებაო", ამბობენ ხოლმე. ან ბიჭსავით.

მაგრამ კოულმა იცოდა, რომ შეიძლებოდა გაურკვეველი მიზეზით გაწითლებულიყო. შესაძლოა, ის ახლაც წითლდებოდა თავის მანქანაში, როდესაც ათწლეულების წინ განცდილს იხსენებდა. ნეტავ, წითლდება თუ არა ადამიანი - რაც ნამდვილად პარადოქსია - როდესაც მას ვერავინ ხედავს? და რას გრძნობს, როდესაც ცდილობს დამალოს თავისი განცდები არა მარტო სახის ნიღბის, არამედ ტანსაცმლის ქვეშაც?

ნეტავ, რატომ გაწითლდა იმ წვეულებაზე - იმიტომ, რომ მისის სიმსს გულისპირში ნამცეცი ჩაუვარდა თუ დამაბნეველი შეკითხვის გამო, რომელიც ქალმა დაუსვა? იგულისხმებოდა თუ არა ამ შეკითხვაში მომავალი, რომელიც ესოდენ მიმზიდველად წარმოუდგა მის მზერას? ხომ შეიძლებოდა, მისი სიცოცხლის არსი გოგონების დიადი არჩევანი ყოფილიყო. გოგონებისა! შესანიშნავია! რა ბედნიერებაა!

მაგრამ ახლა ყოველივე დამთავრებული იყო. მისი საყვარელი ქალები ცოცხალნი აღარ იყვნენ. და მასაც უახლოვდებოდა სიკვდილი, მიუხედავად იმისა, რომ ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე.

ახლა ძალზე ახლო იყო სიცოცხლის დასასრული, ისევე, როგორც მისი დასაწყისი. ათი წელი. ამბობენ, ეს მაშინ ხდება, როდესაც იხრჩობიო. თურმე, მთელი შენი ცხოვრება გაგირბენს თვალწინ. ასევე ხდება, როდესაც პაციენტები განყოფილებაში იხოცებიან. არსებითად, იხრჩობიან.

საავადმყოფო ახლა უკვე ძალზე ახლოს იყო, გზის ბოლოს, აპრილის დილის მკრთალ შუქზე ხედავდა ნაგვის საწვავი ღუმლის მაღალ მილს და განათებული ფანჯრების მოლაპლაპე მინებს. ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა დასწეოდა სასწრაფო დახმარების მანქანა და გაეგონა სირენის ხმა. ერთ დილას სასწრაფო დახმარების სამმა მანქანამ გაუსწრო.

რამდენიმე წუთში იძულებული გახდება, მეხსიერება გამორთოს და ყურადღება გადაიტანოს პროფესიულ საქმეებზე. მთელი სიცოცხლის გამორთვა დასჭირდება,

რით დამთავრდება ეს პანდემია? არავინ იცოდა. კოულს შეეძლო მხოლოდ უსასრულოდ გაჭიანურებული საათების განმავლობაში თავი არ დაეზოგა იქ, სადაც ადამიანები იტანჯებოდნენ.

რამდენიმე ექიმს უკვე სასოწარკვეთილებას ატყობდა. ფსიქიატრია კოულის სფერო არ იყო, მაგრამ ამგვარ განწყობილებებს ადვილად ამჩნევდა. ამ ექიმებს ოჯახები ჰყავდათ, მხოლოდ მოგონებებით როდი ცოცხლობდნენ. მათი სახლები ცარიელი არ იყო და არც გარაჟების ავტომატური კარები აღუძრავდა სევდას.

ერთმა კოლეგამ ხანმოკლე შესვენებისას უთხრა, ეს უბრალოდ აფეთქება, პანდემიის აფეთქება არისო. და რომ ეს იყო მხოლოდ წინასწარი მზადება რეალური უბედურებისათვის, რომლის შედეგად კაცობრიობა განადგურდებოდა. თუკი, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდებოდა.

მან კვლავ დაინახა ვეებერთელა ხეები, რომლებიც თითქოს დარაჯობდნენ ბაღს. დაინახა მდელობი, რომელიც მამამისმა საგანგებოდ გათიბა წვეულების წინა დღეს; დაინახა მოხდენილი კაბები; დაინახა მისის სიმსი, მისი მოშიშვლებული მხრები. დაინახა დედა. და დაინახა, როგორ იწვა ლოგინში წვეულებიდან ერთი კვირის შემდეგ, ასევე - სკამზე ჩამომჯდარი ექიმი ჰენდერსონი და საწოლისკენ დახრილი დედა.

კოული დარწმუნებული იყო, რომ დედამისმა სწორედ ექიმ ჰენდერსონის გამო მოინდომა, მისი შვილი ექიმი გამხდარიყო. როდესაც ისინი ბიჭის საძინებელი ოთახიდან გავიდნენ და ჩაის დასალევად ქვევით ჩავიდნენ, მათი ჩურჩული ესმოდა. შემდეგ ექიმი ჰენდერსონი წავიდა.

კვლავ გაიგონა, როგორ უთხრა ზოლიან სკამზე მჯდარ ექიმ ჰენდერსონს დედამ, შესაძლოა, ეს სიწითლე არაფერს ნიშნავსო და ლოგინში მწოლიარე შვილს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. ამიტომ მან იცოდა, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ათი წელი შეუსრულდა, დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე, ქუნთრუშა დაემართა.

**The New Yorker**
**18 იანვარი, 2021**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან ანუი

# მედეა

*ფრანგულიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა*



**მოქმედნი პირნი:**

მედეა
იასონი
კრეონი
ძიძა
ბიჭი
მცველები

*ფარდა იწევა. სცენაზე მედეა და ძიძა ჩაცუცქული არიან ფურგონის წინ. შორიდან ისმის მუსიკა, მღერიან. ესენი ყურს უგდებენ.*

***მედეა.*** გესმის?

**ძიძა.** რა?

**მედეა.** ბედნიერება. ხეტიალობს.

**ძიძა.** სოფელში მღერიან. შეიძლება დღესასწაული აქვთ დღეს.

**მედეა.** მეზიზღება მაგათი დღესასწაულები. მეზიზღება მაგათი მხიარულება.

**ძიძა.** აქაური რომ არ ხარ, იმიტომ. *(სიჩუმე.)* ჩვენთან დღესასწაული უფრო ადრეა, ივნისში. გოგოები თმებს ყვავილებით ირთავენ, ხოლო ბიჭები სახეს საკუთარი სისხლით იხატავენ და გარიყურაყზე, პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, ბრძოლებს იწყებენ. რა ლამაზნი არიან კოლხი ბიჭები, როცა იბრძვიან!

**მედეა.** გაჩუმდი.

**ძიძა.** შემდეგ მთელი დღე ველურ ნადირებს ათვინიერებენ. საღამოს კი მამაშენის სასახლის წინ დიდ კოცონს ანთებენ, დიდ ყვითელ კოცონს, რომელშიც სურნელოვანი ბალახი იწვის... ნუთუ დაგავიწყდა, პატარავ, ჩვენებური ბალახის სუნი?

**მედეა.** გაჩუმდი, გაჩუმდი, საყვარელო.

**ძიძა.** აჰ, დედაბერი ვარ, გზა კიდევ მეტისმეტად გრძელია... რატომ, რატომ წამოვედით, მედეა?

**მედეა.** წამოვედით იმიტომ, რომ იასონი მიყვარდა; იმიტომ, რომ მის გამო გავძარცვე მამაჩემი, ძმა მოვკალი მის გამო! გაჩუმდი, საყვარელო, გაჩუმდი. კარგი გგონია გაუთავებლად ერთისა და იმავეს ლაპარაკი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიძა.** ოდესღაც ოქროსკედლებიანი სასახლე გქონდა, ახლა კი აქ ვართ, ორი მათხოვარივით ჩაცუცქული ამ კოცონთან, რომელიც სულ გვიქრება.

**მედეა.** წადი, შეშა მოიტანე!

*ძიძა დგება, ამოიოხრებს და გადის.*

**მედეა,** *უეცრად ყვირის.* უსმინე! *(დგება.)* ვიღაც მოდის გზაზე.

**ძიძა,** *უსმენს, შემდეგ ამბობს.* არა. ეს ქარია.

*მედეა ისევ ჩაცუცქდება. შორიდან ისევ ისმის სიმღერის ხმა.*

**ძიძა.** ნუღარ ელოდები, ჩემო ფისო, ნუ იტანჯები. თუ ეს მართლა დღესასწაულია, მას აუცილებლად მიიწვევდნენ. ცეკვავს შენი იასონი, ცეკვავს პელასგ ქალიშვილებთან და ჩვენ აქ ვართ ორივენი.

**მედეა,** *ყრუდ.* გაჩუმდი, დედაბერო!

**ძიძა.** ჩუმად ვარ.

*სიჩუმე. ძიძა ოთხზე დგება, რომ ცეცხლს დაუბეროს. ისმის მუსიკის ხმა.*

**მედეა,** *უეცრად.* გრძნობ!

**ძიძა.** რას?

**მედეა.** ამ ბედნიერების სიმყრალე აქამდე აღწევს, ამ უდაბნომდე. ჩვენ ხომ მათი სოფლიდან შორს გაჩერება გვიბრძანეს! ეშინოდათ, ღამით მათი ქათმები არ მოგვეპარა. *(წამოდგება, ყვირის.)* მაგრამ რა ამღერებთ და რა აცეკვებთ? მე რა, ვმღერი, მე რა, ვცეკვავ?

**ძიძა.** სახლში არიან, თავისთან. *(ჩუმდება. ოცნებობს.)* გახსოვს? თეთრი სასახლე კვიპაროსების ხეივნის ბოლოს. გრძელი გასეირნებიდან ბრუნდებოდი... ცხენს მონას ჩააბარებდი და დივანზე წამოწვებოდი. მაშინ გოგოებს ვეძახდი, გბანდნენ და გაცმევდნენ. შენ იყავი მბრძანებელი, მეფის ასული და არაფერი იყო შენთვის საკმარისად კარგი. სკივრიდან კაბებს იღებდნენ და შენ ირჩევდი, მშვიდი და შიშველი, სანამ ისინი ნელსაცხებელს გისვამდნენ.

**მედეა.** გაჩუმდი, ძვირფასო, მეტისმეტად სულელი ხარ. გგონია, რომ ვნანობ სასახლეს, კაბებს, მონებს?

**ძიძა.** და შემდეგ გაქცევა, სულ დევნილობა!

**მედეა.** გაქცევა შემეძლო, სულ.

**ძიძა.** გაძევებულები, დაბეჩავებულები, შეძულებულები, უქვეყნო, უსახლკარო.

**მედეა.** შეძულებული, გაძევებული, დაბეჩავებული, უქვეყნო, უსახლკარო, მაგრამ მარტო არ ვარ.

**ძიძა.** მეც წამომათრიე, ჩემს ასაკში. და რომ მოვკვდე, სად დამტოვებ?

**მედეა.** სადმე ორმოში ან გზისპირას, რა მნიშვნელობა აქვს, დედაბერო? მეც იგივე მელის, ამას უკვე შევეგუე. მაგრამ მარტო არ ვარ.

**ძიძა.** გტოვებს, მედეა.

**მედეა.** არა! *(ჩერდება.)* უსმინე.

**ძიძა.** ეს ქარია. ეს დღესასწაულია. ის არ დაბრუნდება არც ამ საღამოს.

**მედეა.** რა დღესასწაული აქვთ? რა ბედნიერებას მოაქვს აქამდე მათი მყრალი ოფლი, უბრალო ღვინო, შემწვარ-მოხრაკული? კორინთოსის ხალხო, რა გამღერებთ და რა გაცეკვებთ? ასეთი სასიხარულო რა ხდება ამ საღამოს, გულს რომ მიკლავს და მახრჩობს?.. ძიძა, ძიძა, ორსულად ვარ ამ საღამოს. მტკივა და მეშინია, როგორც მაშინ, შენ რომ დამეხმარე მუცლიდან პატარის ამოსაყვანად... დამეხმარე, ძიძა! რაღაც იძვრის ჩემში, როგორც უწინ და ეს რაღაც არას ეუბნება იმათ სიხარულს ქვემოთ, ესაა რაღაც, რაც ეუბნება არას ბედნიერებას. *(აკანკალებული ეკვრება მოხუც ქალს.)* ძიძა, თუ ვიყვირე, პირზე ხელს ხომ დამაფარებ და ბრძოლას თუ დავიწყებ, ხომ დამაკავებ? არ დამტოვებ, მარტო რომ დავიტანჯო... აჰ! დამიჭირე, ძიძა, დამიჭირე მთელი ძალით. დამიჭირე, როგორც პატარა გეჭირე, როგორც იმ საღამოს, როცა მშობიარობისას ვკვდებოდი. ამ საღამოს რაღაც ისევ უნდა მოვუვლინო სამყაროს, რაღაც უფრო დიდი, უფრო ცოცხალი, ვიდრე მე ვარ და არ ვიცი, ვიქნები თუ არა საკმარისად ძლიერი...

**ბიჭი,** *შემოდის უეცრად და ჩერდება.* თქვენ მედეა ხართ?

**მედეა.** დიახ! სწრაფად თქვი! ვიცი!

**ბიჭი.** იასონმა გამოგზავნა.

**მედეა.** არ დაბრუნდება? დაჭრილია, მკვდარია?

**ბიჭი.** მიბრძანა, გითხრათ, რომ გადარჩით.

**მედეა.** არ დაბრუნდება?

**ბიჭი.** მიბრძანა, გითხრათ, რომ მოვა, რომ უნდა დაელოდოთ.

**მედეა.** არ დაბრუნდება? სად არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბიჭი.** მეფესთან, კრეონთან.

**მედეა.** დაპატიმრებულია?

**ბიჭი.** არა.

**მედეა,** *ისევ ყვირის.* აჰ! ეს ზეიმი მისთვისაა? მითხარი! ხომ ხედავ, ყველაფერი ვიცი. მისთვისაა?

**ბიჭი.** დიახ. მისთვისაა.

**მედეა.** და რა ქნა? მიდი, მითხარი სწრაფად. გირბენია, სულ წითელი ხარ, ერთი სული გაქვს, იქ დაბრუნდე. ცეკვავენ, ხომ?

**ბიჭი.** დიახ.

**მედეა.** და სვამენ?

**ბიჭი.** ექვსი კასრი გახსნეს სასახლის წინ!

**მედეა.** თამაშები, ტკაცუნები, მაშხალები ცაში ერთად მიფრინავენ. სწრაფად, სწრაფად, პატარა, შენს დავალებას შეასრულებ და შეგეძლება დაბრუნდე და გაერთო. შენ მე არ მიცნობ. რას გიზამს ის, რაც მე უნდა მითხრა? რატომ გაშინებს ჩემი სახე? გინდა, გაგიღიმო? აი, გიღიმი. სხვათა შორის, ალბათ, კარგი ამბავია, რაკი ცეკვავენ. სწრაფად, პატარა, მე ისედაც ვიცი!

**ბიჭი.** კრეუსა მოჰყავს ცოლად, კრეონის ასული. ხვალ დილითაა ქორწილი.

**მედეა.** გმადლობ, პატარა! წადი და იცეკვე ახლა კორინთოსის ქალიშვილებთან. იცეკვე მთელი ძალით, იცეკვე მთელი ღამე. და როცა დაბერდები, გაიხსენე, რომ სწორედ შენ მიუტანე ამბავი მედეას.

**ბიჭი,** *წასვლას აპირებს.* რა უნდა ვუთხრა?

**მედეა.** ვის?

**ბიჭი.** იასონს.

**მედეა.** გადაეცი, რომ მადლობა გითხარი.

ბიჭი გადის.

***მედეა,*** *უეცრად ყვირის.* მადლობა, იასონ! მადლობა, კრეონ! მადლობა, ღამე! ყველას მადლობა! რა მარტივია, გავთავისუფლდი...

**ძიძა,** *უახლოვდება.* ჩემო ამაყო არწივო, ჩემო პატარა მიმინო...

**მედეა.** მორჩი, ქალო! შენი ხელები აღარ მჭირდება. ჩემი ბავშვი თავისით დაიბადა. ამჯერად ეს გოგოა. ჩემო სიძულვილო! რა ახალი ხარ... რა ტკბილი ხარ, რა სურნელოვანი ხარ! ჩემო შავტუხა გოგო, ახლა მთელ მსოფლიოში შენ გარდა არავინ მყავს, რომ მიყვარდეს.

**ძიძა.** მოდი, მედეა...

**მედეა,** *წამოდგება, ხელებს მკერდზე გადაიჯვარედინებს.* მაცალე. ვუსმენ.

**ძიძა.** რად გინდა მაგათი მუსიკა! დავბრუნდეთ.

**მედეა.** აღარ მესმის. ჩემს სიძულვილს ვუსმენ... ო, სიტკბოება! ო, დაკარგულო ძალა! რას მიშვრებოდა, ძიძა, თავისი დიდი, ცხელი ხელებით! საკმარისი იყო, მამაჩემის სასახლეში შემოსულიყო და შემხებოდა. ათი წელი გავიდა და იასონმა ხელი გამიშვა. თავი ხელახლა აღმოვაჩინე. ხუთუ მეძინა? ეს მე ვარ. ეს მედეაა! ეს უკვე ის ქალი არაა, რომელიც კაცის სუნს მიჯაჭვული ძუკნასავით ნევს და ელოდება. სირცხვილი! სირცხვილი! ლოყები მეწვის, ძიძა. მე მას ველოდი მთელი დღე, გაშლილი ფეხებით, მოკვეთილი... მორჩილად ვრთავდი ნებას, ჩემი ნაწილი ნაელო და დაებრუნებინა, ჩემი ნიალის ეს შუაგული, რომელიც მისი იყო... დიახ, მას უნდა დავმორჩილებოდი, გამეღიმა მისთვის, გამოვწყობილიყავი, რომ მოსწონებოდა, რადგან ყოველ დილას მტოვებდა და მივქონდი, მეტისმეტად ბედნიერი ვიყავი, რომ საღამოს დაბრუნდებოდა და საკუთარ თავს დამიბრუნებდა. დიახ, უნდა მიმეცა მისთვის ოქროს ვერძის საწმისი, რაკი უნდოდა, უნდა გამეცა მამაჩემის ყველა საიდუმლო, უნდა მომეკლა ძმა მის გამო, უნდა გავქცეულიყავი მასთან ერთად, მასსავით დამნაშავე და ლატაკი. ყველაფერი გავაკეთე, რაც სჭირდებოდა და მეტის გაკეთებაც შემეძლო. შენ იცი ეს ყველაფერი, ძვირფასო ქალო, შენც ხომ გიყვარდა.

**ძიძა.** დიახ, ჩემო ძუ მგელო.

**მედეა,** *ყვირის.* მოკვეთილი!.. ო, მზეო, თუ მართალია, რომ შენგან წარმოვიშვი, რატომ გამხადე მოკვეთილი? ქალიშვილად რატომ შემქმენი? ეს მკერდი რატომ, ეს სისუსტე, ეს ჭრილობა ჩემს სიღრმეში? მშვენიერი არ იქნებოდა ბიჭი მედეა? ძლიერი არ იქნებოდა? ქვასავით მაგარი სხეული, შექმნილი, რომ აიღო და წახვიდე, მძლავრი, ხელუხლებელი, მთლიანი! აჰ! მოსულიყო მაშინ იასონი თავისი დიდი საშიში ხელებით, ეცადა, შემხებოდა! თითოეულს თავის ხელში დანა ექნებოდა და რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა, მოკლავდა მეორეს, განთავისუფლდებოდა და წავიდოდა. ეს ბრძოლა კი არა, როცა სხვა არაფერი გინდა, მხოლოდ მხრების შეხება იქნებოდა და ჭრილობა, რომელსაც ევედრები. ქალი! ქალი! ძუკნა! ხორცი, შექმნილი ტალახისგან და კაცის ნეკნისგან! კაცის ნაჭერი! ბოზი!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიძა,** *ეხვევა.* შენ არა, შენ არა, მედეა!

**მედეა.** მეც სხვებივით!.. სხვებზე უფრო ლაჩარი და უფრო პირდაღებული. ათი წელი! მაგრამ ამ საღამოს ეს დამთავრდა, ძიძა, მე ისევ მედეა გავხდი. რა კარგია!

**ძიძა.** დამშვიდდი, მედეა.

**მედეა.** დავმშვიდდი, დავწყნარდი. ხომ ხედავ, რა წყნარი ვარ, ძიძა, რა მშვიდად ვლაპარაკობ. ვკვდები. ძალიან წყნარად ვკლავ რაღაცას ჩემში. ვახრჩობ.

**ძიძა.** წამოდი. მაშინებ, დავბრუნდეთ.

**მედეა.** მეც, მეც მეშინია.

**ძიძა.** რას გვიზამენ ახლა?

**მედეა.** რა შეკითხვაა? საკითხავია, ჩვენ რას ვუზამთ მათ, დედაბერო! მეც მეშინია, მაგრამ არა მათი მუსიკისა და ყვირილის, არა მათი ტილიანი მეფისა, მათი ბრძანებებისა - ჩემი! იასონ, შენ დამაძინე და აი, მედეა იღვიძებს! სიძულვილი! სიძულვილი! უზარმაზარო მაცოცხლებელო ტალღავ, შენ თავს მევლები და მე ხელახლა ვიბადები.

**ძიძა.** გაგვაძევებენ, მედეა.

**მედეა.** შეიძლება.

**ძიძა.** სად წავალთ?

**მედეა.** ჩვენთვის ყოველთვის იქნება ქვეყანა, საყვარელო, სიცოცხლის ამ მხარეს ან იმ მხარეს, ქვეყანა, სადაც მედეა იქნება დედოფალი. ო, ჩემო შავო სამეფო, შენ დამიბრუნდი.

**ძიძა,** *ბუზღუნებს.* ისევ უნდა ჩავალაგოთ ყველაფერი.

**მედეა.** შემდეგ ჩავლაგდებით, დედაბერო!

**ძიძა.** რის შემდეგ?

**მედეა.** კიდევ მეკითხები?

**ძიძა.** რის გაკეთებას აპირებ, მედეა?

**მედეა.** რაც გავაკეთე, როდესაც მამაჩემს ვუღალატე, როდესაც ძმის მოკვლა მომიხდა, რომ გამოვქცეულიყავით, რაც ვუყავი მოხუც პელიასს, როდესაც ვცადე, იასონი გამეხადა მისი კუნძულის მეფე, რაც ათგზის გამიკეთებია მისთვის, ოღონდ, ახლა ჩემთვის, როგორც იქნა!

**ძიძა.** გაგიჟდი! არ შეგიძლია.

**მედეა.** რა არ შემიძლია, საყვარელო? მე მედეა ვარ, სულ მარტო, მიტოვებული ამ ფურგონთან; ამ უცხო ზღვის ნაპირას, გაძევებული, შერცხვენილი, შეძულებული, მაგრამ არაფერია მეტისმეტი ჩემთვის! *(მუსიკა შორს უფრო ხმამაღლა ისმის. მედეა ცდილობს, ყვირილით გადაფაროს მუსიკის ხმა.)* იმღერონ, სწრაფად იმღერონ თავიანთი საქორწინო სიმღერა! სწრაფად გამოანყონ პატარძალი თავის სასახლეში. ქორწინებამდე მთელი გრძელი დღეა... აჰ! იასონ, შენ ხომ მიცნობ მე, შენ იცი, როგორი ქალიშვილი ჩაიბარე კოლხეთში. და რა გგონია? რომ ტირილს დავიწყებ? შენ მოგყვებოდი სისხლით და დანაშაულით, ახლაც დამჭირდება სისხლი და დანაშაული, რომ გამოგეთხოვო.

**ძიძა,** *მივარდება.* გაჩუმდი, გაჩუმდი, გევედრები! დამალე შენი საჩივარი გულის სიღრმეში! დამალე შენი სიძულვილი. მოითმინე. ამ საღამოს ისინი ჩვენზე ძლიერნი არიან.

**მედეა.** მერედა რა, ძიძა?

**ძიძა.** შენ შურს იძიებ, ჩემო ძუ მგელო, ჩემო მიმინო. ერთხელაც მათ ავნებ, შენაც; მაგრამ ჩვენ არავინ ვართ აქ. ორი უცხოელი ფურგონში, ბებერი ცხენით. საქათმეების ორი ქურდბაცაცა, რომლებსაც ბავშვები ქვებს ესვრიან. დაიცადე ერთი დღე, დაიცადე ერთი წელი, მალე შენ უფრო ძლიერი იქნები.

**მედეა.** უფრო ძლიერი, ვიდრე ამ საღამოს? არასოდეს.

**ძიძა.** მაგრამ რა შეგიძლია გააკეთო ამ მტრულ კუნძულზე? კოლხეთი შორსაა და კოლხეთიდანაც კი გამოძევებული ხარ. იასონიც გტოვებს ახლა. მაშ, რაღა გრჩება?

**მედეა.** მე ვრჩები!

**ძიძა.** საბრალო! კრეონი მეფეა და ამ ვერანაში გვიტანდნენ, რადგან მას ასე სურდა. ერთი სიტყვა რომ თქვას, ერთი ნებართვაც რომ გასცეს, ყველანი აქ გაჩნდებიან დანებითა და კეტებით. დაგვხოცავენ.

**მედეა,** *წყნარად.* დაგვხოცავენ; მაგრამ გვიან იქნება.

**ძიძა,** *ფეხებში უვარდება.* მედეა, მე მოხუცი ვარ, მაგრამ სიკვდილი არ მინდა! შენ გამოგყევი, ყველაფერი მივატოვე შენ გამო; მაგრამ დედამიწა ჯერაც სავსეა კარგი რამეებით, მზით გამთბარი სკამი, რომელზედაც ისვენებ, ცხელი სუფი შუადღისას, ერთი-ორი ნაშოვნი მონეტა ხელში, ყლუპი, რომელიც გულს გითბობს ძილის წინ.

**მედეა,** *ფეხით იშორებს, ზიზღით.* შე ბებრუკო! გუშინ მეც მინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ახლა უკვე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არ დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიძა,** *მუხლებზე ეხვევა.* სიცოცხლე მინდა, მედეა!

**მედეა.** ვიცი, თქვენ ყველას სიცოცხლე გინდათ. იასონსაც სიცოცხლე უნდა და იმიტომ მიდის.

**ძიძა,** *მოულოდნელი ზიზღით.* შენ ის აღარ გიყვარს, მედეა. შენ ის აღარ გინდა უკვე დიდი ხანია. მე ყველაფერი ვიცი, ფურგონი ხომ ასე ვიწროა. პირველმა მან გითხრა ერთ საღამოს, ძალიან ცხელა და ჩემი ჩალის სანოლი გარეთ უნდა გავიტანოო. შენ ნება დართე და მე გავიგონე, შვებით როგორ ამოისუნთქე, იმ საღამოს, როცა საწოლზე მარტო დარჩენილი ნამონქი. კლავენ კაცისთვის, რომელთანაც ჯერაც ცხოვრობენ და არა კაცისთვის, რომელიც ღამით სანოლიდან დათხოვნილი ჰყავთ.

**მედეა,** *საყელოში ჩაავლებს ხელს და სახესთან მიათრევს.* ყური მიგდე, ქალო! მეტისმეტად ბევრი იცი და მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობ. შენს ძუძუს ვწოვდი და შენს წუწუნს ვიტანდი; მაგრამ ხომ იცი, მედეა რომ რძეს არ გაუზრდია. შენი იმდენივე მმართებს, რამდენიც თხის ვალი მექნებოდა, მისი ძუძუ რომ მეწოვა შენი ძუძუს ნაცვლად. მაშ, მისმინე: შენ საკმაოდ მელაპარაკე შენი ძვლებით, შენი ყლუპით, შენი მზეზე დამპალი ხორცით... შენს ჭურჭელს, ბებერო, შენს ცოცხს, შენს ნაფცქვენებს მიხედე, როგორც შენს მოდგმას შეჰფერის. თამაში, რომელსაც ჩვენ ვთამაშობთ, სათქვენო არ არის. და თუ თქვენც ამ თამაშში დაეცით, უნებლიეთ და გაუგებრად, საწყენი იქნება, მაგრამ რა გაეწყობა! *(უხეშად აგდებს მიწაზე.)*

***ძიძა.*** მედეა! აქეთ მოდიან!

*მედეა მობრუნდება, მის წინაშე კრეონია ორსამკაციანი ამალით.*

***კრეონი.*** შენ ხარ, მედეა?

**მედეა.** დიახ.

**კრეონი.** მე კრეონი ვარ, ამ სოფლის მეფე.

**მედეა.** სალამი.

**კრეონი.** შენი ამბავი მოვიდა ჩემამდე. შენი დანაშაული აქაც ცნობილია. საღამოობით ჩვენი მხარის ყველა კუნძულზე ქალები ბავშვებს უყვებიან და აშინებენ. რამდენიმე დღე აგიტანე ამ მიწაზე შენი ფურგონით; ახლა უნდა წახვიდე.

**მედეა.** რა დავუშავე კორინთოსის ხალხს? საქათმეები გავუქურდე? საქონელი დაავადდა? წყაროები მოვუწამლე, როცა სადილისთვის წყალი ავიღე?

**კრეონი.** ჯერ არაფერი; მაგრამ ეს ყველაფერი შეგიძლია ერთ დღეს გააკეთო. წადი!

**მედეა.** კრეონ, მამაჩემიც მეფეა.

**კრეონი.** ვიცი. წადი და კოლხეთში მიჩივლე.

**მედეა.** კარგი, მე იქ დავბრუნდები. მეტად აღარ შევაშინებ შენი სოფლის დედაკაცებს, ჩემი ცხენი აღარ მოიპარავს შენი მიწის იშვიათ ბალახს. კოლხეთში დავბრუნდები, მაგრამ ვინც წამომიყვანა, იმან ჩამიყვანოს.

**კრეონი.** რისი თქმა გინდა?

**მედეა.** იასონი დამიბრუნე.

**კრეონი.** იასონი ჩემი სტუმარია, ჩემი მეგობარი მეფის შვილია და თავისუფალია, რასაც უნდა აკეთებს.

**მედეა.** რას მღერიან შენს სოფელში? რატომ ისვრით მაშხალებს ცაში, რატომ ცეკვავენ, რატომ არიგებენ ღვინოს? თუ ეს ჩემი ბოლო ღამეა, რომელიც აქ მომეცა, რატომ მიშლიან დაძინებას შენი პატიოსანი კორინთოსელები?

**კრეონი.** ამის სათქმელადაც მოვედი. ამ საღამოს ჩემი ქალიშვილის გათხოვებას ზეიმობენ. ხვალ იასონს მოჰყავს ცოლად.

**მედეა.** დიდხანს სიცოცხლე, ხანგრძლივი ბედნიერება ორივეს!

**კრეონი.** შენი კურთხევა არ დასჭირდებათ.

**მედეა.** რატომ ამბობ უარს, კრეონ? მეც დამპატიჟე ქორწილში. წარმადგინე შენს ქალიშვილთან. შეიძლება გამოვადგე, იცი? ათი წელი იასონის ცოლი ვიყავი და დრო მქონდა, შემესწავლა, ხოლო შენი ასული მხოლოდ ათი დღეა, იცნობს.

**კრეონი.** სწორედ იმიტომ, რომ ეს შეხვედრა არ მოხდეს, გადავწყვიტე, რომ ამაღამ დაგატოვებინო კორინთოსი. შეაბი ცხენი, ჩალაგდი, ერთი საათი გაქვს, რომ საზღვარზე გადახვიდე. ეს ხალხი გაგაცილებს.

**მედეა.** უარს თუ ვიტყვი წასვლაზე?

**კრეონი.** შენგან მოკლული მოხუცი პელიასის ვაჟები სთხოვენ შენს თავს ამ მხარის ყველა მეფეს. თუ დარჩები, იმათ გადაგცემ.

**მედეა.** ისინი შენი მეზობლები არიან. ძლიერნი არიან. მეფეები ხშირად უწევენ ერთმანეთს ამ სამსახურს. რატომ არ გადამცემ ახლავე?

**კრეონი.** იასონმა მთხოვა, წასვლის საშუალება მომეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მედეა.** კეთილი იასონი! მადლობა უნდა ვუთხრა, არა?! გინდა, ნახო, როგორ მანამებენ თესალიელები ამ ქორწილის დღეს? მხედავ სასამართლოზე, კორინთოსიდან რამდენიმე ლიეს დაშორებით ხმამაღლა რომ განვაცხადებ, ვისთვის მოვაკვლევინე პელიასი? სიძისათვის, პატიოსანო მსაჯულნო, თქვენი კეთილი მეზობელი მეფის, რომელთანაც საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ, პატივცემული სიძისათვის... ძალიან ქარაფშუტულად ასრულებ შენს სამეფო მოვალეობას, კრეონ! მე საკმარისი დრო მქონდა მამაჩემის სასახლეში, რომ მესწავლა, როგორ უნდა მბრძანებლობა. ბრძანე, ახლავე მომიღონ ბოლო.

**კრეონი,** *ყრუდ.* ასე უნდა ვაკეთებდე, დიახ; მაგრამ შევპირდი, რომ გაგიშვებდი. ერთი საათი გაქვს.

**მედეა,** *ამაყად უდგება წინ.* კრეონ, შენ ბებერი ხარ. დიდი ხანია, მეფე ხარ. საკმარისად გინახავს ადამიანები და მონები. ასევე საკმარისად იცნობ ბინძურ სამზარეულოს. შემხედე თვალებში და გამიცანი. მე მედეა ვარ. ასული აიეტესისა, რომელიც ბრძანებდა, როცა საჭირო იყო, დაეხოცათ ხალხი, ბევრად უფრო უდანაშაულო, ვიდრე მე ვარ, გარწმუნებ. მე შენი მოდგმისა ვარ. იმ მოდგმისა, რომელიც ასამართლებს და უსჯის, რომელიც შემდეგ არ აუქმებს განაჩენს და არ განიცდის სინდისის ქენჯნას. შენ მეფურად არ იქცევი, კრეონ. თუ გინდა, იასონს მისცე შენი ქალიშვილი, ბრძანე, ახლავე ამოგვხოცონ მეც, ეს დედაბერიც, ბავშვებიც, რომლებსაც აქ სძინავთ და ცხენიც. დაე, შენმა ერთგულმა ორმა კაცმა გადაბუგოს ყველაფერი, რაც ამ უდაბნოშია და შემდეგ ფერფლიც გაფანტოს. დაე, მედეასგან დარჩეს მხოლოდ დიდი შავი ლაქა გადამწვარ ბალახზე და ამბავი, რომელსაც შესაშინებლად მოუყვებიან საღამოობით კორინთოსის ბავშვებს.

**კრეონი.** რატომ გინდა, მოკვდე?

**მედეა.** შენ რატომ გინდა, რომ ახლა ვიცოცხლო? არც შენ, არც მე, არც იასონს არ სჭირდება, რომ მე ცოცხალი დავრჩე ერთი საათიც, კარგად იცი ეს.

**კრეონი,** გაურკვეველ მოძრაობას აკეთებს, შემდეგ ყრუდ ამბობს. ალარ მიყვარს სისხლის ღვრა.

**მედეა,** *უყვირის.* მაშინ შენ მეტისმეტად ბებერი ხარ, რომ მეფე იყო! შენი ვაჟი დააყენე შენ ნაცვლად, რომ მან ისე შეასრულოს ეს სამუშაო, როგორც საჭიროა, შენ კი მიხედე ვენახს და მზეზე გათბი! სხვა არაფრისთვის ალარ ვარგიხარ.

**კრეონი.** ამპარტავანი! ფურია! შენ გგონია, რჩევისთვის მოვედი შენთან?

**მედეა.** არა, მაგისთვის არ მოსულხარ, მაგრამ მე მაინც გაძლევ რჩევას. ეს ჩემი უფლებაა. შენი კი, მაიძულო და ხმა ჩამაგდებინო, თუ შეძლებ. სულ ესაა.

**კრეონი.** იასონს შევპირდი, რომ უვნებლად წახვიდოდი.

**მედეა,** *დაცინვით.* უვნებლად! ვერ წავალ უვნებლად, როგორც შენ ამბობ. მეტისმეტად კარგი იქნებოდა, უვნებლად წასვლა რომ შემეძლოს. საჭიროა ჩემი განადგურება, პირისაგან მიწისა აღგვა. დაე მედეა, რომელთან ერთადაც ამდენი გზაა გავლილი, იქცეს აჩრდილად, მოგონებად, სავალალო შეცდომად. ამ ყველაფერზე ოცნებობს იასონი! შეუძლია გამასულელოს, დაიმალოს შენს სასახლეში, შენი მცველების ზურგს უკან, თავშესაფარი იპოვოს შენი ასულის ხელებში და შენი სიკვდილის შემდეგ გახდეს კორინთოსის მეფე, მაგრამ მაინც იცის, რომ ჩვენი სახელები უწყვეტად არის სამარადჟამოდ შეერთებული. იასონ-მედეა! მათი გათიშვა შეუძლებელია. გამაძევებ თუ მომკლავ, ერთია ორივე. მასთან ერთად შენი ასული მეც მომყვება ცოლად, გინდა თუ არა, შენ მეც მიღებ მასთან ერთად. *(უყვირის.)* კრეონ, იყავი მეფე! გააკეთე, რაც საჭიროა. გააძევე იასონი. ჩემს დანაშაულებში ნახევარი მისია. ხელები, რომლებიც შენი ქალიშვილის სხეულს უნდა შეეხონ, იმავე სისხლითაა წითელი, რომლითაც ჩემი. მოგვეცი ორივეს ერთი საათი, ნაკლებიც კი. ჩვეულებად გვაქვს ყველა დანაშაულის შემდეგ ერთად გაქცევა. გარწმუნებ, სწრაფად ჩავალაგებთ ყველაფერს.

**კრეონი.** არა, მარტო წადი.

**მედეა,** *მოულოდნელი თვინიერებით.* კრეონ, არ მინდა გევედრო. არ შემიძლია. ჩემს მუხლებს მოხრა არ შეუძლიათ, ჩემს ხმას არ უნდა, მორჩილად ისმოდეს. მაგრამ შენ ადამიანური ხარ, რაკი ვერ გადაწყვიტე, ჩემთვის სიკვდილი მოგესაჯა. არ დაუშვა, რომ მარტო წავიდე. დაუბრუნე დევნილს მისი ხომალდი, დაუბრუნე მისი თანამგზავრი! მე მარტო არ ვიყავი, როდესაც მოვედი. მაშ, რატომ უნდა განგვასხვავო ახლა? მე იასონისათვის მოვკალი პელიასი, ვუღალატე მამაჩემს და შევწირე ჩემი უდანაშაულო ძმა გამოქცევისას. მე ვეკუთვნი იასონს, მე მისი ცოლი ვარ და ყველა ჩემი დანაშაული მისია.

**კრეონი.** შენ ტყუი. მე ყველაფერი გავარკვიე. იასონი უდანაშაულოა უშენოდ, თუკი მის საქციელს შენი საქციელისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ. სასამართლოზე მისი დაცვა შესაძლებელია, შენ კი მარტო ხარ მოთხვრილი. იასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ჩვენიანია, ის ჩვენი ერთ-ერთი მეფის შვილია. მისი სიყმაწვილე, ისევე როგორც სხვებისა, შესაძლოა, უგუნური იყო, მაგრამ ახლა ისაა ადამიანი, რომელიც ჩვენსავით ფიქრობს. შენ კი შორიდან ბრძანდები მოსული, შენ აქ უცხო ხარ შენი ჯადოქრობითა და სიძულვილით. დაბრუნდი შენს კავკასიაში, იპოვე შენი მოდგმის კაცი, შენსავით ბარბაროსი, ხოლო ჩვენ დაგვტოვე ამ ულრუბლო ცის ქვეშ, ამ წყნარი ზღვის პირას, რომელიც გულგრილია შენი დაუოკებელი ვნებებისა და ყვირილის მიმართ.

**მედეა,** *პაუზის შემდეგ.* კარგი, მე წავალ. მაგრამ ჩემი შვილები, რომელი მოდგმისანი არიან? დანაშაულისა თუ იასონისა?

**კრეონი.** იასონი ფიქრობს, რომ ისინი ხელს შეგიშლიან გზაში. დაგვიტოვე ისინი ჩვენ. ჩემს სასახლეში გაიზრდებიან. გპირდები, რომ ჩემი მფარველობა არ მოაკლდებათ.

**მედეა,** *თვინიერად.* მადლობა უნდა გითხრათ ისევ, ასე არ არის? ადამიანური ბრძანდებით, მეტიც, სამართლიანი ბრძანდებით, მთლიანად და სიძულვილის გარეშე.

**კრეონი.** შენთვის შეინახე შენი მადლობა. წადი. საათი უკვე მთავრდება და როდესაც მთვარე ცაზე მაღლა იქნება, ველარავინ დაგიცავს შემდეგ აქ. ბრძანება გაცემულია.

**მედეა.** რა ბარბაროსული, რა უცხო და რა უხეშიც უნდა იყოს კავკასია, საიდანაც მე მოვდივარ, დედები იქაც გულში იხუტებენ თავიანთ შვილებს, კრეონ, როგორც სხვაგან. ველური ცხოველებიც ამას შვრებიან... ბავშვებს იქ სძინავთ. ეს ყვირილი, ეს ჩირაღდნები ღამეში, ეს უცნობი ხელები, რომლებიც აიყვანეს და მე მომაცილებენ, შესაძლოა მეტისმეტი საზღაური იყოს მათი დედის დანაშაულებისათვის. მომეცი დრო ხვალამდე. დილით ჩვეულებრივად გავაღვიძებ და გამოგიგზავნი შენ. დაუჯერე მედეას, მეფევ! როგორც კი გზაზე მოუხვევენ, მე გავემგზავრები.

**კრეონი,** *ერთხანს მდუმარედ უყურებს და შემდეგ უეცრად.* იყოს. *(ყრუდ ამატებს, ისე რომ მზერას არ აცილებს.)* ხედავ, მართლა მოხუცი ვარ. ერთი ღამე ძალიან ბევრია შენთვის. ეს შენი ათი დანაშაულის დროა. არ უნდა შემესმინა შენი ვედრება. მაგრამ მეც ბევრი მომიკლავს, მედეა. დაპყრობილ სოფლებში, სადაც ჩემი მთვრალი ჯარისკაცებით ვიჭრებოდი, ბავშვებსაც ვკლავდი. სანაცვლოდ ვაძლევ ბედისწერას ამ ორი ბავშვის მშვიდ ძილს. თუ უნდა, გამოიყენოს იგი ჩემს დასაღუპავად.

*გადის ამალასთან ერთად. როგორც კი თვალს მოეფარება, მედეას სახე ეცვლება, მიაფურთხებს და მთელი ხმით ყვირის.*

**მედეა.** ჩემი იმედი გქონდეს, კრეონ! მედეას იმედი გქონდეს! ბედისწერას ცოტა დახმარება სჭირდება! დაგიკარგავს შენი კლანჭები, ბებერო ლომო, თუკი ვედრების შესმენა და ბავშვების მკვლელობის გამოსყიდვა შეგიძლია... აჰ! შენ გინდა ძილი აცალო ამ ორს, რადგან რაღაც გიღიტინებს მკერდის ღრუში, როდესაც მარტო ხარ საღამოობით შენს ცარიელ სასახლეში ვახშმის შემდეგ და ფიქრობ ყველაზე, ვინც მოგიკლავს. ეს შენი სტომაქი ურევს, ბებერო მტაცებელო, სხვა არაფერი! ჭამე ფაფა, მიიღე ფხვნილი, ნუ დატკბები მეტად საკუთარი თავით, რომ ასე კარგი ხარ, მოხუცი კრეონი, რომელსაც ასე კარგად იცნობ, სინამდვილეში მშვენიერი კაცი, თუმცა გაუგებარი, რომელსაც მაინც დაუხოცავს უცოდველების თავისი რაოდენობა, როდესაც ჯერ კიდევ ჰქონდა კბილები და ჯანი მოსდგამდა. მხეცებიც ხომ ხოცავენ ბებერ მგლებს, რომ წარსულის მოგონებებსა და დაგვიანებულ მონანიებას აარიდონ. იმედი არ გქონდეს, რომ ეს ჩაგეთვლება. მე მედეა ვარ, ბებერო ნიანგო! მე ზუსტად ვწონი, ღმერთებს თუ უნდათ, შეუძლიათ უფრო გაგიგონ. კარგი და ცუდი მეც გამეგება. ვიცი, რომ ნაღდით გვიწევს გადახდა, რომ ყველა დარტყმა მშვენიერია და რომ თავი უყოყმანოდ უნდა დაიცვა. და რაკი სისხლი გაგიცივდა, ჯირკვლები მოგიკვდა და იმდენად მოეშვი, რომ ეს ღამე მაჩუქე, ეს ძვირად დაგიჯდება! *(უყვირის ძიძას.)* ჩაალაგე, დედაბერო! ქვაბი არ დაგრჩეს, ლოგინი დაახვიე, ცხენი შეაბი. ერთ საათში მივემგზავრებით.

*ჩნდება იასონი.*

**იასონი.** სად მიდიხარ?

**მედეა,** *მიუბრუნდება.* გავრბივარ, იასონ! გავრბივარ. ჩემთვის ახალი არ არის ადგილის გამოცვლა. გაქცევის მიზეზი კი არის ახალი, რადგან დღემდე შენ გამო გავრბოდი.

**იასონი.** იმათ მოვყვებოდი. ვაცალე, წასულიყვნენ, რომ მარტო მენახე.

**მედეა.** რამე გაქვს კიდევ ჩემთვის სათქმელი?

**იასონი.** ამის ეჭვი გაქვს. ყოველ შემთხვევაში, მოვისმენდი, რასაც მეტყოდი წასვლის წინ.

**მედეა.** და არ გეშინია?

**იასონი.** კი.

**მედეა,** *ნელა უახლოვდება და უეცრად ამბობს.* მოდი, შევხედო... მე შენ მიყვარდი! ათი წელი გვერდით გენექი. მეც დავბერდი შენსავით, იასონ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იასონი.** დიახ.

**მედეა.** ისევ ისეთს გხედავ, როგორიც წინ დამიდექი პირველ ღამეს კოლხეთში. შავგვრემანი გმირი, გემიდან ჩამოსული, განებივრებული ბავშვი, რომელსაც ოქროს საწმისი უნდოდა, რომლის სიკვდილი დაუშვებელი იყო, ნუთუ ეს შენ იყავი?

**იასონი.** ეს მე ვიყავი.

**მედეა.** მაშინ უნდა მიმეტოვებინე და მარტო უნდა მიმეშვი ხარებთან! მარტო მიწიდან ამოსულ შეიარაღებულ გოლიათებთან და საწმისის მცველ დრაკონთან.

**იასონი.** შეიძლება.

**მედეა.** მოკვდებოდი. რა იოლი იქნებოდა სამყარო იასონის გარეშე!

**იასონი.** სამყარო მედეას გარეშე! მეც მიოცნებია ამაზე.

**მედეა.** მაგრამ ეს სამყარო მოიცავს იასონსაცა და მედეასაც და იგი უნდა მიიღო, როგორიც არის. სულ ტყუილად სთხოვე დახმარება შენს სიმამრს, რომ მისმა კაცებმა საზღვრამდე მიმაცილონ; ერთი ზღვა იქნება თუ ორი, ეს ჩვენ შორის საკმარისი არ არის, ხომ იცი. რატომ დაუშალე ჩემი მოკვლა?

**იასონი.** იმიტომ, რომ დიდხანს ჩემი ცოლი იყავი, მედეა. იმიტომ, რომ მიყვარდი.

**მედეა.** და ახლა არ ვარ?

**იასონი.** არა.

**მედეა.** ბედნიერი იასონი, განთავისუფლებული მედეასგან! შენმა უეცარმა სიყვარულმა კორინთოსის ამ პატარა ბატისადმი, მისმა ნორჩმა მკვეთრმა სუნმა, ქალწულის შეტყუპებულმა მუხლებმა გაგათავისუფლეს?

**იასონი.** არა.

**მედეა.** მაშ რა?

**იასონი.** შენ.

*პაუზა. დგანან ერთმანეთის პირისპირ და ერთმანეთს თვალებში უყურებენ. უეცრად ქალი უყვირის.*

**მედეა.** შენ ვერასოდეს განთავისუფლდები, იასონ! მედეა ყოველთვის შენი ცოლი იქნება! შეგიძლია გამაძევო, მაშინვე დამახრჩო, როდესაც ჩემი ყვირილის გაგონებას ვერ შეძლებ, მაგრამ არასოდეს, მეტად არასოდეს მედეა არ დატოვებს შენს მეხსიერებას! შეხედე ამ სახეს, რომელზედაც მხოლოდ სიძულვილს ამოიკითხავ, შეხედე შენი სიძულვილით, ბრაზმა და დრომ შეიძლება დაამახინჯოს იგი, მანკიერება მასზე თავის კვალს დატოვებს; ოდესმე ეს იქნება საზარელი დედაბრის სახე, რომელიც ყველას თავზარს დასცემს, მაგრამ შენ ბოლომდე ამოიკითხავ მასზე მედეას სახეს!

**იასონი.** არა, მე მას დავივიწყებ.

**მედეა.** ასე გგონია? შენ სხვა თვალებს ჩააშტერდები, სხვა ბაგეებიდან დაეუფლები სიცოცხლეს, შენს პატარა მამაკაცურ სიამოვნებას მიიღებ, სადაც შეძლებ. ოჰ! შენ სხვა ქალები გეყოლება, დამშვიდდი, ათასი ქალი გეყოლება, რადგან ვერ შეძელი, რომ ერთი გყოლოდა; მაგრამ შენ სამუდამოდ დაიწყებ მათს თვალებში ამ ანარეკლის, მათ ტუჩებზე ამ გემოს, მათს სხეულზე მედეას ამ სურნელის ძებნას.

**იასონი.** სწორედ ამ ყველაფერს გავურბი!

**მედეა.** შენს თავს, კაცის ბინძურ თავს შეიძლება ეს უნდოდეს, მაგრამ შენი გზასაცდენილი ხელები, შენგან დამოუკიდებლად, სიბნელეში უცხო სხეულში მიტოვებული მედეას ფორმას დაუწყებენ ძებნას. თავი გეტყვის, რომ ისინი ათასჯერ უფრო ნორჩი და მშვენიერია. მაშ, არ დახუჭო თვალები, იასონ, რომ ერთი წამითაც არ მოტყუვდე. შენი ჯიუტი ხელები შენს დაუკითხავად მოძებნიან თავიანთ ადგილს შენი ქალის სხეულზე... ბოლოს და ბოლოს, ჩემი მსგავსი უამრავი ახალი მედეა გეყოლება მოხუცს ლოგინში, მაშინ როცა ნამდვილი მედეა იქნება მხოლოდ ძვლებით სავსე ტყავის ტომარა, ამოუცნობი; საკმარისია შეეხო მოუხელთებელ სისქეს, ერთი კუნთით მოკლეს ან გრძელს, რომ ბებერი ხელების ახალგაზრდა მტევნები გაიხსენებენ მედეას და გაიკვირვებენ, ის არ არისო. მოიჭერი ხელები, იასონ, ახლავე მოიჭერი ხელები! გამოიცვალე ხელები, თუ გინდა, კიდევ გიყვარდეს.

**იასონი.** მაშ შენ გგონია, რომ სხვა სიყვარულის საძებნელად გტოვებ შენ? ნუთუ გგონია, რომ ხელახლა დაწყება მინდა? მარტო შენ კი არ მძულხარ, სიყვარულიც მძულს!

*პაუზა. ერთმანეთს უყურებენ.*

**მედეა.** სად გინდა, რომ წავიდე? სად მაგზავნი? მივაღწევ ფასისს, კოლხეთს, მამის სამეფოს, ჩემი ძმის სისხლით მორწყულ ველებს? შენ მაგდებ. რომელ მიწაზე მიბრძანებ, რომ წავიდე უშენოდ? რომელ თავისუფალ ზღვებზე? პონტოსის სრუტეებისკენ, სადაც შენ მოგყვებოდი, ვტყუოდი, ვცრუობდი, ვქურდობდი შენ გამო? ლემნოსზე, სადაც არასოდეს არ უნდა დამივიწყონ? თუ თესალიაში, სადაც მელიან, მამისთვის რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური იძიონ, რომელიც შენ გამო მოვკალი? ყველა გზა, რომელიც შენ გაგიხსენი, ჩემთვის ჩაიკეტება. მე ვარ მედეა, დატვირთული საშინელებითა და დანაშაულით. შენ შეგიძლია დამივიწყო, მაგრამ სხვებმა არ დამივიწყეს. რა გართულებაა ყოფილი თანამზრახველი, არა? საჭირო იყო, მოვეკალი კრეონს, კარგად ხედავ ამას.

**იასონი.** მე შენ გადაგარჩენ.

**მედეა.** შენ მე გადამარჩენ! რას გადაარჩენ? ამ ნახმარ ტყავს, ამ მედეას ჩონჩხს, რომელიც თავისი სევდითა და სიძულვილით სადღაც დაეხეტება? ცოტა პური, სადღაც სახლი და რომ დაბერდეს სიჩუმეში, არა? რომ მასზე აღარ ილაპარაკონ საბოლოოდ! რატომ ხარ ლაჩარი, იასონ? რატომ არ მიდიხარ ბოლომდე? მხოლოდ ერთი ადგილია, ერთი სავანეა, სადაც მედეა დადუმდება. შენ გინდა, რომ მე მოვიპოვო ეს სიმშვიდე, რომ შენ შეძლო სიცოცხლე, მომეცი იგი. მიდი, უთხარი კრეონს, რომ თანახმა ხარ. ეს მხოლოდ ერთი პატარა წუთი გაგრძელდება. შენ უკვე მოკალი დღეს მედეა, იცი მშვენივრად. მედეა მკვდარია. და რაღაა მედეას სულ ცოტა სისხლი დამატებით? გუბე, რომელსაც მიწიდან გადარეცხავენ, საშინელების გრიმასის გახევებული კარიკატურა, რომელსაც სადღაც გადამალავენ, რომელიმე ორმოში. არაფერი. დაამთავრე, იასონ! აღარ შემიძლია მეტი მოცდა. წადი, უთხარი კრეონს.

**იასონი.** არა.

**მედეა,** უფრო რბილად. რატომ? გგონია, რომ უფრო მეტკინება, თუ გამგლეჯენ ან კანი გამისკდება?

**იასონი.** მე საერთოდ არ მინდა შენი სიკვდილი. შენი სიკვდილი ისევ შენ ხარ. მე მინდა დავიწყება და მოსვენება.

**მედეა.** ეგ არასოდეს არ გეღირსება, იასონ! შენ ეგ დაკარგე იმ საღამოს კოლხეთში, ტყეში, როდესაც ხელები ჩამავლე. მკვდარი თუ ცოცხალი, მედეა აქაა, შენი სიხარულისა და მოსვენების წინ, დაცვას უზრუნველყოფს. ეს საუბარი, რომელიც მასთან წამოიწყე, ახლა დასრულდება მხოლოდ შენი სიკვდილით. სინაზისა და სიყვარულის სიტყვების შემდეგ მოვიდა შეურაცხყოფა და განხეთქილება, ახლა სიძულვილია, იყოს, მაგრამ ისევ და ისევ მედეას ელაპარაკები. სამყარო შენთვის მედეაა, სამუდამოდ.

**იასონი.** სამყარო შენთვის ყოველთვის იასონი იყო?

**მედეა.** დიახ!

**იასონი.** სწრაფად ივიწყებ! ახლა აქ უკანასკნელი საოჯახო სცენის მოსაწყობად არ მოვსულვარ, მაგრამ ეს სარეცელი, რომელიც, როგორც შენ ამბობ, სამუდამოდ გვაკავშირებდა, პირველმა ვინ დატოვა? დიახ, პირველმა ვინ იგრძნო სხვისი ხელები თავის სხეულზე, სხვა კაცის სიმძიმე თავის მუცელზე?

**მედეა.** მე!

**იასონი.** მე მეგონა, რომ შენ ისიც დაგავიწყდა, რატომ გავიქეცით ნაქსოსიდან.

**მედეა.** შენ უკვე ხელიდან მისხლტებოდი. შენი სხეული ჩემ გვერდით იწვა ყოველ ღამეს, მაგრამ შენს თავში, მამაკაცის ბინძურ თავში, საიდუმლოდ იჭედებოდა სხვა ბედნიერება, უჩემოდ. და აი, მე ვცადე, პირველი გაგქცეოდი, დიახ!

**იასონი.** მოსახერხებელი სიტყვაა, გაქცევა.

**მედეა.** არც ისე, როგორც ხედავ, რაკი ვერ მოვახერხე. ეს ხელები, ეს სხვა სუნი, ეს სიამოვნებაც კი, რომელსაც შენ აღარ მაძლევდი, მე ისინი მაშინვე შევიძულე. მე დაგეხმარე, მოგეკლა, საათიც გითხარი. მე ვიყავი შენი თანამზრახველი მის წინააღმდეგ. მე გავწირე იგი. დაგავიწყდა ის საღამო, მე რომ გითხარი: “მოდი, აქ არის, შეგიძლია შეიპყრო”?

**იასონი.** ნურასოდეს ილაპარაკებ იმ საღამოზე!

**მედეა.** საზიზღარი ვიყავი, არა, იმ საღამოს, თანაც ორჯერ? შენ გეზიზღებოდი, გძულდი მთელი ძალით და მე შენგან სხვა არაფერს ველოდი, მხოლოდ გაყინულ მზერას, მაგრამ მაინც შენ, სწორედ შენ გთხოვე,წამოგეყვანე. ის მაინც ლამაზი იყო, ხომ იცი, იასონ, ჩემი ნაქსოსელი მწყემსი! ახალგაზრდა იყო და მე ვუყვარდი!

**იასონი.** რატომ არ უთხარი, მოვეკალი? ვიწვებოდი ახლა შენგან შორს, დასრულებული ვიქნებოდი.

**მედეა.** მე არ შემეძლო! საჭირო გახდა და მე ბუზივით მივენებე შენს სიძულვილს, რომ გზა შენთან ერთად გამეგრძელებინა და მეორე დღეს შენს მოწყენილ სხეულს მივკროდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ძილი შემძლებოდა. გგონია, ათასგზის უფრო მეტად არ მეზიზღებოდი, ვიდრე შენ? ვყმუოდი ჩემი სარკის წინ, სახეს ფრჩხილებით ვიხოკავდი, რადგან ის ძუკნა ვიყავი, რომელიც დასაწოლად თავის სოროში ბრუნდებოდა. ცხოველები ერთმანეთს მაინც ივიწყებენ და შორდებიან, როგორც კი სურვილი კვდება... მე შენ გიცნობ, კორინთოსელი გოგოების გმირო, აწონილი მყავხარ. ვიცი, რისი მიცემაც შეგიძლია. მაგრამ ჯერაც აქ ვარ, როგორც ხედავ.

**იასონი.** შესაძლოა მეტისმეტად სწრაფად მო-

ეროვნული

კალი შენი მწყემსი!

**მედეა,** *უეცრად ესვრის.* მე ვცადე, იასონ, არ იცოდი? კიდევ ვცადე სხვებთანაც შემდეგ. ვერ შევძელი!

*პაუზა. იასონი უეცრად ამბობს უფრო რბილად.*

**იასონი.** საბრალო მედეა...

**მედეა,** *ფურიასავით წამოიმართება მის წინაშე.* გიკრძალავ ჩემს შებრალებას!

**იასონი.** ზიზღის უფლებას მაძლევ? საბრალო მედეა, სულ აირია! საბრალო მედეა, რომელსაც სამყარომ ზურგი შეაქცია! შეგიძლია აკრძალო შენი შებრალება. არავის არასოდეს არ შეებრალები. მე - მით უმეტეს; დღეს რომ გამეგო შენი ამბავი, ვერ შეგიბრალებდი. კაცი იასონი შენ განგიხილავს სხვა კაცებთან ერთად. და შენი შემთხვევა გადაწყვეტილია ერთხელ და სამუდამოდ. მედეა! რა ლამაზი სახელია და მაინც მხოლოდ შენი იქნება სამყაროში. ამაყო ქალო! მიიტანე შენს პატარა ბნელ კუთხეში, სადაც შენს სიხარულს მალავ: სხვა მედეები აღარ იქნებიან, არასოდეს, ამ დედამიწაზე. დედები შვილებს არასოდეს დაარქმევენ ამ სახელს. შენ იქნები მარტო, დროთა აღსასრულამდე, როგორც ამწუთას ხარ.

**მედეა.** მით უკეთესი! გაიმართე, მუშტები შეკარი, იფურთხე, ფეხები აბაკუნე... რაც მეტს გაგკიცხავთ და შეგიძულებთ, მით უკეთესი, ხომ ასეა? რაც უფრო გაიზრდება წრე შენ ირგვლივ, მით უფრო მარტო იქნები, მით უფრო გეტკინება და რაც მეტი მიზეზი გაჩნდება, საკუთარი თავი შეიძულო, მით უკეთესი. დღეს საღამოს კი მარტო არ ხარ, მით უარესი... მე, რომელიც ყველაზე მეტად დაიტანჯა შენ გამო, მე, რომელიც შენ ყველას არჩიე, რომ გადაგეყლაპე, მე მებრალები.

**მედეა.** არა!

**იასონი.** მე მებრალები შენ, მედეა, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს იცნობ, რომელსაც მხოლოდ იმისთვის შეუძლია მოგცეს, რომ მიიღოს, მე მებრალები, რადგან მიმაგრებული ხარ მუდმივად საკუთარ თავს, გარშემორტყმული ხარ შენ მიერ დანახული სამყაროთი...

**მედეა.** შენთვის შეინახე სიბრალული! დაჭრილი მედეაც საშიშია. ჯობს, თავი დაიცვა.

**იასონი.** შენ ჰგავხარ მუცელგამოფატრულ პატარა ცხოველს, რომელიც საკუთარ შიგნეულში გახლართული იბრძვის და კიდევ თავს ხრის შეტევისათვის.

**მედეა.** კარგი არაფერი მოუვა, იასონ, მონადირეს, რომელსაც გული უჩუყდება იმის ნაცვლად, რომ იარაღი ჰქონდეს შემართული. ყველაფერი იცი, ჯერ კიდევ რაც შემიძლია?

**იასონი.** დიახ, ეგ ვიცი.

**მედეა.** შენ იცი, რომ მე გული არ ამიჩვილდება და სიბრალულს არ დავანებებ, უკანასკნელ წამს დამეუფლოს! ადრეც ხომ გინახავს, რომ დანებება არ მჩვევია, თუმცა მცირე რამისთვის ყველაფრის გაწირვა შემიძლია?

**იასონი.** დიახ.

**მედეა.** მაშ, რა გინდა შენ? რისთვის მოხვედი, რომ უცებ ყველაფერი აურიო შენი შებრალებით? მე საზიზღარი ვარ, შენ ეს იცი. მე შენ გიღალატე, როგორც სხვებს. მე მხოლოდ ცუდის კეთება ვიცი. შენ ამას ჩემგან ველარ იტან და კარგად გრძნობ, რა დანაშაულსაც ვამზადებ. მაშ, თავი დაიცავი! უკან დაიხიე! სხვებს მოუხმე! ასე კი ნუ მიყურებ, გირჩევნია, თავი დაიცვა!

**იასონი.** არა.

**მედეა.** მე მედეა ვარ! მე მედეა ვარ! შენ გემლება! მედეა, რომელსაც შენთვის არასოდეს არაფერი არ მოუტანია, სირცხვილის მეტი. მე ვცრუობდი, ვატყუებდი, ვქურდობდი, მე ბინძური ვარ... ჩემ გამოა, რომ დევნილი ხარ და შენ ირგვლივ ყველაფერი სისხლით მოთხვრილია. მე ვარ შენი უბედურება, იასონ, შენი წყლული, შენი ფუფხი. მე ვარ შენი დაკარგული ახალგაზრდობა, შენი გაფანტული კერა, შენი მოხეტიალე ცხოვრება, შენი მარტოობა, შენი სამარცხვინო სენი. მე ვარ შენი ბინძური საქმეები და ბინძური ფიქრები. მე ვარ სიამაყე, ეგოიზმი, გარყვნილება, მანკიერება, დანაშაული. მე ვყარვარ, ვყარვარ, იასონ! ყველას ეშინია ჩემი და უკან იხევს. შენ ხომ იცი, რომ მე სულ ეს ვარ და მე მალე ვიქნები დაცემა, სიმახინჯე, გაბოროტებული სიბერე. ყველაფერი, რაც შავი და მახინჯია დედამიწაზე, მე ჩავიბარე შესანახად. მაშ, როდესაც შენ ეს იცი, კიდევ რატომღა მიყურებ ასე? მე არ მჭირდება შენი სინაზე. მე არ მჭირდება შენი კეთილი თვალები. *(უყვირის.)* შეწყვიტე, შეწყვიტე, იასონ! თუ არა, ახლავე მოგკლავ, რომ ასე აღარ მიყურო!

**იასონი,** *რბილად.* შეიძლება ეს საუკეთესოც ყოფილიყო, მედეა.

**მედეა,** *უყურებს და უბრალოდ ამბობს.* არა. შენ არა.

**იასონი,** *მიდის მასთან და მის ხელს იღებს.* მაშ, მომისმინე. მე ვერ დაგიშლი, რომ შენ შენ იყო. მე ვერ დაგიშლი, ბოროტება ჩაიდინო, რომელსაც შენში ატარებ. თანაც წილი უკვე ნაყარია. გადაუწყვეტელი კამათიც შეიძლება გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყდეს, როგორც სხვა და ვილაცამ უეჭველად იცის უკვე, როგორ დამთავრდება ყველაფერი ეს. მე ვერაფერს ვერ შევუშლი ხელს. ერთადერთია, ბოლომდე შეუსრულო როლი, რომელიც დამეკისრა დიდი ხანია. მაგრამ რაც შემიძლია, ესაა ერთხელაც ყველაფერი ვთქვა. სიტყვები არაფერია, მაგრამ საჭიროა, მაინც ითქვას. და თუ საჭიროა, რომ მე ამ საღამოს ვიყო ამ ამბის მკვდრების რიცხვში, მე მინდა მოვკვდე განწმენდილი ჩემი სიტყვებით...

მე მიყვარდი, მედეა, როგორც კაცს უყვარს ქალი, უპირველეს ყოვლისა. შენ, უეჭველია, მხოლოდ ასეთი სიყვარული იცოდი და ამით ტკბებოდი, მაგრამ მე შენ მოგეცი მეტი, ვიდრე კაცის სიყვარულია, შეიძლება შენ ეს არც გაგიგია. მე შენში დავიკარგე, როგორც პატარა ბავშვი ქალში, რომელმაც იგი სამყაროს მოუვლინა. შენ დიდხანს იყავი ჩემი სამშობლო, ჩემი სინათლე, შენ იყავი ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავდი, წყალი, რომელიც უნდა დამელია, რომ მეცოცხლა და პური ჩემი არსობისა.

როდესაც კოლხეთში გაგიცანი, შენ იყავი სხვებზე უფრო ლამაზი და მიუწვდომელი ქალიშვილი, რომელიც მე დავიპყარი ოქროს საწმისთან ერთად და წამოვიყვანე. ამ იასონზე დარდობ? მე წამოგიყვანე, როგორც მამაშენის ოქრო, რომ აწრაფად გამეფლანგე, რომ ოქროსავით უდარდელად დამეხარჯე. ღმერთო ჩემო, მე მქონდა გემი, მყავდნენ ერთგული მეგობრები, წინ მელოდა სხვა თავგადასავლები. თავიდან მიყვარდი, ისე, როგორც შენ, მედეა: ჩემი გავლით. სამყარო იყო იასონი, იასონის სიხარული, მისი ვაჟკაცობა და მისი ძალა - მისი შიმშილი. და რადგან ორივეს დიდი კბილები გვქონდა, ერთ მშვენიერ დღესაც ერთი ჩვენგანი შეჭამდა მეორეს...

და აი, ერთ საღამოს, რომელიც სხვა საღამოებისგან არაფრით განსხვავდებოდა, თავი მხარზე დამადე და მაგიდასთან ჩაგეძინა პატარა გოგოსავით. და ამ საღამოს, როცა შენ, ალბათ, მხოლოდ მეტისმეტად გრძელი გზით დაღლილი იყავი, უეცრად ვიგრძენი, შენით ავივსე. ერთი წუთის წინ ჯერ კიდევ იასონი ვიყავი და ამ სამყაროში მხოლოდ ჩემს სიამოვნებას ვიღებდი ძალით. საკმარისი აღმოჩნდა, რომ შენ დადუმებულიყავი, შენი თავი ჩემს მხარზე აღმოჩენილიყო და ეს ყველაფერი დამთავრდა... ჩემ ირგვლივ აგრძელებდნენ სიცილსა და ლაპარაკს, მაგრამ მე ისინი უკვე მივატოვე. ახალგაზრდა კაცი იასონი მოკვდა. მე ვიყავი შენი მამა და შენი დედა; მე ვიყავი ის, ვის მხარზედაც ეძინა მედეას. რა სიზმარს გიჩვენებდა ქალის პატარა ტვინი, როდესაც მე ასე ავივსე შენით? შემდეგ მე ჩვენს სარეცელზე დაგასვენე და იმ საღამოს არ დაგუფლებივარ, არც მომნდომებიხარ. მხოლოდ გიყურებდი, რომ გეძინა. ღამე მშვიდი იყო, დიდი ხანია შორს გავექეცით მამაშენის გამოგზავნილ მდევარს, ჩემი შეშინებული თანამგზავრები გვიცავდნენ და მაინც მე თვალის დახუჭვას ვერ ვბედავდი. მე შენ გიცავდი, - არვისგან, სხვათა შორის, - მთელი ის ღამე.

დილით გზა განვაგრძეთ და დღეები ისევ ერთმანეთის დაემსგავსა, მაგრამ ნელ-ნელა ბიჭებს, რომლებიც პირველები წამომყვნენ უცნობი ზღვისკენ, იოლკოსელ პატარა ბიჭებს, რომლებიც მზად იყვნენ ჩემს პირველივე ნიშანზე თავისი სუსტი იარაღით ურჩხულებს შებმოდნენ, შიში შეეპარათ. ისინი მიხვდნენ, რომ მე აღარ ვიყავი მათი მეთაური, რომ მე მათ ვერაფრის საძებნელად ვერსად ვერ გავუძღვებოდი, ახლა, როცა მე შენ გიპოვე. მათი მზერა სევდიანი გახდა და, შეიძლება, ზიზღიანიც, მაგრამ არ უსაყვედურიათ. ოქრო გავიყავით და მათ მივატოვეს. მაშინ სამყარომ თავისი ფორმა მიიღო. მე მეგონა, რომ მას მუდმივად ასე დავინახავდი. სამყარო გახდა მედეა...

ნუთუ დაგავიწყდა ის დღეები, როდესაც ჩვენ არაფერს ვაკეთებდით, არაფერს ვფიქრობდით ერთმანეთის გარეშე? ორი თანამზრახველი სულ უფრო გართულებულ ცხოვრებასთან ჭიდილში, ორი პატარა ძმა, რომელთაც ხელებდაკაპიწებულებს მიაქვთ თავიანთი ჩანთა გვერდიგვერდ, ყველაფრისთვის მზად არიან, სიკვდილისათვისაც კი, უსიტყვოდ იყოფენ ყველაფერს შუაზე, ჩხუბში ორივე თავისი დანით, ნახევარი დაღლილობით, ნახევარი ბოთლით სუფრასთან. გენყინებოდა, ხელი რომ გამომეწოდა და დახმარება შემომეთავაზებინა რთულ გადასასვლელზე. იასონი მხოლოდ ერთ პატარა არგონავტს მეთაურობდა. ჩემი პატარა სუსტი არმია თავსაფრის ქვეშ დამალული თმებით, ნათელი და პირდაპირ მიქცეული მზერით, შენ იყავი. მაგრამ მე შემეძლო ამ ერთგული არმიით მთელი მსოფლიო დამეპყრო!.. პირველ დილას "არგოზე", ჩემი ოცდაათი მეზღვაურით, ჩემთვის რომ სიცოცხლეს გაიღებდნენ, ვერ ვგრძნობდი თავს ასე ძლიერად... საღამოობით კი, შესვენებისას, როდესაც ჯარისკაცი და კაპიტანი გვერდიგვერდ იხდიდნენ სამოსს, გაოგნებულნი აღმოაჩენდნენ ერთნაირი ხალათის ქვეშ კაცსა და ქალს და ერთმანეთი უყვარდათ.

ჩვენ შეიძლება უბედურები ვიყოთ ახლა, მედეა, შეიძლება ერთმანეთს ვანამებდეთ და ვტანჯავდეთ. ის დღეები ჩვენ მოგვეცა და შეუძლებელია სირცხვილმა ან სისხლმა ისინი დასვაროს...

*დუმილი. იასონი ოდნავ ჩაფიქრდა. მედეა ჩაცუცქდა, სანამ ის ლაპარაკობდა, მუხლებზე ხელები შემოიხვია, თავი დახარა. კაციც გვერდით ჩაცუცქდა, თუმცა მას არ უყურებს.*

შემდეგ პატარა ჯარისკაცმა ქალის სახე დაიბრუნა და კაპიტანს მოუხდა კაცი გამხდარიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენ დავიწყეთ ერთმანეთისთვის ცუდის კეთება. სხვა გოგოები დადიოდნენ ქუჩებში და მე არ შემეძლო, მათთვის არ შემეხედა. პირველად გავიგონე და გამიკვირდა, რა ხალისით იცინოდი სხვა მამაკაცებთან და შემდეგ შენი ტყუილებიც მოვიდა. ჯერ ერთხელ მოიტყუე და ეს ტყუილი შხამიანი ცხოველივით დიდხანს მოგვყვებოდა; ჩვენ მისთვის თვალის გასწორებას ვერ ვბედავდით და პირს ვიბრუნებდით. შემდეგ კიდევ ტყუოდი, ყოველდღე უმატებდი. და საღამოს, როდესაც ერთმანეთს უსიტყვოდ ვეუფლებოდით და გვრცხვენოდა ჩვენი ჯერ კიდევ თანამზრახველი სხეულებისა, ამ ტყუილების ჯოგი ჩვენ ირგვლივ ირეოდა და სუნთქავდა ღამეში. ჩვენი სიძულვილი უნდა დაბადებულიყო ერთ-ერთი ამგვარი, სინაზეს მოკლებული სატრფიალო შეტაკებიდან და ჩვენ უკვე სამნი დავხეტიალობდით, ის უკვე ჩვენ შორის იყო; მაგრამ რატომ ვლაპარაკობ იმაზე, რაც უკვე მკვდარია? ჩემი სიძულვილიც მოკვდა...

*შეწყვეტა. მედეა წყნარად ამბობს.*

**მედეა.** თუ მხოლოდ მკვდარ რამეებზე ვლაპარაკობთ, რატომ ვართ ასე ცუდად ორივე, იასონ?

**იასონი.** იმიტომ, რომ ყველაფერი მძიმეა დაბადებისას ამ სამყაროში და მძიმედ კვდება.

**მედეა.** შენ იტანჯებოდი?

**იასონი.** დიახ.

**მედეა.** როცა ვშვრებოდი, რასაც ვშვრებოდი, მე შენზე ბედნიერი არ ვიყავი.

**იასონი.** მე ეს ვიცი.

*პაუზა.*

**მედეა,** *ყრუდ ეკითხება.* რატომ დარჩი ამდენ ხანს?

**იასონი,** *მოძრაობს.* მე შენ მიყვარდი, მედეა. მე მიყვარდა ჩვენი დაუოკებელი ცხოვრება. მე მიყვარდა დანაშაული და თავგადასავალი შენთან ერთად. და ჩვენი ჩახუტებები, ჩვენი ბინძური და საზარელი ბრძოლები, თანამზრახველების ურთიერთგაგება, რომელიც საღამოს გვეწვეოდა, როდესაც დაქანცულები ფურგონის კუთხეში ლეიბზე ვწვებოდით. მე მიყვარდა შენი შავი სამყარო, შენი სიმამაცე, ამბოხება, საშინელებებთან და სიკვდილთან შენი ძმაკაცობა, ყველაფრის მოსპობის შენი გაშმაგებული წყურვილი. მე შენთან ერთად მჯეროდა, რომ სულ ბრძოლაა საჭირო და რომ ყველაფერი ნებადართულია.

**მედეა.** და ამ საღამოს აღარ გჯერა?

**იასონი.** არა. ახლა მინდა მშვიდობა.

**მედეა,** *ჩურჩულით.* მიილო?

**იასონი.** მინდა, მორჩილი ვიყო. მინდა, რომ ამ სამყარომ, ამ ქაოსმა, რომლის გავლით შენ ხელჩაჭიდებულს მიგყავდი, შეიძინოს საბოლოოდ ფორმა. შენ უეჭველად მართალი იყავი, როცა ამბობდი, რომ არ არსებობს არც გონება, არც სინათლე, არც მოსვენება, რომ სულ საჭიროა აფათური სისხლიანი ხელები, უნდა დაახრჩო და შორს მოისროლო ყველაფერი, რასაც ვერ შეიპყრობ; მაგრამ ახლა მე მინდა, გავჩერდე, მინდა, ადამიანი გავხდე. იქნებ, ილუზიის გარეშე გავაკეთო რამე, როგორც ამას ისინი აკეთებენ, ვინც ჩვენ გვეზიზღება; რასაც აკეთებდნენ მამაჩემი და მამაჩემის მამა და ყველა, რომლებიც ჩვენამდე იყვნენ და ცხოვრებას ჩვენგან განსხვავებულად, უფრო უბრალოდ ეპყრობოდნენ, მინდა გავწმინდო პატარა ადგილი ადამიანისთვის ამ უწესრიგობასა და ღამეში.

**მედეა.** გჯერა, რომ ამას შეძლებ?

**იასონი.** უშენოდ, შენი საწამლავის გარეშე, რომელსაც ყოველდღე ესვამდი, მგონია, რომ შევძლებ.

**მედეა.** უჩემოდ. მაშ, შენ შეგიძლია წარმოიდგინო სამყარო უჩემოდ?

**იასონი.** მე ამას ვცდი მთელი ჩემი ძალით. უკვე საკმარისად ახალგაზრდა არ ვარ ახლა, რომ ვიტანჯო. ამ საზარელ წინააღმდეგობებს, ამ უფსკრულებს, ამ ჭრილობებს მე ვუპოვი ყველაზე უბრალო წამალს, რომელიც ხალხმა მოიფიქრა, რომ ეცოცხლა: მე გავაძევებ ყველა ეჭვს და გავფანტავ ყველა შიშს.

**მედეა.** შენ მშვიდად ლაპარაკობ, იასონ, და საშინელ სიტყვებს ამბობ. როგორ დარწმუნებული ხარ საკუთარ თავში! რა ძლიერი ხარ!

**იასონი.** დიახ, ძლიერი ვარ!

**მედეა.** აბელის მოდგმა, მართალთა მოდგმა, მდიდართა მოდგმა, რა მშვიდად ლაპარაკობთ. კარგია, არა, ზეცაც რომ გყავს და ჟანდარმებიც. კარგია, ერთ დღეს რომ დაიწყებ ფიქრს როგორც მამაშენი და მამაშენის მამა, როგორც ყველა, ვინც ყოველთვის მართალი იყო. კარგია იყო კეთილი, იყო კეთილშობილი, იყო პატიოსანი. და ეს ყველაფერი მოდის ერთ დილას, შემთხვევით, იგი მოჰყვება პირველ ღალღას, პირველ ნაოჭს, პირველ ოქროს. ითამაშე ეს თამაში, იასონ, გადადგი ნაბიჯი, თქვი "დიახ"! მშვენიერ სიბერეს მოიმზადებ შენ!

**იასონი.** ეს ნაბიჯი მინდოდა შენთან ერთად გადამედგა, მედეა. ყველაფერს მივცემდი, რომ

ერთად დავბერებულიყავით, გვერდიგვერდ, დამშვიდებულ სამყაროში; მაგრამ შენ ეს არ მოინდომე.

**მედეა.** დიახ.

**იასონი.** გააგრძელე შენი გზა. ერთი ადგილი ტკეპნე, თავი დაიგლიჯე, მჯიღები დაიშინე, შეიზიზღე, შეურაცხყავი, მოკალი, უარყავი ყველაფერი, რაც შენი არ არის. მე, მე ვჩერდები. მეყოფა. ვუბრუნდები ამ ვითარებას ისევე მტკიცედ, ისევე უყოყმანოდ, როგორც უარვყავი ოდესღაც შენთან ერთად. და თუ საჭიროა ბრძოლის გაგრძელება, ახლა ამისთვის ვიბრძოლებ, მორჩილად, მივეყრდნობი ამ სასაცილო კედელს, რომელიც საკუთარი ხელით ავაგე უაზრო არყოფნასა და ჩემ შორის. *(პაუზა. ამატებს.)* სწორედ ამაში, უეჭველად, საბოლოო ანგარიშით და არა სხვა რამეში არის ადამიანად ყოფნის აზრი.

**მედეა.** ეჭვი ნუ გაქვს, იასონ, შენ ახლა ადამიანი ხარ.

**იასონი.** ვიღებ შენს ზიზღს ამ სახელთან ერთად. *(დგება.)* ეს გოგონა მშვენიერია. ნაკლებად მშვენიერი, ვიდრე შენ, როდესაც მომევლინე პირველ საღამოს კოლხეთში და მე ის არასოდეს მეყვარება, როგორც შენ მიყვარდი. მაგრამ ის უცოდველია, უბრალოა, სუფთაა. მე ღიმილის გარეშე ჩავიბარებ მას მამამისისა და დედამისის ხელიდან, სულ მალე, დილის მზესთან ერთად, თეთრ კაბაში და პატარა ბავშვების თანხლებით... პატარა გოგონას მოუქნელი თითებიდან ველოდები მორჩილებასა და დავიწყებას. და თუ ღმერთებს სურთ, იმას, რაც ყველაზე მეტად გძულს დედამიწაზე, რაც ყველაზე უფრო შორსაა შენგან: ბედნიერებას, საცოდავ ბედნიერებას.

*პაუზა.*

***მედეა,*** *ჩურჩულებს.* ბედნიერება... *(ისევ პაუზა. უეცრად აგრძელებს ხმადაბლა, მორჩილად, გაუნძრევლად.)* იასონ, ძნელი წარმოსათქმელია, თითქმის შეუძლებელია. ეს მახრჩობს და მრცხვენია. ახლა რომ მეთქვა, მინდა ვცადო ახლა შენთან ერთად-მეთქი, დამიჯერებდი?

**იასონი.** არა.

**მედეა,** *პაუზის შემდეგ.* სწორიც იქნებოდი. *(უმატებს, ჩვეულებრივი ხმით).* აი. ყველაფერი ვთქვით, არა?

**იასონი.** დიახ.

**მედეა.** შენ დაამთავრე. შენ განიწმინდე. შენ ახლა შეგიძლია ნახვიდე. მშვიდობით, იასონ.

**იასონ.** მშვიდობით, მედეა. ვერ გეტყვი, ბედნიერი იყავი-მეთქი... იყავი, ვინც ხარ. *(გადის.)*

***მედეა,*** *ჩურჩულებს.* მათი ბედნიერება... *(უეცრად წამოიჭრება და გამქრალ იასონს მიაყვირებს.)* იასონ! ასე ნუ მიდიხარ. მობრუნდი! რამე დაიყვირე. დაეჭვდი, იგრძენი ტკივილი! იასონ, გევედრები, დაე, ერთი წამით შენს თვალებში გაჩნდეს დაბნეულობა ან ეჭვი, რომ ყველანი გადავრჩეთ!.. *(მისდევს, შემდეგ ჩერდება და ყვირის.)* იასონ! მართალი ხარ, შენ კეთილი ხარ, შენ სამართლიანი ხარ და ყველაფერი ყოველთვის ჩემი ბრალი იყო; მაგრამ ერთი წამით, ერთი პატარა წამით, დაეჭვდი! მობრუნდი და შეიძლება განვთავისუფლდე... *(ხელი ჩამოუვარდება. იასონი უკვე შორს უნდა იყოს. სხვა ხმით ეძახის.)* ძიძა. *(ძიძა ჩნდება ფურგონის კარებში.)* მალე გათენდება. გაალვიძე ბავშვები, საზეიმოდ გამოაწყვე. მინდა, რომ ჩემგან საქორწინო საჩუქარი წაუღონ კრეონის ასულს.

**ძიძა.** შენი საჩუქარი, საბრალო! რაღა დაგრჩა, რომ აჩუქო?

**მედეა.** სამალავში შავი სკივრია, კოლხეთიდან რომ წამოვიღე. მომიტანე.

**ძიძა.** ხომ ამიკრძალე ხელის ხლება. იასონმაც კი არ უნდა იცოდესო მისი არსებობა.

**მედეა.** წადი, მოძებნე, ლაპარაკი არაა საჭირო. შენი მოსმენის დრო არ მაქვს. ყველაფერი უნდა წავიდეს საშინლად სწრაფად ახლა. მიეცი სკივრი ბავშვებს და გაჰყევი, სანამ ქალაქი არ გამოჩნდება; იკითხონ მეფის სასახლე, უთხრან, რომ ეს მათი დედის, მედეას საჩუქარია პატარძლისთვის... ხელში გადასცენ იგი და დაბრუნდნენ. სკივრში ოქროს საბურველი და დიადემაა, ჩემი მოდგმის საგანძურის ნაშთი. არ გახსნან. *(საშინლად უყვირის დედაბერს, რომელიც დაბნეული დგას.)* შეასრულე!

*დედაბერი ფურგონში შედის. ცოტა ხნის შემდეგ უხმოდ გამოდის ბავშვებთან ერთად.*

**მედეა,** *მარტო დარჩენილი.* ახლა კი, მედეა, უნდა იყო, რაც ხარ... ო, ბოროტება! დიდო მხეცო, რომელიც ჩემზე დაცოცავ და ცხელი ენით ჩემს სხეულს ლოკავ, ჩამიბარე. შენი ვარ ამაღამ, შენი ცოლი ვარ. შემოდი ჩემში, გამგლიჯე, დასივდი და დაიწვი ჩემს ნიაღში. უყურე, გიღებ, გეხმარები, გნებდები... დამაწექი შენი დიდი ბანჯგვლიანი სხეულით, მომიმწყვდიე შენს დიდ კოჟრიან ხელებში, დამახრჩვე შენი ხრინწიანი სუნთქვით, მომისმინე. როგორც იქნა, ცოცხალი ვარ! ვიტანჯები და ვიბადები. ეს ჩემი ქორწილია. შენთან სიყვარულის ამ ღამისთვის მიცხოვრია აქამდე.

და შენ, ღამე, მძიმე ღამე, მოგუდული ყვირილისა და ბრძოლის ხმების ღამე, რომლის საფარქვეშ ყველა მხეცი ერთმანეთს დასდევს, ნერბავს და კლავს, ცოტა კიდევ მოიცადე, გევედრები, ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიხარ ასე სწრაფად... ო, მხეცებო ჩემ ირგვლივ, აურაცხელი ხართ, ამ ვერანის პირქუშო მშრომელებო, საშინელო, უბოროტო მკვლელებო... აი, ამას უწოდებს ხალხი მშვიდ ღამეს, ამ უსიტყვო ნერბვისა და მკვლელობების გიგანტურ ფუთფუთს. მე გგრძნობთ თქვენ, ყველგან მესმით ამ საღამოს პირველად: წყლის სიღრმეში, ბალახის სიმაღლეში, ხის ტოტებში, მიწისქვეშეთში... ერთი სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში. ღამის მხეცებო, მახრჩობლებო, ჩემო დებო! მედეაც მხეცია თქვენსავით! მედეაც დატკბება და მოკლავს თქვენსავით. ეს ვერანა მეორეს ებმის და კიდევ ვერანა და ვერანაა და ასეა წყვდიადის საზღვრამდე და ყველგან მილიონი ერთნაირი მხეცი ნებდება ერთმანეთს და, ამავე დროს, ხოცავს ერთმანეთს. ამ ღამის მხეცებო! მედეა აქაა, თქვენ შორის, თქვენი თანამზრახველი და თავისი მოდგმის მოღალატე. თქვენთან ერთად საზარელ ხმას გამოვცემ მეც. თქვენთან ერთად, განხილვის გარეშე, მეც ვემორჩილები წყვდიადის მბრძანებლობას. ფეხქვეშ ვთელავ და ვაქრობ მცირე სინათლეს. სამარცხვინო ჟესტს ვაკეთებ. ჩემს თავზე ვიღებ, ვვარაუდობ, ვამტკიცებ. მხეცებო, თქვენ ეს მე ვარ! ყველა, ვინც ნადირობს და კლავს ამაღამ, მედეაა!

**ძიძა,** *შემორბის.* მედეა, ბავშვები, ალბათ, უკვე მივიდნენ სასახლეში, ქალაქში დიდი ხმაურია ატეხილი. არ ვიცი, რა დანაშაული ჩაიდინე, მაგრამ ხმა უკვე ყველგან ვრცელდება. სწრაფად შეაბი ცხენი, გავიქცეთ, საზღვარს მივადგეთ.

**მედეა.** მე გავიქცე? პირიქით, უკვე წასული რომ ვყოფილიყავი, უკან დავბრუნდებოდი, რომ სანახაობით დავმტკბარიყავი.

**ძიძა.** რა სანახაობა?

**ბიჭი,** *შემორბის.* ყველაფერი დაილუპა! სამეფო და სახელმწიფო დაეცა. მეფე და მისი ასული მკვდრები არიან.

**მედეა.** ასე მალე დაიხოცნენ? როგორ?

**ბიჭი.** ორი ბავშვი მოვიდა განთიადისას და საჩუქრად მოუტანა კრეუსას შავი სკივრი, რომელშიც იდო ოქროთი განყობილი საბურველი და ძვირფასი დიადემა. როგორც კი კრეუსამ მოირგო საჩუქრები, პატარა გოგოსავით ცნობისმოყვარედ მიირბინა სარკესთან, ფერი ეცვალა, დაეცა, ტანჯვისგან კრუნჩხვები დაეწყო, ტკივილმა სახე დაუღრიჯა.

**მედეა.** დაუღრიჯა? დაუშნოვდა, სიკვდილივით, არა?

**ბიჭი.** მოირბინა კრეონმა, უნდოდა აეყვანა, მოეშორებინა საბურველი და ოქროს სალტე, მაგრამ როგორც კი შეეხო, ისიც გაფითრდა. ერთნამს შეყოვნდა, საშინელება ჩაუდგა თვალებში, შემდეგ დაეცა, ტკივილისგან ღმუოდა. ახლა გვერდიგვერდ წვანან, გადასკვნილები, სასიკვდილო კრუნჩხვებით სული ამოსდით და ვერავინ ბედავს მათთან მიახლოებას; მაგრამ ხმა დაირხა, რომ სანამლავი შენ გამოაგზავნე. კაცებმა ხელი სტაცეს ხელკეტებსა და დანებს; შენი ფურგონისკენ მორბიან. მე გამოვასწარი მათ. თავის გამართლებასაც ვერ მოასწრებ. გაიქეცი, მედეა.

**მედეა,** *ყვირის.* არა! *(ბიჭი გარბის, მედეა მიაძახებს.)* მადლობა, პატარა, კიდევ ერთხელ მადლობა! შენ გაიქეცი! ჯობს, არ მიცნობდე. მანამ, სანამ ხალხი მეხსიერებას არ დაკარგავს, ურჩევნიათ, არ მიცნობდნენ მე! *(ძიძას მიუბრუნდება.)* აიღე დანა, ძიძა, ახლავე ყელი გამოსჭერი ცხენს, რომ არაფერი დარჩეს მედეასგან. ფიჩხი შეუწყვე ოთხთვალას ქვემოდან, ჩვენ ახლა საზეიმო კოცონს ავაგიზგიზებთ კოლხეთივით. მოდი!

**ძიძა.** სად მიგყავარ?

**მედეა.** იცი შენ. სიკვდილთან! სიკვდილი მსუბუქია. მოჰყევი, დედაბერო, დაინახავ! აღარ მოგიწევს ბებერი ძვლების თრევა, რომლებიც გტკივა და გაკვნესებს. როგორც იქნა, დაისვენებ, უსასრულო კვირადღე დაგიდგება.

**ძიძა,** *უძალიანდება და ბღავის.* არ მინდა, მედეა! სიცოცხლე მინდა!

**მედეა.** რამდენი ხანია, დედაბერო, რაც ზურგზე გაქვს მოკიდებული სიკვდილი?

*შემორბიან ბავშვები და შეშინებულები მედეას კალთას ეჭიდებიან.*

***მედეა,*** *ჩერდება.* აჰ! თქვენ ორიც აქ ხართ! შეგეშინდათ? მთელი ეს ხალხი რომ მორბის და ბღავის, ეს ზარები... ყველაფერი დაწყნარდება. *(თავებს გადაუწევს, თვალებში უყურებს და ჩურჩულებს).* უმანკოებო! ბავშვების ხაფანგი თვალები, კაცისთავიანი პატარა მზაკვარი მხეცები. გცივათ? ცუდს არაფერს გაგიკეთებთ. სწრაფად ვიზამ. მხოლოდ სიკვდილით გაოცებას მოასწრებენ თქვენი თვალები. *(ეფერება.)* წამოდით, რომ დაგამშვიდოთ, რომ გულში ჩავიკრა ერთი წუთით თქვენი პატარა ცხელი სხეულები. კარგია დედასთან ჩახუტება, აღარ გეშინია. ორი პატარა თბილი სიცოცხლე, გამოსული ჩემი მუცლიდან, პატარა სიცოცხლისა და ბედნიერად ყოფნის სურვილი... *(უეცრად ყვირის.)* იასონ! აი, შენი ოჯახი, ნაზად გაერთიანებული. შეხედე მას. და შეგიძლია საკუთარ თავს ჰკითხო სულ, მედეასაც არ უნდოდა სიყვარული, ბედნიერება და უდანაშაულობა? მას არ შეეძლო ყოფილიყო ერთგული და საიმედო? როდესაც დაიტანჯები, მალე დაიწყება ეს და სიკვდილამდე გაგრძელდება, იფიქრე იმაზე, რომ ოდესღაც იყო პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა მედეა, მომთხოვნი და სუფთა. პატარა, ნაზი და მდუმარე მედეა მეორის წიაღში. გაიხსენე, რომ იგი მარტო იბრძოდა, არავინ გაუგო, ხელი არავინ გაუწოდა და რომ ის იყო შენი ნამდვილი მეუღლე! იქნებ მე მინდოდა, იასონ, რომ მუდამ ასე გაგრძელებულიყო და ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც ზღაპრებშია! ახლაც კი, ამ წამს, მინდა, მინდა ისევე ძლიერად, როგორც ბავშვობაში, რომ ყველაფერი იყოს ნათელი და კეთილი! მაგრამ უდანაშაულო მედეას ეწერა ნადავლი და ბრძოლის სარბიელი გამხდარიყო... სხვებს, უფრო უსახოსა და უფერულებს, შეეძლოთ ბადის ქსელს დასხლტომოდნენ, მშვიდ ნყლამდე მიეღწიათ ან ლაფში ჩამალულიყვნენ. წვრილფეხობა ღმერთებს არ ადარდებთ. მედეა მეტისმეტად კარგი ნანადირევი იყო და მახეში გაება: და იქ დარჩა. ყოველდღე არ აწყდებიან ღმერთები ასეთ მონაპოვარს, საკმარისად ძლიერ სულს მათი ბინძური თამაშებისთვის. ბეჭებზე გამაკრეს და მიყურებენ, როგორ გავიბრძოლებ. უყურე მათთან ერთად, იასონ, მედეას უკანასკნელ შეტოკებას! მე მოსაკლავი მაქვს ჯერაც უმანკოება ამ პატარა გოგოში, რომელსაც ამდენი უნდოდა და ჩემს ამ ორ პატარა თბილ ნაჭერში. ისინი ამ სისხლს ელოდებიან, ზემოთ, ისინი მოლოდინში ველარ ითმენენ! *(ბავშვები ფურგონთან გამოჰყავს.)* მოდით, პატარებო, ნუ გეშინიათ. ხომ ხედავთ, თქვენთან ვარ, გეფერებით, და სამივენი სახლში მივდივართ...

*შედიან ფურგონში. სცენა დროებით ცარიელია. შემოდის ძიძა. აღელვებულია, როგორც ნადირი, რომელიც იმალება. ეძახის მედეას.*

***ძიძა.*** მედეა! მედეა! სად ხარ? მოდიან! *(უკან იხევს და ისევ ყვირის.)* მედეა!

*ცეცხლი ედება მთელ სცენას, ფურგონი იწვის. იასონი სწრაფად შემოდის შეიარაღებულ კაცებთან ერთად.*

**იასონი.** ჩააქრეთ ცეცხლი! ეს ქალი შეიპყარით!

**მედეა,** *გამოჩნდება ფურგონის ფანჯარაში და დაიყვირებს.* არ მომიახლოვდე, იასონ! უბრიანე, ფეხი არ გადმოდგან!

**იასონი.** ბავშვები სად არიან?

**მედეა.** კიდევ მკითხე ერთ წამში, რომ კარგად ჩაგხედო თვალებში. *(უყვირის.)* ისინი მკვდრები არიან, იასონ! მკვდრები არიან, დავხოცე ორივე, და სანამ ნაბიჯს გადმოდგამ, ეს რკინა მე განგმირავს. ამიერიდან მე დავიბრუნე ჩემი კვერთხი, ჩემი ძმა, ჩემი მამა, და ოქროს ვერძისი დაბრუნდა კოლხეთში: მე ხელახლა ვიპოვე სამშობლო და ქალწულობა, შენ რომ მომტაცე. როგორც იქნა, მედეა ვარ სამარადისოდ! შემომხედე, სანამ მარტო დარჩები კეთილგონიერ სამყაროში, კარგად შემომხედე, იასონ! ამ ორი ხელით გეხებოდი, ცხელ შუბლზე გადებდი, რომ გაგრილებულიყო და ისევ ხურდებოდნენ, შენს კანს რომ ეხებოდნენ. მე გატირებდი, მე თავს გაყვარებდი! შეხედე შენს პატარა ძმასა და მეუღლეს, ეს მე ვარ. ეს მე ვარ! ეს საშინელი მედეაა! და ახლა სცადე და დამივიწყე! *(ხანჯალს ჩაიცემს და ცეცხლში ვარდება, რომელიც ახალი ძალით იფეთქებს ფურგონზე.)*

**იასონი.** დიახ, მე შენ დაგივიწყებ. დიახ, მე ვიცოცხლებ, მიუხედავად ამ სისხლიანი კვალისა, შენ რომ დატოვე ჩემს გზაზე, ხვალიდან მოთმინებით ისევ დავიწყებ ჩემი კაცობის საბრალო ხარაჩოების აგებას ღმერთების გულგრილი მზერის ქვეშ. *(თავის ხალხს მიუბრუნდება)* ერთი თქვენგანი დარჩეს მცველად ამ ხანძართან, სანამ ყველაფერი ფერფლად არ იქცევა, სანამ მედეას ბოლო ძვალი არ დაიწვება. სხვები აქ მოდით. დავბრუნდეთ სასახლეში. საჭიროა ვიცხოვროთ, მივხედოთ წესრიგს, გამოვცეთ კანონები კორინთოსისთვის და ილუზიების გარეშე ავაგოთ საჩვენო სამყარო, რომ იქ სიკვდილს დაველოდოთ.

*ყველანი გადიან, გარდა ერთი მცველისა, რომელიც სალეჭ თამბაქოს ჩაიდებს პირში და ხანძრის წინ ყარაულში დგება. შემოდის ძიძა და მოკრძალებით ჯდება მის გვერდით. თენდება.*

***ძიძა.*** დრო არ გქონდათ, რომ ჩემთვის მოგესმინათ. ამასობაში რაღაც კი მქონდა სათქმელი. ღამის შემდეგ მოდის დილა და ყავაა მოსადუღებელი და ლოგინები გასასწორებელი. გამოგვი და ცოტა დასვენება შეიძლება მზეზე, შემდეგ ბოსტნეულია გასანმენდი. კარგია, თუ რამდენიმე სუს გამოსთხოვ, რომ ცოტა ღვინით შიგანი გაითბო. შემდეგ სუფს მიირთმევ და ჭურჭელს დარეცხავ. ნაშუადღევს უნდა დარეცხო სარეცხი და სპილენძის ჭურჭელი დაწმინდო, ნაეჭორაო მეზობლებს და ვახშის დროც წყნარად მოდის... მერე წვები და იძინებ.

**მცველი,** *პაუზის შემდეგ.* კარგი ამინდი იქნება დღეს.

***ძიძა.*** ეს კარგი წელიწადი იქნება. მზე და ღვინო იქნება. მოსავალი?

**მცველი.** იმ კვირაში თიბვა დაიწყო. ხვალ ან ზეგ მოვრჩებით, ამინდი თუ არ შეიცვალა.

***ძიძა.*** მოსავალი კარგი გვექნება?

**მცველი.** სასაყვედურო არაა. პური არავის მოაკლდება წელს.

*ფარდა ეშვება, სანამ ლაპარაკობენ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარი ბექაური

# მდუმარე იყო წყნეთის ქუჩა, ნაღვლიანი

*ერთი ამბავი, მოთხრობილი სხვადასხვა ადამიანის მიერ*



### ცოლის მონათხრობი

წყნეთში ვიყავით მეგობრები. ცოტა დავლიეთ, ვიცინეთ და მერე ბიჭებმა "რისკის" თამაში დაიწყეს. ჩემთვის გაუგებარია, ამდენი დრო რატომ სჭირდება, მაგრამ თამაში ღამის პირველ საათზე კიდევ არ იყო მორჩენილი და უკვე ისე მეძინებოდა, თვალებს ძლივს ვახელდი. ისედაც დატვირთული დღე მქონდა. თან პიემესი. თან სავსემთვარეობა... ჰოდა, ჩემს ქმარს ნაზად, მონიწებით, ერთი 78-ედ ვთხოვე, მეძინება და იქნებ, სახლში წავიდეთ-მეთქი.

უცებ, სად იყო და სად არა, წამოხტა ეს ჩემი ქმარი, მუშტი დაჰკრა მაგიდას და ყილრიალა: რა შემჭამე, ქალოო! თუ ეგრე გინდა სახლში წასვლა, გამოგიძახებ ტაქსს და წადიო!..

მე, მისი ამ მოულოდნელი გამხეცებისგან, ენა ჩამივარდა. გავშრი. ვიდექი თავმოჭრილი, შეურაცხყოფილი, ტალახნასროლი და, მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე, თავი ხელში ამეყვანა და ძალიან მშვიდად მივუგე, კარგი, გამომიძახე ტაქსი და მე თუ შენ ეგ გაპატიო, რო დამღრიალებ აქ თავზე, თან ხალხის თანდასწრებით, ნახავ შენ, არაფერი არ გიშველის, ბენტლიც რომ მიყიდო, მაინც არ გაპატიებ, საერთოდ რაში მჭირდება ბენტლი, მანქანაზე დამჯდომი მე არა ვარ, ნახევარ თბილისს ავაკაპოტებ და მერე ციხეში ჩამსვამენ, არა, არ მჭირდება შენი ბენტლი-მეთქი...

ტაქსი რომ მოვიდა, შევტრიალდი და ამაყად გავემართე კარისკენ. გაჯახუნებას ვაპირებდი, როგორც შეჰფერის აღნიშნულ სიტუაციას და გავიჯახუნე კიდეც, თუმცა ძლიერად მომივიდა, გამოსვლა ვერ მოვასწარი და კარი ზურგში მომხვდა. ისე გავმწარდი, სულ ნაპერწკლები გავყარე თვალებიდან, მაგრამ ამის შემჩნევა არაფრით არ იქნებოდა და, შეძლებისდაგვარად, კვლავ ამაყი სახით გავემართე ქუჩისკენ.

როგორც ჩანს, მაინც დამეტყო და იკადრა ვაჟბატონმა. გამომეკიდა. დაიცა, ქალო, სად მიდიხარ ასე, შე კარგმოტყნულოო. რა-მეთქი?! კინაღამ ჭკუიდან გადავედექი. უფრო სწორად, მართლა გადავდექი და ისე შევხტი ჰაერში, სულ დამავიწყდა, ზურგში კარი რომ მქონდა მორტყმული. იმან კიდე ბატკნის სახე მიიღო და რა რაო, ასე ხო ვერ გაგიშვებო?! ამაზე სულ გავმწარდი და მე ვთქვი, დამაცადე, შენ თუ ფემინისტები არ დაგასიო და სულ სახით არ გახოხიალონ წყნეთის ქუჩებში, შე არაკაცო, ვის აგინებ-მეთქი!

რა გინებაო, - უფრო გაიბატკნა სახე და ცოტა ხანს კი გაქვავდა ერთ ადგილზე, მარა მე გამჩერებელი აღარ ვიყავი და ტაქსის კარი გამოვაღე. მძღოლს ვეუბნები, - ხო კარგად გაიგონეთ, ხო კარგად დაინახეთ, აქ რაც მოხდა-მეთქი. მაგრამ მგელი რომ მგლის ტყავს არ დახევს, აი, ეგ ქნა და არ დახია კაცმა კაცის ტყავი. რა უნდა დამენახაო, მე რა შუაში ვარო, ჩემგან რა გინდათო, პრობლემები არ მჭირდებაო, შარს კი არ ვეძებო, ცოლ-შვილი მყავს, ორი ბიჭი, ორივე სწავლობს და იმათი უნივერსიტეტის ფული მაქვს სახდელი, გამომტერებულები ვგენი, ვერცერთი ვერ მოხვდა უფასოზეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვთქვი, რა?! რა უნივერსიტეტი, რაებს მიყვები საერთოდ. ისე გამიკვირდა, სულ დამავიწყდა, გაცოფებული რომ ვიყავი და ჩემი ქმრისკენ გავიხედე. იმანაც, ეტყობა, ნიშნად ჩიილო და ჩემკენ ორი ნაბიჯი გადმოდგა. ეგრევე გამახსენდა და მე ვთქვი, ხელი! თითი არ დამაკარო, შე დამპალო!

სწრაფად გამოვაღე უკანა კარი და მძღოლს ვეუბნები, წადი, წადი, თორე ხო ხედავ, მომდევს, რამე არ მიქნას, არა მცემოს-მეთქი.

რა მოგდევს, აბა, ვინ მოგდევსო?!

მანდ სულ გავშნარდი და ვუკივლე, დროზე დაძარი მანქანა, თორე ისეთ ისტერიკებს დაგიტრიალებ, ერთ წამში გაგცვივდება თმა-მეთქი.

ჰოდა, იკადრა, როგორც იქნა. დაძრა. წამოვედით.

მანქანის ფანჯრიდან ღამეს გავცქეროდი.

მდუმარე იყო წყნეთის ქუჩები, ნაღვლიანი.

## ქმრის მონათხრობი

"რისკს" ვთამაშობდით ბიჭები და რვა საათზე რომ ჩაირთო ჩემი ცოლი - სახლში წავიდეთ, მეძინებაო - პირველ საათამდე აღარ გამორთულა. მეძინებაო, მეძინებაო, მეძინებაო, მეძინებაო...

ჰოდა, ერთი 329-ედ რომ მითხრა, ნერვები აღარ მეყო და ხმამაღლა ვუთხარი, კარგი რა, რატომ არ მაცდი, თუ ეგრე გინდა სახლში წასვლა, გამოგიძახებ ტაქსს და წადი-მეთქი.

"რაო?!" - შეჰყვირა და ახტა ჰაერში, - შენი რას მიყვირეო! რატო დამაჩმორეო?! აა, მჩაგრავ, არაო?! მჩაგრავო?! შე იასეთოო! შე ასეთოო! როგორ მაკადრეო! ეს რა გამიკეთეო! გშორდებიო! არ მჭირდება შენი ტაქსი! უი, საფულე არ წამომიღია, ხო, კაი, მჭირდებაო! ისაო, ესაო!

ბოლომდე აღარც კი მახსოვს, იმდენი სისულელე დამაბრალა.

მერე, ტაქსი რომ მოვიდა, წამოდგა ინდაურის სახით, მაგრამ გასვლისას კარი მოხვდა ზურგში და გულმა აღარ მოუთმინა.

გავყევი. ვიფიქრე, შემოვაბრუნებ, მოვუვლი.

ჰოდა, გავძახე, რო დაიცა, სად მიდიხარ ასე, ზურგში კარმორტყმული-მეთქი.

ის კიდე მოულოდნელად სულ გადაირია და რაო?! რას მაგინებო! მოდი, ბარემ დამარტყიო! შე არაკაცო, არ არსებობს, მე შენ ეს ნიხლებით შედგომა გაპატიოო!

რა ნიხლებით შედგომა, ხო არ გადაირიე-მეთქი! ამეშალა მეც ნერვები. მარა არაფერი იმას აღარ ესმოდა. იდგა ქუჩაში და ყვიროდა, რო ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო! ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო! თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილო! თავისუფლება ლომთა ხვედრიაო!

კიდევ ათას რამეს.

გაოცებული ვუყურებდი და ჩემთვის ვფიქრობდი, ვაიმე, ღმერთო, აღარ მინდა აღარაფერი, ოღონდაც მალე წავიდეს, ხო მომჭრა თავი ძმაკაცებთან-მეთქი.

მაგრამ არ მალირსა და ბოლოს მასთან მისვლა დავაპირე. იქნებ, როგორმე დამეწყნარებინა.

ამაზე სულ გაგიჟდა. ტაქსისკენ გაიქცა, მძღოლს კარი გამოუღო და უკივლა, რო მიშველე! ჩქარაო!

რა ხდებაო?! - გული გაუსკდა მძღოლს და რა რა ხდება, ვერ დაინახე, რაც გამიკეთაო?! რა გაგიკეთა, ვინ გაგიკეთა, მუსიკას ვუსმენდი ჩემთვის, არაფერი გამიგიაო.

და აქ დაიწყო მეორე მონოლოგი, რო მგელი მგლის ტყავს არ დახევსო, ოხგვმა თხარა თხარაო, რაც მოგივა დავითაო, ყვავმა ყვავს უთხრა - ყვაეოო.

რა დავითა, რა ყვავიო, - სულ გაგიჟდა ის კაცი. შეშინებული იხედებოდა აქეთ-იქით, - ღამე კი იყო, მაგრამ მაინც დავინახე, - არ მინდა პრობლემები, შენი ჭირიმე, ცოლ-შვილი მყავს, ბიჭებიო.

რამდენი წლისებიო?

რაო?!

რამდენი წლისები არიან შენი ბიჭებიო?

თვრამეტი და ოცი, სტუდენტები არიან, ეგ უჯიშოები, ვერცერთი ვერ მოხვდა უფასოზეო...

ჩემი ცოლი კიდევ უკანა კარისკენ გაიქცა და თან კიოდა, რა უფასო, რას მეუბნები, ახლავე წადი, თორე მკლავენ, ვერა ხედავო?!

კარი გამოაღო და სწრაფად ჩახტა მანქანაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლი გაკვირვებული იყურებოდა სიბნელეში.
მერე მანქანა დაძრა. წავიდნენ.
მდუმარე იყო წყნეთის ქუჩა, ნაღვლიანი.

## დამსწრეთა მონათხრობი

წყნეთში ვიყავით, ვთამაშობდით და ამ გოგომ დაახლოებით 890-ჯერ რომ უთხრა - მეძინება, სახლში წავიდეთო, - ჩვენმა ძმაკაცმა მშვიდად გახედა და, კი ბატონო, არ უარვყოფთ - ხმამაღლა უთხრა, ტაქსს გამოგიძახებ და წადიო.

საერთოდ ვერ გავიგეთ, რატომ, მაგრამ მოულოდნელად ეს გოგო ტელეფონს ეცა და რეკვა დაიწყო. ჯერ მამამისს დაურეკა, რო მამა, ჩქარა, ტანკი დაქოქე, წყნეთში ამოდიო! რა ხდებაო?! - იყვირა იქიდან მამამისმა და ამან, აღარაა მაგდენი ლაპარაკის დრო, ჩქარა, ჩქარა, ტანკი, წყნეთშიო!

მერე ფეისბუქში შევარდა და დაპოსტა, რო, ხალხო, არიქა, პარლამენტის წინ, სასწრაფოდო!

ჰოდა სულ ასეთ რაღაცებს შვრებოდა, სანამ ტაქსი არ მოვიდა.

შოკში ვიყავით ყველანი. თან ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს ვუყურებდით და აშკარად ყველანი იმას ვფიქრობდით, საერთოდ როგორ მოიყვანა ამ ჩვენმა ძმაკაცმა ეს გოგო. ნეტა, რა ჩაუსხა, რა ჯადო გაუკეთაო...

ტაქსის ზარი ისე გაგვიხარდა, გეგონება, ტაქსი კი არა, ხინკალი მოსულიყოს. გეეგონა, დაგვადგა საშველი. წავა და მშვიდად გავაგრძელებთ თამაშს-თქო. მაგრამ სადაა...

როცა გადიოდა, კარი მოირტყა ზურგში და ერთი კი გვესროლა დედოფლური მზერა, მაგრამ შეეცოდა მაინც ჩვენს ძმაკაცს და წამოდგა, გავყვებიო.

გადავწყვიტეთ, სანამ მოაბრუნებდა, ერთი ხელი გვეთამაშა, თუმცა, გარეთ ისეთი ამბავი დაიწყო, ვის სცხელოდა თამაშისთვის...

ჯერ ჩვენი ძმაკაცის ხმა გავიგონეთ - დაიცა, სად მიდიხარ ასე, ზურგში კარმორტყმულიო! რასაც მომენტალურად მოჰყვა კივილი - რა კარგმოტყნულიო!

აი, მანდ ჩაირთო და აღარ გამოირთო.

მეო, დედაჩემმა იმისთვის კი არ გამაჩინა, ვიჯდე აქ ღამის პირველ საათამდე და ქმარს ველოლიავოო, ღრიალი და წიხლები ვითმინო და თავს ლაფი დავისხაო!

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გრაფი კონსტანტინე ოლდენბურგი ეწვია და ქუთაისში ყოფნისას აგრაფინა ჯაფარიძეს შეხვდაო. თავადი იყო იმისი ქმარი, ტარიელ დადიანი და მივიდა ეს გრაფი და ერთი კვირით გამატანე შენი ცოლი და ფულს მოგცემო. ვალი ჰქონდა იმ ტარიელს და დათანხმდა, მაგრამ არც ერთი კვირის მერე დაბრუნებულა აგრაფინა, არც ორის და საერთოდ არასდროსო. ისე შეუყვარდათ ერთმანეთი ოლდენბურგს და ჯაფარიძის ქალს, რომ გრაფმა მას სიყვარულის ნიშნად სასახლე აუგოო. აი, ახლა ხელოვნების სასახლე როა, მაგ სასახლეზე გელაპარაკები, ნამდვილია ეგ ამბავი, კაცი ქალს სასახლეს ჩუქნიდა და შენ კიდე დამღრიალებ აქ თავზე და მაგინებო.

ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებაო!
არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო!
მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერსო!

ისეთ რაღაცებს ყვიროდა, კი ძალიან ვცდილობდით, არ შეგვემჩნია, მაგრამ სახეებზე გვეწერა ყველაფერი.

ვილაცამ თქვა, ხო არ გავიდეთ, გავაშველოთო, მაგრამ დავიკიდეთ და ერთი იმასღა ვფიქრობდით, ჩაეგდოს დროზე მანქანაში, წაშავდეს, წაბნელდეს, როგორი შავი და ბნელიცაა ახლა წყნეთის ქუჩები-თქო.

ჰოდა, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

წავიდა.

წყნეთის ქუჩა კი მართლა ბნელი იყო, ნაღვლიანი.

## ტაქსისტის მონათხრობი

მაგიტოა რა. რო დაიფიცებ კაცი რაღაცას, სიტყვას არ უნდა გადახვიდე. მარა მძღნერის ჭამას რო ვერ ეშვები, ეგ ამბავია.

მოვწიე, მოკლედ. ბიჭები ეწეოდნენ და რო შემომთავაზეს, კი მიგრძნო ავი გულმა, თან დაფიცებულიც ხო მქონდა, თან სატაქსაოდ გავდიოდი, მარა მაინც მომწევინა.

კი, სულ სამი ნაფაზი ამოვარტყი, მარა მაგრად გამიხსნა. მანქანაში რო ჩავჯექი, მალევე მოიტანა და, ბედი რო არ გაქვს კაცს, წყნეთში მოვიდა პირველი გამოძახება.

იმ მომენტში კი გამიხარდა, რა კაია, ქალაქს გავეცლები, ავალ ჩემთვის, მშვიდად, წყნარად და ეგრე წყნარადვე ჩამოვალ-მეთქი, მარა ვაი იმ ასვლას...

მივედი მისამართზე. ვდგავარ და მგზავრს ველოდები. თან მუსიკა მაქვს ჩართული. ვფიქრობ, ხანდახან რა კაია ცხოვრება, შუფუტინსკი, წყნეთის მდუმარება.

და უცებ, სად იყო და სად არა, ვხედავ, რო მორბის ქალი.

პირდაპირ ჩემკენ მორბის და მანქანის კარს მიღებს. თმა აქვს აწეწილი და კივის ბოლო ხმაზე.

გული გამისკდა. ჯერ ვიფიქრე, ძაღლი ხო არ მოსდევს-მეთქი. მაგრამ ვიყურები და არაფერი. ჭაჭანება არაა არც კაცის, არც ძაღლის. ეს ქალი კიდე არ ჩუმდება და კივის, რო მიშველეო, მკლავენო, ხო ნახე შენი თვალით, აქ რაც მოხდაო!

ვაიმე, ვფიქრობ, რა მოვწიე ამნაირი ან რომელი მელანდება ახლა, მართლა კლავენ და მე ვერ ვხედავ, თუ ქალი მელანდება თვითონ.

ქალი კიდე აგრძელებს, რო მეხუთე საუკუნე ხო არ გგონიათ ისევო! ეგ გინდათო, რო ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პურიო?! მაგისთვის ეწამა შუშანიკიო?! ცემით რო ათრია დამპალმა ვარსქენმა და სამასჯერ დაჰკრა ჯოხი, მოდი, ბარემ და შენც ჯოხი დამკარიო!..

ხოდა, მე ვთქვი, რა ვარსქენი, რა შუშანიკი, შანსი არაა, ახლა ეს ყველაფერი რეალურად ხდებოდეს და ლოცვა დავიწყე, ოღონდ გულში, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის.

ვამბობ, ღმერთო, ოღონდაც ახლა გადამარჩინე და მე თუ ცხოვრებაში კიდე მოსაწევს გავეკარო, ადექი და პირდაპირ მეხი მესროლე-მეთქი. მარა არ მშველის არაფერი. კივის ქალი, არ ჩუმდება.

მანდ კი ერთი ჭკვიანური მოვიფიქრე.

მე ვთქვი, მე მარტო ჩემსას ვიტყვი, თავს ვიმართლებ და რაც არ უნდა ხდებოდეს ახლა სინამდვილეში, მაინც მართალი გამოვალ-მეთქი.

ხოდა, ვეუბნები, ქალბატონო, არ მჭირდება პრობლემები. მოვედი ჩემთვის მისამართზე. თქვენთვის, უფრო სწორად. შარს კი არ ვეძებ, ცოლ-შვილი მყავს შესანახი. უნივერსიტეტში სწავლობენ ჩემი ბიჭები, ვერცერთი მოხვდა უფასოზე.

ჰოდა უცებ გამაწყვეტინა ამ ქალმა და რა უნივერსიტეტიო! ვაიმე, მკლავენო! ჩქარა, ჩქარა, წადიო! უკანა კარს ეცა და ჩახტა მანქანაში.

ერთი კი გავიხედე სიბნელეში, მარა ჩემთვის ვთქვი, რო მიდი, დაძარი ახლა მშვიდად, რა მნიშვნელობა აქვს, ზის თუ არა ქალი. უბრალოდ, მანქანა დაძარი და აქედან წადი-მეთქი...

დღემდე არ ვიცი, მართლა ჩამოვიყვანე ქალი წყნეთიდან თუ მომელანდა. ის კი ნაღდად ვიცი, რო მე პლანის მომწევი აღარა ვარ.

ჰო, და კიდევ ის მახსოვს, რო რაღაცნაირი მეჩვენა მაგ ღამეს წყნეთის ქუჩები, მდუმარე, ნაღვლიანი.

პროზა
ერთიანი
ბიბლიოთეკა

## ანი კილაძე

# ასიმბიოზი



- იცოდე, დასვრი და დაგაკლავ ზედ.
- ბარემ საკუთრივ მზად ვიქნები.
- მერე კუბოში დასვრილი პერანგით ჩაგაწვენ, შენი აზრით?

დედაჩემი ნაზი ყველაზე არანაზი ადამიანი იყო, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. არასდროს იცინოდა და ეზიზღებოდა ყველა კაცი, მკვდარი მამაჩემის ჩათვლით. მგონია, ის ვერასდროს აპატია, რომ მოკვდა. ნაზი არასდროს ისვენებდა. დასვენება მისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. დილით ღუდუშაურის საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა. პალატებიდან მომაკვდავი პაციენტების განავალი გაჰქონდა. შუადღისას ავადმყოფი მეზობლების სახლებში დადიოდა. მეზობლები ნამდვილი ექიმის ანაზღაურების ნახევარს უხდიდნენ, თუმცა ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა შექმნილი მდგომარეობით. კვირაში რამდენჯერმე ეკლესიებსაც აცხობდა და უბნის მალაზიებში აბარებდა. ამ რუტინის პარალელურად კი დრო მაინც რჩებოდა, ჩემთვის ტვინი მოეტყნა.

- სამსახურში ესე ჩაცმული მიდიხარ?
- კი, რა იყო?
- ბოზს ჰგავხარ.

მინდოდა მართლა ბოზს ვმგავნებოდი. პირდაპირ ვოცნებობდი ამაზე, მაგრამ კისრამდე შეკრული პერანგი, რომელსაც დედაჩემი საუკუნის მონაპოვრად მიიჩნევდა, რადგან ყიდვისას ორი ციგანი დააგოიმა და მუხლებამდე ქვედაბოლო ამის საშუალებას ნამდვილად არ მაძლევდა.

ცხოვრებაში არავინ შემხებია. არც რომანტიკულად და სექსუალურად, მით უმეტეს. 27 წლის ვიყავი და ლამეც კი არსად გამითევია სახლის გარეთ. ვიცოდი, რამდენი ჩხუბის და ლანძღვის სანაცვლოდ უნდა მომხდარიყო ეგ ამბავი.

რომ არავინ მტყნავდა, ეგეც ნაზის ბრალი იყო. ჩემს ცხოვრებაში არასდროს ყოფილა ვინმე, ვისგანაც ვისწავლიდი, რას ნიშნავს გაპრანჭვა, რას ნიშნავს, როცა ვინმეს უნდიხარ და რას ნიშნავს, როცა თავად გინდა ვინმე.

ბავშვობაში ჯულია რობერტსის ფილმები მიყვარდა. ვოცნებობდი, ჩემთვის ისე ეყურებინა ვინმეს, როგორც რიჩარდ გირი უყურებდა როიალზე გადაწოლილ ლამაზმანს. ერთხელ, როცა ნაზი კლინიკაში იყო, თმა დავიხვიე, მეზობლის სახლში დიასახლისის საკრასკავები წავისვი და ყველაზე ლამაზი კაბა ჩავიცვი, რაც კი მქონდა. ქუჩაში გავედი და გამვლელებს ვეპრანჭებოდი. ვუღიმოდი გაკვირვებულ უბნის ბიჭებს, ჩემზე მოცინარ მოზარდ გოგოებს, აღშფოთებულ დეიდებს და ნაკლებად აღშფოთებულ მათ ქმრებს. დედაჩემი მოსალოდნელზე ადრე დაბრუნდა სამსახურიდან. ჩემმა დანახვამ სახე წაუშალა. სასწრაფოდ მომვარდა, სახეში გამარტყა და სახლში წამათრია. კანის დაწითლებამდე მხეხა. მას შემდეგ, ჯულია რობერტსიც აღარ მიყვარდა.

სამსახურიც ნაზიმ დამაწყებინა. ჩემით ეგეც ვერ მოვახერხე. დედაჩემის თანამშრომლის შვილი მუშაობდა მარკეტინგულ კომპანიაში. ოფის მენეჯერი სჭირდებოდათ. საქმე მარტივი იყო. ვბეჭდავდი საბუთებს, ვუკვეთავდი ტუალეტის ქაღალდს, თუ საჭირო გახდებოდა, ვურეკავდი ხელოსანს და ფენსი-შმენსი კლიენტებისთვის ხანდახან ყავასაც ვადუღებდი. ერთი სიტყვით, არაფერი ისეთი, რასაც ჩემი იურისტის დიპლომი ვერ გაწვდებოდა. იმ ქალის შვილმაც სიტყვა შემაწია, მამა არ ჰყავს, უჭირთო და მეც მარტივად მოვეწყე. დიდად მეგობრები არ მყავდა სამსახურში. დედაჩემის თანამშრომლის შვილი ზრდილობიანი და საყვარელი გოგო იყო, თუმცა მეგობარს ნამდვილად ვერ დავარქმევდი. ის გოგო სულ სხვა წრეს ეკუთვნოდა. ყოველთვის ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, ხმამაღლა იცინოდა და თავდაჯერებულად ლაპარაკობდა. სიმართლე გითხრათ, არც არასდროს მდომებია, ჩემი მეგობარი ყოფილიყო, მინდოდა ის ვყოფილიყავი თავად.

ყველაზე ხშირად მიშოზე ვანძრევდი. მიშო ჩემს კომ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

პანიაში ერთ-ერთი მთავარი მენეჯერი იყო. იერარქიით მესამე კაცი ოფისში, თუმცა თავი ყოველთვის ისე ეჭირა, როგორც პირველს. ტანზე მომდგარი თეთრი პერანგი ეცვა ხოლმე, თეთრივე საყელოთი, რამდენიმე შეხსნილი ღილითა და იდაყვებამდე აკაპიწებული სახელოებით. სამსახურში არასდროს აგვიანებდა. მე პირველი მიდიოდი და, შესაბამისად, ეს კარგად ვიცოდი. მოაყენებდა ბორდიურთან თავის შავ მერსედესს და ხელში გასაღების ტრიალით ამოდიოდა კიბეზე. ვფიქრობდი, ოდესმე თუ სხვაგან ვიმუშავებდი და უკეთესი ხელფასი მექნებოდა, მეც ასეთ მერსედესს ვიყიდდი ჩემთვის, ოღონდ ვერცხლისფერს. თუ სადმე გადამაწყდებოდა, მიღიმოდა კიდეც. ძირითად დროს მაინც თავის კაბინეტში ატარებდა, სადაც სხვა თანამშრომლებიც ხშირად იყრიდნენ თავს. ოთახიდან ყოველთვის სიცილის ხმა გამოდიოდა. საერთო სიცილის ხმაში ხშირად დედაჩემის თანამშრომლის შვილის ხმასაც ვარჩევდი. ვოცნებობდი, რამე საბაბი მომცემოდა და მიშოს კაბინეტში მეც მოვხვედრილიყავი. თუნდაც სადმე კუთხეში ვმდგარიყავი, თუნდაც არც გამცინებოდა.

ოფისის კარის ჩაკეტვა მე მევალებოდა, შესაბამისად, სამსახურიდან ბოლო მივდიოდი. ვხედავდი, როგორ სხდებოდნენ ჩემი თანამშრომელი გოგოები მიშოს შავ მერსედესში. ერთხელ დედაჩემის თანამშრომლის შვილიც ჩაჯდა. როცა ბოლო მანქანამაც დატოვა ავტოსადგომი, ყველა ოთახი დავიარე და ჩემს მარტოობაზე დასტური მივიღე. გულამოვარდნილი მიშოს კაბინეტისკენ გავეშურე. კარი მაინც ფრთხილად შევაღე და როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდი ოთახის სიცარიელეში, შევედი და მის სავარძელში ჩავჯექი.

მაგიდაზე მიმოფანტული ქაღალდები მოვიმარჯვე და საქმიანი სახე მივიღე: "ჩემი აზრით, ამ თვეში გარღვევა გვაქვს ბიუჯეტში და ასე გაგრძელება აღარ იქნება", "ქეთი, შენ გამო მე ამ კლიენტს ვერ დავკარგავ, ხოდა იცოდე, როგორც გინდა, ისე ულოკე ტრაკი", "ჩემ ყლეს, თუ ვერ ასწრებ პრეზენტაციას, ხვალაა დედლაინი და შენ უფრო დაგენძრევა რო რამე, ვიდრე მე". ხმამაღლა ვიძახდი კაბინეტიდან გაგონილ ყველა ფრაზას და უფრო და უფრო ვსველდებოდი. მარცხენა ხელი ყელზე მოვიჭირე, მარჯვენათი კი ვანძრევდი. ვფიქრობდი მიშოზე და დედაჩემის თანამშრომლის შვილზე. წარმოვიდგენდი გოგოს შიშველ მკერდს როგორ ეხებოდა მიშოს ხელები. წარმოვიდგენდი მიშოს ოფლიან სახეს და გათავების დროს გამოცემულ უხეშ ხავილს. ყველაზე ხანგრძლივი ორგაზმი მაშინ მქონდა. სახლში გვიან მოვედი. არ მინდოდა, ნაზის სახე მენახა. პირდაპირ ჩემს ოთახში შევიძურწე და კმაყოფილმა დავიძინე.

რამდენიმე დღეში თინდერი გავაკეთე. დასვენების დღეს, როცა ნაზი სახლში არ იყო, ფოტოსესია მოვაწყე და ვეცადე, შედარებით სექსუალური ფოტოები გადამეღო. ტანზე არამიშავდა, მაგრამ სახეს ვერაფერს ვუხერხებდი. ყველა ფოტოში იდიოტის გამომეტყველება მქონდა. საბოლოოდ, მაინც სხეულზე ვაქცენტირდი და ისეთი ფოტოები შევყარე. ერთი-ორი უცხო ბიჭი დავმეჩე. არცერთთან შეხვედრა არ მინდოდა, თუმცა მათთან ლაპარაკი მაინც მსიამოვნებდა.

ერთ კვირაში სასწაული მოხდა. თინდერის ალგორითმმა მიშო ამომიგდო. ფოტოზეც ის პერანგი ეცვა, მე რომ ყველაზე მეტად მომწონდა. ხელში შამპანურის ჭიქა ეჭირა და რომელიღაც ფესტივალის ბანერთან იდგა. დავლაიქე, იმანაც დამალაიქა. მაშინვე მომწერა, ხვალ გავისეირნოთო. სუნთქვა იმდენ ხანს შემეკრა, კინაღამ დავიხრჩე. ოთახიდან გამოვვარდი და სახლში სიარული დავიწყე. ყველგან ნაზის ვეძებდი, მაგრამ არსად ჩანდა. ცოტა ხანში ოთახში დავბრუნდი და კარგი-თქო ვუპასუხე. დედა გვიან დაბრუნდა. ლოდინმა გაანელა ჩემი გრძნობა, მაგრამ სამზარეულოში მჯდომს ერთიორჯერ მაინც მედიდურად ჩავუარე გვერდით და ზევიდან გადმოვხედე. ყურადღებას არ მაქცევდა. ეს კიდევ უფრო მაბრაზებდა.

დრო მიიწელებოდა. ჩემი არსებობის განმავლობაში, ალბათ, ყველაზე გრძელი დღე იყო. ყველანაირად ვცდილობდი, ოფისში სადმე მიშოს არ გადავყროდი. რაც უფრო ახლოვდებოდა 7 საათი, უფრო და უფრო მიტანდა ნერვიულობა. ვიცოდი, ვერსად გავიქცეოდი. ტანზე დედაჩემის დაგოიმებული ციგნების პერანგი და ყველაზე მოკლე ქვედაბოლო მეცვა, რაც სახლში მქონდა. პერანგის ღილები ისე შევიხსენი, პირველ ხელფასზე ნაყიდი, წითელკრუჟაოებიანი ლიფი რომ გამომჩენოდა. ყველა რომ წავიდა, მიშომ ჩემს ოთახში თავი შემოყო და წავიდეთო, მითხრა. მანქანამდე ჩუმად გავყევი, არც მიკითხავს, სად მივდიოდით. აღფრთოვანებული ვათვალიერებდი შავი მერსედესის სალონს და მიშოს საკუთრებაში არსებულ ნივთებს. მინდოდა, ყველაფერს შევხებოდი.

მიშომ მანქანა ლისზე აიყვანა და იქ გააჩერა. ველოდებოდი, კარი როდის გაიღებოდა და მანქანიდან გადავიდოდით, თუმცა შევცდი. მიშომ ჯერ მუსიკას აუწია, შემდეგ კი ჩემკენ გადმოიხარა და ყურთან კოცნა დამიწყო. ყურში საოცარ რამეებს მეჩურჩულებოდა. მეუბნებოდა, როგორი მიმზიდველი ვიყავი და როგორ ვუნდოდი. ცალი ხელით პერანგის ღილებს მიხსნიდა, მეორეთი კი წელზე მეხვეოდა. მანქანის სავარძელი თითქმის შეუმჩნევლად გადაწია, რომ უფრო კომფორტულად მომდგომოდა. პერანგი მთლიანად გამხადა და ჩემი მკერდის ზელა ისე გააგრძელა. თვალებში თავხედურად მიყურებდა და ჩემს გამომეტყველებას აკვირდებოდა. თავბრუ მეხვეოდა და განძრევა არ შემეძლო. ვერაფერზე ვფიქრობდი, დედაჩემის გარდა. ვფიქრობდი, როგორ იდუღებდა სახლში ყავას, როგორ ლოლნიდა უკანა ღრძილებით ფხვიერ ორცხობილას, როგორი გაშტერებული მზერით უყურებდა კურიერს და შიგადაშიგ როგორ იხედებოდა მაჯის საათზე უკმაყოფილოდ.

მიშო გულ-მკერდს მიკოცნიდა და ახლა ჩემი ქვედაბოლოს ღილების გახსნას ცდილობდა. ჩემი ღილების შეხსნა რომ დაამთავრა, თავისაზე გადავიდა. შარვლიდან ყლე ამოიღო და ხელი მომაკიდებინა. ცდილობდა, ჩემი ხელი თავად გაემოძრავებინა, თუმცა გაშტერებული ოდნავადაც არ ვინძრეოდი. უკმაყოფილოდ რომ შემომხედა, ყვირილი დავიწყე. მთელი ძალით ვურტყამდი ხელებს ფანჯრის მინას და გამიშვი-მეთქი, ვღიალებდი. მანქანის კარი გამოვგლიჯე და გავიქეცი. ერთხელაც არ მიმიხედავს უკან, დედაჩემის ნაჩუქარი პერანგიც მანქანაში დავუტოვე.

სახლში ლიფის ამარა დავბრუნდი. დედა მისაღებ ოთახში არ დამხვდა, უკვე დაწოლილიყო. საძინებელში შევაჭერი და თავზე წამოვადექი. შეშინებული სახე ჰქონდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი - "მეზიზღები". დედას კარი გამოვუხურე და ჩემს ოთახში წავედი დასაძინებლად. მას შემდეგ დედაჩემს აღარც ტვინი მოუტყნავს და არც ბოზი დაუძახია ჩემთვის.

ცხოვრება ჩვეულებრივ გრძელდებოდა. მიშოს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მე კი ხანდახან მაინც ვფიქრობდი მასზე. ერთხელაც მიშო სამსახურიდან გაუშვეს ფულის მოტეხვაზე და მის ადგილას ახალი მენეჯერი დანიშნეს.

მაგ დღის შემდეგ მასზე ერთხელაც აღარ დამიძძრევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქეთევან მეფარიძე

# ტეო ოტეოს უთვალთვალებდნენ



### თავი I - ზარი სამსახურში

ნახევრადჩაბნელებული ბარის კიბეებზე წამოწოლილმა ტეო ოტეომ მორიგი დამთქნარებისას აღმოაჩინა, რომ უთეალთვალებდნენ.

აქამდე როგორ ვერ შეამჩნია?

გაახსენდა, დილით სიგარეტის საყიდლად გამოსულს, როგორ მიაშტერდა მანქანაში მჯდომი უცნობი კაცი, გრძელი ულვაშითა და მოძველებული, ნაცრისფერი კეპით.

დილის რვის ნახევარზე პატარა ქალაქის პატარა უბნის ეზოში გაუნძრევლად მდგომი მანქანა საეჭვოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ეს ფიქრი მალევე უკუაგდო. იმ მომენტში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გადაეჭრა: ტეო ოტეოს რაც შეიძლება მცირე დროში უნდა ეყიდა სიგარეტი ისე, რომ ვინმე ნაცნობს არ გადაყროდა.

თუმცა ამ უბანში ვინ შეხვდებოდა, სახლისგან ისე შორს იყო, უფრო კონკრეტულად კი საათისა და ათი წუთის სამანქანო გზაზე.

სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა უბნის ჯიხურს და იქვე, ყიდვისთანავე მოუკიდა პირველ ღერს.

პირველ ღერს მეორე მოჰყვა, მესამეს კი ხსნადი ყავა, შაქრის გარეშე. არ უყვარდა ეს ბინა, 48 კვადრატული ფართითა და მიყრილ-მოყრილი ტანსაცმლით. რომ არაფერი ვთქვათ ვიწრო ლოგინსა და აგრესიულ კატაზე, რომელსაც ტეო ოტეო გამოხატულად არ მოსწონდა. ერთადერთი, გრძელი აივანი თუ გამოდგებოდა სიგარეტის მოსაწევად და ყავის მისაყოლებლად.

არც იმ დღეს უღალატა ჩვევას, საცვლების ამარა ხის სკამზე ჩამოჯდა და აივნის მოაჯირზე ფეხები შემოაწყო. ცხრა საათი ხდებოდა. სამსახურამდე სახლში მისვლას და წყლის გადავლებას ველარ ასწრებდა. სონიას აბაზანით სარგებლობა მოუწევდა. ხელები ანია, იღლიები დაყნოსა. ოფლის მძაფრმა სუნმა საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა.

სამსახურში დააგვიანა, შეხვედრების ოთახის კარი იმ დროს შეაღო, როცა ჟურნალის მთავარი რედაქტორი მისი სტატიის პირველ აბზაცს ხმამაღლა კითხულობდა.

ტეო ოტეოს ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარდა. უხერხულობისგან ცერა და საჩვენებელ თითებს ერთმანეთში ნერვულად ათამაშებდა და გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ უხურდებოდა ლოყები. თუმცა იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ დიდი ალბათობით ამ სტატიაზე უკეთესს მომავალში ვერაფერს დაწერდა და სწორედ ეს იყო მისი კარიერული მწვერვალი. მაგრამ ამ ისტორიულ წუთებში, ტეო ოტეო სონიასა და გრეტაზე ფიქრობდა. გონებაში სონიას მკვრივ საჯდომს გრეტას დიდ მკერდს ადარებდა. გრეტას რბილ კანს - სონიას განიერ თეძოებს.

მაგრამ აწმყოში დაბრუნება მალევე მოუწია - ვიღაცამ შეკითხვა დაუსვა. ტეო ოტეომ არ იცოდა პასუხი. უფრო სწორედ, არ იცოდა კითხვა, რაზეც უნდა ეპასუხა. ამიტომ ნეიტრალური კომენტარი მოიფიქრა.

- საინტერესო მოსაზრებაა, დავფიქრდები.

ფიქრი გააგრძელა. წამებში ისევ შეაწყვეტინეს. სამსახურის ტელეფონთან ეძახდნენ. ჟურნალის მთავარი რედაქტორი გაოცებული უყურებდა, ბოლო 5 წლის მანძილზე ტეო ოტეოს სამსახურის ნომერზე პირველად კითხულობდნენ.

12 საათი ხდებოდა. ისევ ეს უხერხული სიჩუმე და დაძაბულობა. ტეო ოტეო ტელეფონისკენ ზანტად დაიძრა, თანამშრომლების დაჟინებულ მზერებს თვალი აარიდა, ნამიანი ხელით ყურმილი აიღო და საუბრისთვის მოემზადა.

მაგრამ ყურმილის მეორე მხარეს სიჩუმე იყო.

- გისმენთ, გისმენთ, ტეო ოტეო ვარ. გისმენთ - რამდენჯერმე გაიმეორა.

ყურმილის მეორე მხარეს კი მხოლოდ მძიმედ ჩასუნთქვის ყრუ ხმები ისმოდა. ბოლოს უმიზნოდ დგომა და ლოდინი მობეზრდა და ყურმილი დაკიდა.

იმავე წამს მობილურზე შეტყობინება მიიღო. სანამ გახსნიდა, გაიფიქრა, ალბათ, რომელიმე მეგობარი მეხუმრებაო, მაგრამ გრეტა აღმოჩნდა:

"ცოცხალი ხარ? დღესაც უნდა მიაკვდე ამ შენს სამსახურს? ის სტატია მაინც დაამთავრე, რაზეც ორი თვეა მუშაობ? დროზე თუ მოაღწევ სახლში, ჭვავის პური წამოაყოლე".

"გვიან მოვალ, არ დამელოდო. პურს წამოვიღებ"- მოკლე ტექსტური შეტყობინება გრეტასთან.

### თავი II- თავი გრეტაზე

გრეტას შვილი არასდროს სდომებია, მაგრამ 34 წლის

ასაკში, როცა პირველად გაიგო სიტყვათა შეთანხმება "წყვილის ფერტილობა", ბავშვის გაჩენის უსაზღვრო სურვილი იგრძნო.

უკვე ერთი წელი ხდებოდა, რაც გრეტა გულმოდგინედ ასრულებდა ჩვეულ რიტუალს: ბოლო მენსტრუაციის პირველი დღიდან გადათვლით სავარაუდო ოვულაციის დღეების საწყის თარიღს იღებდა, ბაზალურ ტემპერატურას ზომავდა და ოვულაციის დაწყებიდან 3 დღის განმავლობაში ტეო ოტეოს სექსის დროს (ბონუსად) ძუძუსთავებზე მოფერების საშუალებას აძლევდა.

იმ ღამეს, როცა ტეო ოტეო პატარა ქალაქის პატარა უბანში იმყოფებოდა, გრეტა ორკაციან საწოლზე თავისუფლად წამოწოლილიყო და ოვულაციის თარიღზე ფიქრის მოსაშორებლად, ტელეფონში Angry Birds-ს თამაშობდა. ბოლოს, თამაშიც მობეზრდა და შუაღამეს სმს-ი გააგზავნა:

"მგონი, ჩვენ ორში მარტო მე მადარდებს, შვილი გვეყოლება თუ არა. კარგად მაინც გიძღიდნეთ, სტატიას რომ გადააყოლე ყველაფერი. ვიძინებ".

ტეო ოტეოს არ უპასუხია. არც მეორე ღამით, 3 საათზე გამოგზავნილ სმს-ზე გაუცია პასუხი, როცა ორკაციან საწოლში თავისუფლად წამოწოლილმა გრეტამ მონყენილობის ნიადაგზე მეუღლეს უკმაყოფილების გამომხატველი შეტყობინება გაუგზავნა. არადა, მონყენილობის ხარისხი ნელ-ნელა იზრდებოდა, სანამ ბოლოს ლოგიკურ პიკს არ მიაღწია და გრეტამ ბრაუზერის ინკოგნიტო ფანჯარაში გაცნობის საიტების ძებნა დაიწყო.

რა დაშავდებოდა მსუბუქი ფლირტით? - გაიფიქრა გრეტამ. არც არაფერი - დაეთანხმა საკუთარ თავს. დროს საინტერესოდ გაიყვანდა, ცოტას გამხიარულდებოდა და ტეო ოტეოზეც ნაკლებად იფიქრებდა.

პირველი ნაბიჯი "პიროვნების ტესტი" იყო. გრეტას 20 შეკითხვისთვის გულახდილად უნდა ეპასუხა, რის შედეგადაც ვებგვერდის ალგორითმი მისთვის შესაფერის მეწყვილეს იპოვიდა.

სახალისო პროცესი ჩანდა. გრეტამ ჩვეული გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით შეავსო კითხვარი. ტესტის ბოლოს კი ვებგვერდის მარჯვენა კუთხეში გამოჩნდა 3 უცნობი კაცის ფოტო და მათი ინტერესების მოკლე აღწერა.

მესამე ფოტო გრეტასთვის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა. უცნობს გრძელი ულვაშები და მუქი ნაბლისფერი თვალები ჰქონდა. ფოტოში შავი პერანგი და მუქი ლურჯი პიჯაკი ეცვა, 40 წლამდე იქნებოდა. ზომიერად სერიოზული სახით უყურებდა კამერას. გრეტას არც მისი ინტერესების ფანჯარა დარჩენია უყურადღებოდ. მალევე გამოუტყდა საკუთარ თავს, უცნობი კაცის შევსებული აღწერა საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურებოდა:

"გრძელი, უინტერესო ღამეების გადაგორება" - ხმამაღლა წაიკითხა გრეტამ, ღრმად ჩაისუნთქა და გაიფიქრა: რა დაშავდებოდა, უბრალოდ რომ მიეწერა?

## თავი III- შეხვედრა

როცა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, შუახნის ქალმა, ირიტამ, სარედაქციო გუნდის დილის შეხვედრაზე იკითხა, ვინ გაამუქებდა მოძალადე ქმრის მიერ ქალის მკვლელობის მორიგ ისტორიას, ტეო ოტეომ დაუფიქრებლად აწია ხელი.

სახლში მისვლა ეზარებოდა, სონიას გვიანობამდე არ ეცალა, ბოლო სტატიაზე მუშაობა რამდენიმე დღის დასრულებული ჰქონდა და, შეიძლება ითქვას, უსაქმოდ იყო.

რატომაც არა?

ირიტას გაეღიმა.

- ტეო, ასე თუ გააგრძელე, მალე თვის საუკეთესო თანამშრომელიც

გახდები. მომწონს შემართება! - დინჯად საუბრობდა და შიგადაშიგ, კალამს თითებით ათამაშებდა.

ცხელოდა. ტეოს შუადღის მწველი მზისგან შუბლზე ოფლის წვეთები ემჩნეოდა. გარდაცვლილის დედა ინტერვიუზე ძლივს დაითანხმა, საუბრისთვის მხოლოდ რამდენიმე წუთი ჰქონდა. მანქანა სახლის შორიახლოს დააყენა, სანივთე უჯრაში ტყავის უბის წიგნაკი მოძებნა და კალამთან ერთად შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიგდო.

აუჩქარებლად მიდიოდა, ნაბიჯებთან ერთად პერანგს მკლავებზე იწევდა. სადარბაზოში შარდის სუნი იდგა. ლიფტი არ მუშაობდა. მე-7 სართულზე ფეხით უნდა ასულიყო.

კარი ღია დახვდა. გარდაცვლილის დედა მომცრო სამზარეულოს ქრაქუნახმიან მაგიდაზე ბოსტნეულს ჭრიდა.

საქმლის კეთება მამშვიდებსო - აუხსნა თვალებჩასიებულმა ქალმა.

ტეო ოტეომ კარი ღია დატოვა. ამ სართულზე კიდევ 3-4 ოჯახი ცხოვრობდა. გრძელ დერეფანში ხალხის ფუსფუსის ხმა ისმოდა.

გარდაცვლილი 23 წლის ყოფილა. ქმარს ორი წლის წინ დაშორდა. ამ ხნის განმავლობაში, კაცი რამდენჯერმე მიადგა ქალს სახლში, სადარბაზოში აგინა და თმებით ითრია.

დაშორების შემდეგ ხომ არ ემუქრებოდა? - დაინტერესდა ტეო ოტეო.

ბევრჯერ. ხშირად მეზობლებსაც კი ესმოდათ კაცის მუქარა, თუ ქალი არ შეურიგდებოდა, ჯერ თვალებს დათხრიდა, შემდეგ კი მოკლავდა. გარდაცვლილის დედას მისი ეშინოდა, მაგრამ რას იზამდა? ჩუმად იყო, პოლიციის იმედი ჰქონდა.

იმ მომენტში, როცა ქალი შემოსასვლელ კართან დაფენილ ხალიჩაზე, სადაც გარდაცვლილის სისხლის წვეთები შემორჩენილიყო, თითით ანიშნებდა, ტეო ოტეომ თვალი მოკრა უცნობ კაცს, გრძელი ულვაშითა და ნაცრისფერი კეპით, რომელმაც ღია კარს აუჩქარებლად ჩაუარა.

ეს მოძველებული, ნაცრისფერი კეპი დილითაც ხომ ნახა? პატარა ქალაქის პატარა უბნის ეზოში.

მაგრამ მალევე, ყურადღება ისევ ხალიჩაზე გადაიტანა, სადაც 23 წლის ქალის სისხლის წვეთები რთულად ამოსაყვანი ლაქა გამხდარიყო.

სადარბაზოს პირველი სართულის პირველი კიბე რომ ჩაიარა, თავი ველარ შეიკავა და იქვე აღებინა. როგორც გაირკვა, ქმარს მუქარა შეუსრულებია და მსხვერპლისთვის თვალები დაუთხრია.

რამდენიმე წუთში სონიას აუდიო შეტყობინება გაუგზავნა.

"სონია, ამ აბსურდულ და ტრაგედიებით სავსე სამყაროში მე შენ მიყვარხარ. მოდი, ბავშვზე ვიფიქროთ".

## თავი IV - თავი სონიაზე

სონიას შვილი არასდროს სდომებია, მაგრამ როცა ტეო ოტეოს აუდიო შეტყობინება მოისმინა, წარმოიდგინა ხუჭუჭა, ფუმფულალოყებიანი ბავშვი, რომელიც მამას დაემსგავსებოდა და ბავშვის გაჩენის უსაზღვრო სურვილი იგრძნო.

6 საათი ხდებოდა. აბაზანიდან ახალგამოსულმა სველი თმის პირსახოცით გამშრალება დაიწყო. გრძელ სარკეში საკუთარი სხეული შენიშნა. ზურგით დადგა, შემოხვეული პირსახოცი აიწია და საჯდომის თეალიერებას შეუდგა.

პატარა ქალაქში სონიას უცნაურ, თამამ მხატვრად იცნობდნენ. განსაკუთრებით უყვარდა ქალის სხეულის ჩანახატების კეთება. ხატავდა ნებისმიერ ფორმასა თუ პოზაში. რამდენიმე წლის წინ ავტოფარეხი სახელოსნოდ გადააკეთა და დღის დიდ ნაწილს იქ ატარებდა.

იმ დღესაც იგივე მოხდებოდა, რომ არა სონიას კარზე კაკუნის ხმა.

ტეო ოტეოს კითხულობდნენ. უცნაური იყო. სონიამ პირსახოცი შეისწორა, ჭუჭრუტანაში გაიხედა. კართან უცნობი კაცი იდგა, გრძელი ულვაშითა და კეპით, რომელიც სონიას სასაცილო მოეჩვენა.

- ტეო აქ არ არის, თქვენ ვინ ხართ? - დაძაბულად იკითხა სონიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე მისი ძველი ნაცნობი ვარ. შეიძლება ასე ვერ გამიხსენოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ უფიქრია ჩემზე. წერილს დაგიტოვებთ. გთხოვთ, გადაეცით - უცნობმა კარის ღრიჭოში კონვერტი შეაცურა.

დალუქულ, შინდისფერ კონვერტზე არაფერი ეწერა.

მიაუ, მაცადე ორი წამი - მკაცრად მიმართა მის კოჭთან აჭუზულ კატას სოფიამ.

რა დაშავდებოდა, კონვერტი რომ გაეხსნა?

საკუთარი სინდისის პასუხი არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც გახსნა.

ვერაფერი გაიგო:

"ტეო ოტეოს.

დროა".

## თავი V - თავი ტეო ოტეოზე

ტეო ოტეოს ბავშვობაში დიდი, სლიპინა ხვლიკების ეშინოდა, ზაფხულის არდადეგების დროს, თამაშისას რომ გადაუცურებოდა ხოლმე გზაზე და კანკალს აწყებინებდა.

თუ იმ დროს უფროსი ძმა ახლოს იყო, ტეო ოტეოს ფერწასული სახის დანახვისას სიცილს ვერ იკავებდა და სოფლის ბიჭებს გასართობად ეძახდა.

სოფლის ბიჭებიც თვალის დახამხამებაში ადგილზე ჩნდებოდნენ, ტეო ოტეოს წრეს შემოარტყამდნენ და გულს სიცილით იჯერებდნენ ხოლმე.

ერთხელაც, ტეო ოტეოს ფეხებმა უმტყუნა. შუაგულ ტყეში "ომობანას" თამაშისას, როცა ტეო ოტეომ თავის წარმოსახვით მეგობარს პირველმა ესროლა წარმოსახვითი იარაღი, დიდი, სლიპინა ხვლიკი დაინახა. შიშისგან შეჰკივლა და ადგილზე ჩაიკეცა. ხვლიკი არ იძვროდა. არც ტეო ოტეო.

მალე ხალხიც შეგროვდა. უეცრად, სოფლის ბიჭების წრეს ერთი გამოეყო, დაგლეჯილძირებიანი შარვლითა და სახეზე მუწუკებით, წინ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და მიწაზე ჩაკეცილ პატარა ტეო ოტეოს პირდაპირ ფეხებში კენჭები დაუშინა.

ტეო ოტეომ ღმუილი დაიწყო. სოფლის ბიჭებმა კი სიცილს უმატეს. მალევე სხვებმაც მოიმარჯვეს კენჭები და მხიარულად დაიწყეს სროლა. ტეო ოტეომ ხალხში კენჭებმომარჯვებული ძმა აღმოაჩინა და მუხლებში თავი ჩარგო.

აღარ ახსოვს, როგორ გამოექცა უფროს ძმას, სოფლის ბიჭებსა და ათობით კენჭებს. გამოეკიდნენ, მაგრამ ისე სწრაფად მირბოდა, მალევე უკან მოიტოვა ყველა.

ტბამდე ძლივს მიაღწია. აქ ვერავინ იპოვიდა, მისი სამალავი ადგილი იყო. დიდ ქვაზე ჩამოჯდა, ტკივილისგან ფეხები უხურდა, წარმოსახვითი მეგობარიც არ ჩანდა.

იმ დღეს, ტეო ოტეოს ცხოვრებაში პირველად შეეშინდა სიკვდილის და ამის შემდეგ არ გასულა არცერთი დღე, მასზე რომ არ ეფიქროს.

## თავი VI - შუაღამე

შუაღამე იყო.

სიკვდილი პატარა ქალაქის ქუჩებში სწრაფი ნაბიჯებით მოძრაობდა. გზაში, სანამ ვიწრო ქუჩას მიუახლოვდებოდა, მთვრალი კაცი დაეჯახა და ისე ჩაუარა, ბოდიშიც კი არ მოუხდია.

შენც მოგხედავ ცოტახანში - გაიფიქრა სიკვდილმა, მხრები დაიფერთხა და მიზანმიმართულად გააგრძელა გზა.

ვიწრო ქუჩის ბარები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, პირველ ჯერზე შეცდომით სხვაგან შეაჭრა.

მეორე ცდაზეც შეცდა. ბარში არავინ იყო. მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი, "ბლუ ლაგუნას" დარჩენილ წვეთებს ჭიქიდან ხარბად რომ წრუპავდა.

აგვიანდებოდა. სამი ხდებოდა. მესამე ბარშიც შეცდომით შეიხედა.

გაბრაზდა საკუთარ თავზე. სიკვდილი იყო თუ იღბალი, უმისამართოდ რომ დაეხეტებოდა აღმა-დაღმა?

მაგრამ უეცრად შეამჩნია შავი კარი, რომელსაც ნაცნობი სახელური ჰქონდა.

დროა - გაიფიქრა სიკვდილმა, გააღო კარი და გარშემო მიმოიხედა.

ნახევრადჩაბნელებული ბარის კიბეებზე წამოწოლილმა ტეო ოტეომ მორიგი დამთქნარებისას აღმოაჩინა, რომ უთვალთვალებდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა იათაშვილი



## პასუხის მოლოდინში

პასუხს ელოდა შეყვარებულისგან.
ადრე თუ ხელად მოდიოდა მესიჯი,
ბოლო დროს პაუზები გაიზარდა,
რამდენიმე საათი არ ჩანდა ხოლმე სანატრელი შეტყობინება,
ხანდახან მთელი დღეც კი,
და განერვიულებულს ეჭირა ხელში ტელეფონი და დასჩერებოდა,
ყოველ წამს შედიოდა ინბოქსში,
ვეღარც სქროლავდა,
ვეღარც საიტებს ათვალიერებდა,
ხმა ბოლომდე ჰქონდა აწეული,
მაგრამ მაინც არ ენდობოდა ამას,
თვალს თუ მოაცილებდა ეკრანს,
მერე აუცილებლად უნდა გადაემოწმებინა,
ხომ არ იყო წერილი მოსული,
იქნებ და ზარუნება ვერ გაიგონე,
გამომრჩა სიყვარულზე ფიქრებში წასულსო,
ან მობილურში მოიშალა რამეო.
დახედავდა, ისევ არ იყო პასუხი მოსული
და ტელეფონს შეაჯანჯღარებდა,
სადღაც აქვე ხომ არ გაიჭედა მესიჯიო.
აჯანჯღარებდა, აჯანჯღარებდა,
მაგრამ უშედეგოდ,
წავიდა მერე და ახალი ტელეფონი იყიდა,
ბოლო მოდელის,
იქნებ აქ უფრო სწრაფად მოვიდეს მესიჯებიო,
მაგრამ ვერ უშველა უახლესმა ტექნოლოგიამაც,
მაინც დიდხანს უწევდა ლოდინი,
ინტერნეტკომპანია გამოცვალა,
სხვა დაიყენა სახლში,
რადგან უთხრეს,
ამათი ინტერნეტი უკეთ მუშაობს,
უფრო სწრაფიაო,
მაგრამ არ იყო ამაშიც საშველი,
პირიქით, ახლა უკვე
მთელი რამდენიმე დღეც კი არ ეხმიანებოდა შეყვარებული,



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუხეთქდა გული,
სული დაუმძიმდა,
დაბოლმილი რეკავდა ინტერნეტკომპანიაში და აგინებდა,
ასე ცუდად რატომ მუშაობთ,
თქვენი დედა ვატირეო.
საბოლოოდ შეწყდა მოკლე ტექსტური შეტყობინებები
საკრედიტოსაგან,
და სხვა რა ექნა, ხელოსანთან წაიღო ტელეფონი,
გეხვეწები, მიშველე რამე,
მესიჯები არ მომდის აქო.
დახედა ხელოსანმა და რა არ მოყვდის,
ხუთი ახალი წერილია შემოსულიო.
არაო, არაო, ეგენი არ მაინტერესებსო,
იმისგან არ მომდის, ვისგანაც ველოდებიო.
არა, ძმაო, ეგრე არაა, მესიჯი ან მოდის, ან არა,
თუ ჭედავს, ყველასთვის ერთნაირად ჭედავს,
ტელეფონში არაა პრობლემა,
გამომგზავნშია პრობლემა,
ეგ უნდა გაარკვიოო.
გამომგზავნშია პრობლემაო? - დაფიქრდა, -
ეგ რანაირადო?
რა ვიცი აბა, ხომ არ ავიწყდება გამოგზავნა,
ან სულაც ხომ არ დაგიკიდაო.
ეგეთი რამეც ხდება,
რომ შეყვარებულმა დაგიკიდოსო? -
გაიოცა მესიჯების მომლოდინე კაცმა.
კი, ეგ ხდება თუ ხდება,
შენ რომელი სამყაროდანა ხარ საერთოდ მოსულიო -
გაეცინა ხელოსანს და უკან დაუბრუნა მობილური, -
არაფერი არ სჭირს ამ ტელეფონს,
შენ გჭირს რაღაც,
ან იმას, ვის მესიჯებსაც ელოდები,
და რაშია საქმე, ეგ გაარკვიეთო.

## ოდა ვაკეს

როგორ არავინ იყო ამ ქუჩაზე.
მეგონა ვიღაც კვანტს დამიდებდა,
წამაქცევდა,
და ყურში ჩამძახებდა:
ჩუ, ბიჭო, ჩუ!
რადგან ძალიან ხმაურობდა რაღაც შიგნით,
არადა ამ ქუჩაზე ხომ
მუდამ რაღაც ხდებოდა,
ხომ მუდამ ეცემოდნენ დატანჯული ბიჭები მის ასფალტზე
და იკლაკნებოდნენ,
და გოგოები ხელოვნურ სუნთქვას უტარებდნენ მათ,
და მერე გარბოდნენ შეშინებულები,
როგორც კი დაინახავდნენ,
რომ მომაკვდავმა ბიჭმა თვალები გაახილა
და ახლა ცდილობს, ხანჯალივით მზერა გაუყაროს მათ...
ეს ასეთი უბანი იყო,
სნობების სახელი რომ აეკიდებინა სამარადჟამოდ,
არადა, მე ხომ ვიცი,
რომ აქ მუდამ სულ სხვა რამ ტრიალებდა,
და არასდროს იყო თითქოს ეს ჩემი ტერიტორია,
მაგრამ როგორც კი ფეხს ჩავდგამდი იქ,
მაშინვე მეკვეთებოდა
ეს ჩემი ბრტყელი ტერფი,
და გამშოტავდნენ ვაკელი გოგონები
ჭავჭავაძის პროსპექტზე და დამცინავად დამყურებდნენ,
მაგრამ გული სტკიოდათ,
გული მაინც სტკიოდათ,
ხანდახან უჩერდებოდათ კიდეც,
და საბურთალოელ გოგონებს ეძახდნენ ჩემს გადასარჩენად,
და ნაძალადეველ გოგონებს ეძახდნენ ჩემს გადასარჩენად,
და ავლაბრელ გოგონებს ეძახდნენ ჩემს გადასარჩენად,
თვითონ კი ჩამოსხდებოდნენ
და ხილიანაშვილის სალონში ათი წუთის წინ გაკეთებულ
ფრჩხილებს იკვნეტდნენ...
მე ყოველთვის მიყვარდა ვაკელი გოგოები,
ასეთი მგრძნობიარეები,
ასეთი თავმომწონეები,
ასეთი მიუწვდომლები,
ახლა კი მიტოვებული ქუჩას,
და არავინ იყო ამ ქუჩაზე,
ვინც კვანტს დამიდებდა,
წამაქცევდა,
და ყურში ჩამძახებდა:
ჩუ, ბიჭო, ჩუ!
და ჩაიარა ჩემს გვერდით ორმა გოგონამ,
და ერთმა მეორეს უთხრა:
**Ты же знаешь, эти шланги мне очень нужны!**
და გული გაიყინა და მერე უცებ გათბა.
ჰო, ეს რაღაც ძალიან სხვა იყო,
ეს ძალიან შორიდან მოტანილი ქარი იყო,
ცივი და ლამაზი,
ვილაცისთვის საზიზღარი, მაგრამ
ამ მომენტში მე მაინც ამ ფრაზამ გადამარჩინა.
არ ვიცი, რატომ მომეწონა ეს ფრაზა ამ შუა ვაკეში,
მაგრამ მივდიოდი და ვბურდღუნებდი,
გაუჩერებლად ვიმეორებდი:
**Ты же знаешь, эти шланги мне очень нужны!**
კვანტს არავინ მიდებდა,
მაგრამ უკვე აღარც იყო საჭირო:
მე ხომ მახსოვდა,
რომ რამდენიმე დღის წინ ისეთი კვანტი დამიდეს,
რომ მისი სილამაზე
სიცოცხლის ბოლომდე უნდა მეტარებინა,
მე ხომ მახსოვდა,
რომ დღეს ამ ქუჩაზე მხოლოდ იმიტომ მივბანცალებ,
რომ შემთხვევითობაა უკვე ეს,
და არა ისეთი აუცილებლობა,
როგორიც 30 წლის წინ
აქ ჰაეროვნად გასეირნება იყო.
და ამიტომაც წამოიღო სუსტმა ქარმა,
და მოიტანა ჩემს ყურამდე:
**Ты же знаешь, эти шланги мне очень нужны!**
ფილოსოფოსები ამაზე ამბობენ, რომ
ესაა ახალი პარადიგმა,
მაგრამ მე არ ვიცოდი იმ წამს,
ეს ვაკის შეცვლილი პარადიგმა იყო თუ არა,
მე მხოლოდ ვგრძნობდი,
რომ ის ადგილი,
სადაც ახალგაზრდობაში ვეცემოდი და
ხელოვნურ სუნთქვას მიტარებდნენ ხოლმე
მიუწვდომელი გოგონები,
არასდროს დალპება,
მე მხოლოდ ვგრძნობდი,
რომ მთავარია იარო
მიზანმიმართულად არეული ნაბიჯებით
და გულში იმეორებდე თუნდაც ასეთ
სრულიად არაპოეტურ ფრაზას:
**Ты же знаешь, эти шланги мне очень нужны!**
ეს მაიაკოვსკიმ მასწავლა,
ქუთაისელმა პოეტმა,
რომ ასეთ ფრაზებში პოეზია დავინახო და დავდნე,
როგორც ფოლადი მეტალურგიულ ქარხანაში,
როგორც ბამბის ნაყინი პირში,
და გული ფეხის კოჭებში ამიძგერდეს,
და ჩემი მარიანი მოძრაობის რიტმი გამოიკვეთოს,
და დავეცე და ავფართხალდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეგ ძველი პარადიგმაა...
უკვე ჩავლილი...
ახალი კი მეუბნება, რომ
აღარავინ დამიდებს კვანტს და არ წამაქცევს,
და არ ჩამძახებს ყურში:
ჩუ, ბიჭო, ჩუ!

და ამიტომ მივიჩქარი შენელებული ნაბიჯით
ძლია უსახური დასასრულისაკენ
და აწის ბრაზი მიმყვება მხოლოდ...



## იატაკი

როცა ცუდად ხარ,
ძალიან კარგია იატაკზე დაწოლა.
იატაკიდან ხომ მეტია მაღლა სივრცე,
და გრძნობ, რომ ისე აღარ იხრჩობი,
როგორც შენს რბილ ლოგინში ჩაწოლილი
იხრჩობოდი მუდამ.
ის ჭაღიც ხომ ცოტა უფრო შორსაა,
დედაშენმა რომ თავისი ხელით ააწყო
და მერე თავს ზემოთ დაგიკიდა,
თითქოსდა სათვალთვალოდ.
აი, გაშხლართულხარ იატაკზე და უკვე გგონია, რომ
ის ექვსთვალიანი მზვერავი
ამ გაზრდილი მანძილიდან
უკვე ვეღარ შეამჩნევს იმ ცოდვებს,
ბოლო პერიოდში
დიდი სისწრაფით რომ დაგიგროვდა.
იატაკზე როცა წევხარ,
აღარ გექაჩება ცივი პარკეტი
იმ თავგზააბნეული გრძნობებისაკენ,
რომლისკენაც რბილი ლოგინი
გაუთავებლად გეძახდა ხოლმე.
იატაკზე როცა წევხარ შიშეული,
ბინის კეთილშობილი ჭუჭყი შეგდის ტანში
და იმ ბოროტ ჭუჭყს აძევებს გარეთ,
ახეულში რომ გაგიჟდა ამ დღეებში და
კული გაგიცოფა.
იატაკზე როცა წევხარ დაღლილი,
აღარ გეშინია თვალების მილულვის და იმ კოშმარების,
რბილ ლოგინში ჩაძინებას რომ მოაქვს ხოლმე,
რადგანაც იცი, რომ იატაკის სიზმრები
რატომღაც მუდამ ჯანსაღი და კეთილია.
როცა ცუდად ხარ,
ვერ გშველიან ფსიქოთერაპევტები, მღვდლები და მეგობრები.
მაგრამ საბედნიეროდ მუდამაა სახლის იატაკი,
რომელზეც შეგიძლია გაიშოტო და იგრძნო,
როგორ შემოდის
ცივი პარკეტის მადლი შენში,
შეცდომებისგან მოკუნტულს ბეჭებში გასწორებს და
გიფილტრავს გულის ყველაზე უფრო
შხამიან პარკუჭს.

## იასამანი

სიო არხევს და ატოკებს
ჩემი ფანჯრის წინ იასამნებს,
რომლებიც ვერ მოვათრიე სახლში,
წელსაც გავმაზეო, -
დახანებით თქვა
სიყვარულის კატასტროფებში მოყოლილმა ქალმა,
მიხურა ფანჯარა და
ორი ბოთლი "საფერავი" გამოიძახა.
ქალი ისეთი იყო, რომ უხდებოდა კატასტროფები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან უხდებოდა,
მაგრამ თვითონ იტანჯებოდა,
და იასამანიც ვერ მოეთრია სახლში,
სევდის გასაქარვებლად,
თვალის დასასვენებლად,
გულის გადასაყოლებლად.
არადა იასამანი სჭირდებოდა მას
ყველაზე მეტად ამ წამს -
თუნდაც უყურადღებოდ მიგდებული ჟურნალის მაგიდაზე,
თუნდაც აფიშებს შორის შეჩურთული,
თუნდაც გასარეცხი ჭურჭლის თავზე ნაზად დადებული -
თავის გულისამაჩუყებელ სუნს ხომ მაინც გაუშვებდა
ემოციებით დაღლილ ოთახში,
თავის რბილად ჭაჭყანა ფერს ხომ მაინც შეიტანდა
ბინის შებოჭილ დიზაინში,
არადა გაემაზა კატასტროფებში მოყოლილ ქალს
წლევანდელი იასამანი
და ორი ბოთლი "საფერავივით" ვერ გამოიძახებდა ახლა,
და ამიტომ მოიწყინა უეცრად
და მერე იტირა კიდეც.
და რომ ტიროდა,
ეგონა გულისგამხეთქავი სიყვარულის სამკუთხედის გამო ტიროდა,
ეგონა საკუთარი სიბარბის გამო ტიროდა,
ეგონა იმ კვანძის გამო ტიროდა,
რომელიც ვერც ვერავინ გახსნა მის ცხოვრებაში
და ვერც ვერავინ გაჭრა ხმლის ერთი მოქნევით,
ეგონა წყალში ჩაყრილი მილიონი შეუმჩნეველი
და სინამდვილეში კი
თვალისმომჭრელი მოძრაობის გამო ტიროდა,
ეგონა რომ სიტყვების გამო ტიროდა,
რომლებიც ლამის მოძრაობებზე მეტად შეყვარებოდა
ბოლო დროს,
ეგონა რომ უბრალოდ, ტირილის ესთეტიკის გამო ტიროდა,
არადა იასამანი აკლდა მას ახლა,
კიდევ ერთხელ გამაზული იასამანი,
თუნდაც ცოცხის გვერდით დაუდევრად მიყუდებული,
თუნდაც გაჩხერილი
იატაკზე რამდენიმე რიგად აკოკოლავებულ წიგნებს შორის,
თუნდაც დანგრეულ ლოგინზე უცნაურად დააენებული,
ახლოს იყო თითქოს იასამანი,
მისი ფანჯრის წინ სიო არხევდა და ატოკებდა,
მაგრამ ეს ხომ პოეზია იყო,
"ლამის სახლში შემოიჭრაო თუთა",
მაგრამ ეს ხომ ილუზია იყო,
"ლამის წელზე შემომხვიოს ხელი",
მაგრამ ეს ხომ ბოტანიკა იყო,
ლატვიელი ქალისგან ნასწავლი,
არადა სხვა რაში იყო გამოსავალი?
მის წინ მდგარ კორპუსზე რაღაც ტელეფონი ეწერა,
იქ დაერეკა?
ასე ხომ მწარედ მოტყუვდებოდა.
კორპუსის მიღმა ეშმაკის ბორბალი ტრიალებდა
და ფერებში გადადიოდა,
მასზე დამჯდარიყო?
ასე ხომ მწარედ მოტყუვდებოდა.
კაქტუსი მოერწყა აივანზე?
ასე ხომ მწარედ...
არა, არა... მიაგნო, თითქოს...
ასე მწარედ ნამდვილად არ მოტყუვდებოდა...
კაქტუსი მისი საყვარელი მცენარე იყო...
გაუმაზავი...
ამიტომაც მოისროლა კატასტროფებში მოყოლილი თვალები და
ყვავილების სარწყავს დაავლო
ტატუებით გადაჭედილი ლამაზი ხელი...



იასამანს კი,
მის სახლში აქამდე ვერაფრით რომ ვერ შეაღწია,
გაუხარდა და აშრიალდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ ჩხეტიანი



## წერტილი

წუხელ ცა წერდა საშინელ პოემას...
წერდა რაღაც გაშმაგებით,
წერდა მძაფრად,
წერდა ელვისა და გრგვინვის თანხლებით;
წერდა ცა წვიმის სტრიქონებით:
პაუზებით, მიჩუმებით და ისევ ხმაურით.
წერდა ცა წვიმით -
ვერტიკალურად და მთელ სივრცეში
ელვისა და გრგვინვის თანხლებით.
ვიწექი,
ვუსმენდი,
ნაკითხვას ვცდილობდი.
მესმოდა, მაგრამ ვერაფერს ვიგებდი:
არ ჰგავდა ცის ნაწერი არცერთ დამწერლობას -
არც იაპონური იყო და არც სხვა ენაზე.
ვუსმენდი და წაკითხვას ვცდილობდი,
მაგრამ ამაოდ - მხოლოდ შიში,
მხოლოდ შიში მივლიდა სხეულში.
ცა ისევ წერდა საშინელ პოემას -
წერდა წვიმის სტრიქონებით,
წერდა ელვის და გრგვინვის თანხლებით.
ვიწექი და წაკითხვას ვცდილობდი.
იქნებ ის იყო,
ერთხელ რომ წვიმად მოსვლა ინატრა?..
წერდა ცა ისევ გაშმაგებით -
წერდა წვიმის სტრიქონებით,
ელვისა და გრგვინვის თანხლებით.

ვიწექი,
ვუსმენდი,
ნაკითხვას ვცდილობდი...
მხოლოდ და მხოლოდ ამას ვხვდებოდი:



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა პატარა ვარ,
როგორ მცირე ვარ
და რაოდენ უმნიშვნელო ვარ
ცის წინაშე,
ამ სამყაროში !..
ცა ისევ წერდა -
წერდა წვიმის სტრიქონებით,
ელვისა და გრგვინვის თანხლებით,
დროდადრო მიჩუმებით,
მერე ისევ გულისხეთქებით...
და როცა ისათა,
როცა გათენდა,
მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა.
დაასრულა და მერულა დასვა
ლურჯ ფურცელზე
მზის დიდი წერტილი.



## მეტისმეტად ჩუმი მარტოობა

ეძღვნება გია-პანტას

ვვახშმობ და ვუყურებ,
მაგიდაზე დაცოცავს ჩემსავით მარტო ჭიანჭველა:
მარცხნივ, მარჯვნივ
ზემოთ,
ქვემოთ...

ოფიციანტია?
თუ შექეიფიანებული თანამეინახე?..

ჩვენ გაგვიმარჯოს, ჭიანჭველავ,
მე და შენ გაგვიმარჯოს !..

* * *

არ იცის შაშვმა, რისთვისა გალობს,
არც ქარმა იცის, საით უბერავს.

სადღაც, უცნობ და უხილავ მინაში
ხორბლის მარცვლებივით ცვივიან ჩვენი ფიქრები;
სველდებიან უხილავ წვიმით
და ღივდებიან უცნობი მზის სითბოთი.

ღივდებიან, ამოდიან და იზრდებიან,
და შრიალებენ მწვანე ჯეჯილად.
მოყვიანებით ვიღაც დადის შემოსულ ყანაში,
თვალს იხარებს
და ხარობს იმ სიხარულით,
ჩვენ რომ არ გველირსა...

და არც მზემ იცის,
ვისთვის ამოდის,
მაგრამ იცის,
რომ უნდა ანათოს.

## თრილერი

დაძინებამდე
რაღაც ფილმს ვუყურებდი.

ფილმი სიზმარში გაგრძელდა
და იქ უკვე მეც ვიყავი ერთ-ერთი პერსონაჟი
და ჩემს თავსაც ვხედავდი ახლო თუ შორი კადრით:

ვიჯექი კაფეში და ვიღაცას ველოდი;
გავდიოდი გარეთ და ვიღაცა მეძახდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვტრიალდებოდი და სახეში მირტყამდნენ;
მერე ვიღაცას მივდევდი,
ვეცემოდი
და ისევ ვდგებოდი;
მერე ვიღაც მეხვეოდა და მეფერებოდა...

მერე ჩვენ ერთად გავურბოდით ჩვენკენ მომქროლავ
და ფარებაბრდღვიალებულ მანქანას -
გავრბოდით,
გავრბოდით,
გავრბოდით...
და გულისხეთქებით გამომეღვიძა.
ვინეღი გულალმა
და სიბნელეში დიდხანს ავყურებდი ჭერის შავ ეკრანს -
ველოდი,
როდის გამოჩნდებოდა წარწერა თეთრი ასოებით
"FIN",
რომ აემდგარიცავი
და "დარბაზში" შუქი აენთო.

## ქებათა- ქება მეწამულ მაისურს

"არა, სხვა არაფერი!
მხოლოდ იმის შეგნება,
რომ სიცოცხლე ილევა
ქალის მკერდის სიზმარით..."
გივი გეგეჭკორი

შენ კი არ ფარავ,
უფრო აჩენ.
აჩენ იმას, რაც არის და რაც იგულისხმება;
აჩენ იმაზე მეტს, რასაც ხედავს თვალი
შენზე მზერამიბმული.
შენი წვრილი ბრეტელებით
და თითქმის გამჭვირვალე ქსოვილით
შენ არ ფარავ, და უფრო აჩენ
თვალისმომჭრელ სითეთრეს მკერდისას:
ორი თბილი ბორცვი და ღარი მათ შორის;
მკლავები, მხრები - თეთრი და გლუვი;
ყელი, ნიკაპი, ბაგეები - ღიმილის ხაზი,
ცხვირი, ლოყები..
თვალები - ლურჯად მოციმციმენი;
შუბლი და შავი თმა -
სახის ირგვლივ, თეთრ ბალიშზე...
უფრო ზემოთ:
საწოლის თავი და მის უკან დიდი სარკმელი;
სარკმელში კი მწვანე ჩიტები,
ხიავისგან მოცახცახენი.
და ცა,
ლურჯი ცა - გარეთ ალბათ გაზაფხულია !..
ლურჯი ცა, ხეები, სარკმელი, საწოლი...
შავი თმა თეთრ ბალიშზე
და ლურჯი თვალები,
მენფერი ბაგეები;
ყელი და მხრები,
ქათქათა მკლავები...

და შენ, წითელო თუ მეწამულო,
რომელიც კი არ ფარავ, უფრო აჩენ
შენი წვრილი ბრეტელებით
და თითქმის გამჭვირვალე ქსოვილით
ასე მშვენიერს და ასე სასურველს -
ორ თბილ, ქათქათა ბორცვს
და ღარს მათ შორის!..
უფრო ქვემოთ კი
ოდნავ მთრთოლარე ხელებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ-ჭრელ საბანზე,
დიდი აფეთქების მოლოდინში...
... დიახ, მას ელვიძა,
მაგრამ მე რატომ გამომეღვიძა? -
მერჩივნა, სიზმარში დავრჩენილიყავი.

* * *

მილიარდი ყვავილი აპრილში -
ველად თუ ხეებზე...
მე კი ის ერთი დამამახსოვრდა
ალუჩის განაპირა ტოტიდან:
დიდხანს მიყურებდა
თვალდაუხამხამებლად.

## ლერწამი

უყვავილო
და უნაყოფო...
თითქოს მხოლოდ თავისათვის არსებობდეს
და სხვა არაფერი აინტერესებდეს.
არადა, როგორი მგრძნობიარეა! -
ნიავის ერთ წამოქროლაზეც ცახცახი იტანს
და ჟრუანტელად უვლის სხეულში...
თითქოს მხოლოდ თავისთვის არსებობს
და, ვინ იცის,
რას განიცდის
და რაზე დარდობს,
წვიმაში ჩუმად რომ იცრემლება?..

## უცნობი

საავადმყოფოს დერეფანში
გაიარა ვიღაც მოხუცმა
და მარადიულ დუმილად დარჩა
მეოთხე სართულის
ღია სარკმელი.

## მარტოსახლი

ბებერი მსხლის
მოყვავილე ტოტი
თუნუქის ჟანგიან სახურავზე -
დაე, ამ სახლმაც იგრძნოს
გაზაფხული.

## Endgame Studies

დავით გურგენიძეს

სამი თეთრი მტრედი
და სამი შავი მერცხალი
ლურჯი ცის
უსაზღვრო დაფაზე.

## უკან მოხედვა

მაინც რისთვის მოდიოდი ამდენი ხანი?
ამხელა გზა ნეტავ რისთვის გამოიარე?..

გზად და სვლად ითქმის,
თორემ არც გზა იყო
და ასეთ სვლასაც რა სვლა ეთქმოდა?-

ბორძიკ-ბორძიკით,
დაცემებით
ან სულაც - ფორთხვით,
ძლივს წამოდგომით,
მუხლების კანკალით...

მაგრამ მაინც მოიწევდი - მოდიოდი,
მოდიოდი და არც იცოდი:
რატომ? რისთვის? ვისკენ?
და გზიდან არ გადაგიხვევია...

მაინც რისთვის მოდიოდი ამდენი ხანი?..
ჩამოჯექი,
შეისვენე,
სული მოითქვი.

ღამდება უკვე,
სიჩუმეა,
სხვა არაფერი...
მხოლოდ ეს:
ციცინათელებით განათებული ბილიკი
სიბნელეში.



ლიტერატურა / ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილიპ როთის ინტერვიუ პრიმო ლევისთან

*იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა*



ფილიპ როთი და პრიმო ლევი პირველად ლონდონში შეხვდნენ 1986 წელს. ტურინელი მწერალი იქ იტალიური კულტურის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე იყო ჩასული. ლევის შემოქმედებით აღფრთოვანებულ ფილიპ როთს მათი საერთო ნაცნობის - გაია სერვადიოსთვის უთხოვია მწერალთან შეხვედრის ორგანიზება. შეხვედრის შემდეგ როთს სერვადიოსთვის უთქვამს, რომ "შესანიშნავი კაცი" გაიცნო.

იმავე წლის სექტემბერში როთი ტურინს ეწვია. მას ლევისთან ინტერვიუ უნდა ჩაეწერა ჟურნალისთვის **The New York Times Book Review**. ამერიკელი კოლეგის ვიზიტმა ლევი დიდად გაახარა, მითუმეტეს, რომ მისი ინტერვიუ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამერიკულ გამოცემაში უნდა დაბეჭდილიყო. როთს თან მეუღლე, ცნობილი მსახიობი - კლერ ბლუმიც ახლდა, რომელსაც, თურმე, ტურინელი მწერალი ეთაყვანებოდა.

ტურინში შეხვედრის პირველი დღე იმ ქარხანაში ვიზიტით დაიწყო, რომელშიც ლევიმ თითქმის 30 წელი იმუშავა. 12 წლის წინ პენსიაზე გასულ ქიმიკოსს ყველა დიდი სიყვარულით შეხვდა. ეს ვიზიტი როთმა მის ერთ-ერთ ესეიში აღწერა. შემდეგ ლევის კაბინეტში გადაინაცვლეს, სადაც საერთო ფოტოც გადაიღეს მასპინძლის ბიბლიოთეკის ფონზე. აქ მწერლებს ბევრი უსაუბრიათ, თუმცა როთის ინტერვიუში ამ საუბრიდან ძალიან ცოტა ან თითქმის არაფერი მოხვდა. საქმე ისაა, რომ ინტერვიუს დროს როთს არაფერი ჩაუწერია. მხოლოდ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მან კითხვები წერილობითი ფორმით გაუგზავნა იტალიელ მწერალს, რომელმაც, თავის მხრივ, მალევე პასუხები მისწერა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ როთის ადგილზე მიღებული შთაბეჭდილებები ინტერვიუში არ აღიბეჭდა. პირიქით, იგი გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობით შეისწავლიდა მწერლის თითოეულ სიტყვას, ჟესტსა და მიმიკას. შედეგად, მან ლევი გაიცნო არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ როგორც ადამიანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მეორე დღეს ლევიმ სტუმრებთან ერთად ისადილა, შემდეგ კი ყველანი ანჯელო პეცანას ცნობილ წიგნების მაღაზიას - "ლუქსემბურგს" ესტუმრნენ, სადაც როთმა თავის წიგნებზე ხელმოწერები გააკეთა. დღე ცნობილ ტურინულ რესტორან "კამბიოში" ვახშმით დააგვირგვინეს.*

*გამგზავრების დღეს როთმა ახლადშეძენილ მეგობარში ფარული დეპრესიის ნიშნები შენიშნა, რასაც ლონდონში გაჩენილი შთაბეჭდილებაც უდასტურებდა. იმავეს ადასტურებდა როთის მეუღლეც. განშორებისას ლევის ამერიკელი მეგობრისთვის უთქვამს: "არ ვიცი, ჩვენ შორის რომელი უფროსი ძმაა და რომელი უმცროსი." არადა, პრიმო 10 წლით უფროსი მაინც იყო როთზე.*

*ინტერვიუს თავდაპირველი ვერსია 18 გვერდისგან შედგება, მათგან 10 გვერდი კითხვებს უჭირავს, 8 გვერდი კი პასუხებს. აღსანიშნავია, რომ როთმა კითხვები ინგლისურ ენაზე გაუგზავნა ლევის, მან კი, ზოგიერთ ინგლისურ სიტყვას თუ არ ჩავთვლით, პასუხები იტალიურ ენაზე მისწერა.*

*ინტერვიუს პირველი ვერსია "The New York Times Book Review"-ში დაიბეჭდა იმავე წლის ოქტომბერში. 26 ოქტომბერს ინტერვიუს იტალიური, გარკვეულწილად სახეცვლილი ვერსია La stampa-შიც გამოჩნდა. სწორედ ამ ვერსიის თარგმანს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.*

*პრიმო ლევი პირველად ქართულ ენაზე მკითხველს გამომცემლობა "დიოგენემ" გააცნო მოთხრობების კრებულით "პერიოდული სისტემა". მოთხრობების უმეტესობა ავტობიოგრაფიულია და მოიცავს ლევის ოჯახის და წინაპრების ისტორიას, ახალგაზრდობის წლებს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდსა და ოსვენციმში ყოფნის დროს.*

**ფილიპ როთი:** "პერიოდული სისტემა" არის ნაწარმოები, რომელიც შენი, როგორც ქიმიკოსის გამოცდილების "მძაფრ და მწარე გემოს" ეხება. წიგნში შენს კოლეგას - ჯულიას ახსენებ. იგი შენი "მუშაობის მანიას" იმით ხსნის, რომ 20 წელს ცოტათი გადაცილებული ყმაწვილი ქალებთან ძალზე მორცხვი იყავი და არც შეყვარებული გყავდა. ჩემი აზრით, იგი ცდება. შენს ამ, მართლაც რომ, "მანიას" უფრო სერიოზული გამომწვევი მიზეზი აქვს. მუშაობის თემით თითქოს შეპყრობილი ხარ და ეს იმ წიგნშიც ჩანს, რომელიც აუშვიცის ტყვეობაზე დაწერე. Arbeit macht frei - შრომა ათავისუფლებს. ეს სიტყვები ნაცისტებმა აუშვიცის შესასვლელში ამოტვიფრეს. თუმცა, აუშვიცში გაწეული სამუშაო შრომის საზარელი პაროდიაა - უაზრო და უმიზნო. ესაა სასჯელის მსგავსი შრომა, რომელსაც წამებით სიკვდილამდე მიჰყავხარ. თითქოს მთელი შენი ლიტერატურული ჯაფა მიუძღვენი იმას, რომ შრომისთვის მისი ადამიანური არსი დაგებრუნებინა, ხოლო სიტყვა arbeit იმ შეუბრალებელი ცინიზმისგან გაგეთავისუფლებინა, რომლითაც იგი შენმა აუშვიცელმა დამსაქმებლებმა შებღალეს. ფაუსონე[1] ამბობს: "ყველა საქმე, რომელთაც ვიწყებ, პირველი სიყვარულივითაა." მას თავის საქმეზე ლაპარაკი თითქმის იმდენადვე უყვარს, რამდენადაც ამ საქმის კეთება. ფაუსონე არის ნამდვილი მუშა ადამიანი, რომელსაც შრომა ათავისუფლებს.

**პრიმო ლევი:** არა მგონია ჯულია შემცდარიყო, როცა ჩემი მუშაობის მანია გოგონებთან ჩემს მაშინდელ მორცხვობას დაუკავშირა. ეს მორცხვობა ან, თუ გნებავთ, თავშეკავება, სავსებით რეალური, მტკიენეული და მძიმე მოცემულობა გახლდათ. მაშინ იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ვიდრე საქმისადმი სიყვარული. რაც შეეხება მილანის ქარხანაში მუშაობას, რომელიც "პერიოდული სისტემის" ერთ-ერთ თავში - "ფოსფორში" აღვწერე, ეს იყო აზრსმოკლებული შრომა, რომლისაც თავადაც არ მწამდა. დაზავების[2] შედეგად მოახლოებული განსაცდელი უკვე იგრძნობოდა, ასე რომ, თავის მოტყუებას და მოჩვენებით, მეცნიერულად აბსურდულ სამუშაოში ჩაძირვას აზრი აღარ ჰქონდა.

არასდროს მიცდია სიღრმისეულად მეკვლია ჩემი იმდროინდელი სექსუალური სიმორცხვე, თუმცა ეჭვგარეშეა, იგი მეტწილად რასისტულმა კანონებმა განაპირობა. ამით ჩემი სხვა ებრაელი მეგობრებიც იტანჯებოდნენ. ზოგიერთი ჩვენი "არიული რასის" თანაკლასელი დაგვცინოდა, რომ წინადაცვეთა იგივე კასტრაცია იყო და ჩვენც, ქვეცნობიერ დონეზე მაინც, ამას ვიჯერებდით (ამ ყველაფერს ემატებოდა ჩვენს ოჯახებში გაბატონებული პურიტანიზმი). შედეგად, მუშაობა მაშინ ჩემთვის სექსუალობის ეკვივალენტი უფრო გახდა, ვიდრე სიყვარულის საგანი.

თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რომ ლაგერის გამოცდილების შემდეგ, ჩემმა საქმემ, უფრო სწორად კი ჩემმა ორმა საქმიანობამ (ქიმია და ლიტერატურული შემოქმედება) ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა და ეს დღემდე ასეა. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი ბიოლოგიურადაა მიმართული საბოლოო მიზნის მქონე საქმის კეთებისკენ, ხოლო მცონარობა და უმიზნო მუშაობა (როგორც აუშვიცის arbeit) ტანჯვასა და ატროფიას იწვევს. ჩემი და ჩემი ალტერ ეგოს - ფაუსონეს შემთხვევაში მუშაობა იგივეა, რაც problem solving ანუ პრობლემების გადაჭრა.

თუმცა, აუშვიცში ერთ ძალიან საინტერესო ფენომენს დავაკვირდი: სამუშაოს კარგად შესრუ-

1 პრიმო ლევის რომანის "ვარსკვლავის გასაღები" ("La chiave a stella") მთავარი გმირი. რომანი არის ე.წ. ინდუსტრიული ლიტერატურის ნიმუში. პროტაგონისტი -ლიბერტინო ფაუსონე - ხიდების დამმონტაჟებელი კომპანიის მუშა. ლევიმ პრემია სტრეგა მიიღო ამ რომანისთვის 1979 წელს.

2 იგულისხმება 1943 წლის 8 სექტემბერს დადებული ზავი იტალიასა და მოკავშირეებს შორის, ე.წ. კასიბილეს ზავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მოთხოვნილება ზოგჯერ იმდენად ღრმადაა ფესვგამდგარი, რომ ადამიანს აიძულებს მონური საქმეც კი კარგად აკეთოს. იტალიელი კალატოზი, რომელიც 6 თვის მანძილზე საკვებს მაწვდიდა და რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა, ვერ იტანდა გერმანელებს. ეზიზღებოდა მათი საჭმელი, მათი ენა, მათი ომი. მაგრამ როდესაც კედლების ამართვას ავალებდნენ, იგი სწორ და მყარ კედლებს აშენებდა, არა მორჩილების გამო, არამედ პროფესიული ღირსების ხათრით.

**ფილიპ როთი:** "განა ეს ადამიანია" მთავრდება თავით "10 დღის ამბავი". ამ თავში დღიურის ფორმით აღწერ 1945 წლის 18-27 იანვრის დღეებს, რომლებიც ბანაკის სახელდახელოდ აშენებულ ლაზარეთში გაატარე თითო-ოროლა ავადმყოფსა და მომაკვდავს შორის, ნაცისტები კი ამ დროს დასავლეთის მიმართულებით გარბოდნენ 20 ათას "ჯანმრთელ" ტყვესთან ერთად. ეს ამბავი რობინზონ კრუზოს ისტორიას მაგონებს ჯოჯოხეთში, შენთან - პრიმო ლევისთან ერთად, კრუზოს როლში, რომელიც დაუნდობლად ბოროტი კუნძულის მაგმურ ნარჩენებს გამოჰგლეჯს იმას, რაც არსებობისთვის სჭირდება. ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ამ თავში და, ზოგადად, ამ წიგნში მოახდინა იმან, თუ როგორ დაგეხმარა აზროვნება გადარჩენაში. პრაქტიკული, ადამიანური, მეცნიერული აზროვნება. შენი გადარჩენა არც ცხოველური, ბიოლოგიური წინააღმდეგობის გაწევის უნარით იყო განპირობებული და არც გასაოცარი იღბლით. შენი გადარჩენა, პირველ რიგში, გადაჯაჭვულია შენივე საქმიანობასთან, სამუშაოსთან, პროფესიულ მდგომარეობასთან. იგი დაკავშირებულია ადამიანთან, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია სიზუსტე, რომელიც ატარებს ექსპერიმენტებს და ეძებს წესრიგის პრინციპებს და რომელიც საკუთარი ფასეულობების ბიწიერი რღვევის მოწმე გახდა. დიახ, შენ ჯოჯოხეთის მანქანის დანომრილი ნაწილი იყავი, მაგრამ ამ დანომრილ ნაწილს ჰქონდა სისტემური აზროვნების უნარი, რომელიც ყველაფრის არსს უნდა ჩასწვდომოდა. აუშვიცში შენ თავს ეუბნებოდი: "ზედმეტად ბევრს ვფიქრობ", რომ გადავრჩე, "ზედმეტად ცივილიზებული ვარ." თუმცა, ჩემი აზრით, სწორედ "ცივილიზებული ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს", შეძლებს გადარჩენას. მეცნიერი და გადარჩენილი ერთმანეთს უდრის!

**პრიმო ლევი:** ყოჩაღ! მიზანში მოარტყი! 1945 წლის იმ დასამახსოვრებელი 10 დღის მანძილზე ზუსტად რომ რობინზონ კრუზოსავით ვგრძნობდი თავს, მაგრამ იყო ჩვენ შორის ერთი დიდი განსხვავება: კრუზო საკუთარი თავის გადარჩენისთვის ირჯებოდა, მე და ჩემი ორი ფრანგი მეგობარი კი გათვითცნობიერებულები და ბედნიერები ვიყავით, რომ ბოლოს და ბოლოს სწორი და ადამიანური მიზნისთვის შეგვეძლო გავრჯილიყავით - ეს მიზანი ჩვენი ავადმყოფი მეგობრების სიცოცხლის გადარჩენა იყო.

რაც შეეხება გადარჩენის მიზეზებს, ამის შესახებ ბევრჯერ მიკითხავს საკუთარი თავისთვის და



ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებსაც მრავალჯერ უკითხავთ ჩემთვის. დაბეჯითებით ვამბობ, რომ რაიმე ზოგადი წესი არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ ლაგერში ჯანმრთელი შესულიყავი და გერმანული გცოდნოდა. გადარჩენილებს შორის იყვნენ ცბიერებიც და ბრიყვებიც, გამბედავებიც და მხდალებიც, "მოაზროვნეებიც" და გიჟებიც (მაგალითად ელიასი, რომელიც აღვწერე წიგნში "განა ეს ადამიანია"). ჩემს ამბავში იღბალმა გადამწყვეტი როლი ორ შემთხვევაში ითამაშა: მაშინ, როდესაც იმ იტალიელ კალატოზს შევხვდი, რომელიც ზემოთ ვახსენე და მაშინ, როდესაც ერთადერთხელ და საჭირო დროს გავხდი ავად.

თუმცა, რასაც შენ ამბობ, რომ ჩემთვის აზროვნება და დაკვირვება გახდა გადარჩენის მიზეზი, მართალია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ბრმა ბედისწერამ ითამაშა უფრო დიდი როლი. მახსოვს, აუშვიცში ერთი წელი განსაკუთრებულად ამაღლებულ განწყობაზე მყოფმა გავატარე. არ ვიცი, ეს ჩემი პროფესიული წარსულით იყო გამოწვეული, მოულოდნელი ენერგიულობით თუ გადარჩენის ინსტინქტით. უნდა ითქვას, რომ არასდროს შემინყვიტავს ჩემ ირგვლივ არსებული სამყაროსა და ადამიანების შესწავლა. ამას იმდენად გულდასმით ვაკეთებდი, რომ დღემდე წარმოუდგენლად მკაფიო სურათი მაქვს გონებაში შემონახული. საოცარი სურვილი მქონდა ყველაფრის არსს ჩავწვდომოდი, მუდმივად იმ ცნობისმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი, რომელსაც ზოგიერთი ცინიკურადაც კი უყურებდა. ეს იყო იმ ნატურალისტის ცნობისმოყვარეობა, რომელიც შემაძრწუნებელ, მაგრამ ახალ, შემაძრწუნებლად ახალ გარემოში მოხვდა.

**ფილიპ როთი:** წიგნში "განა ეს ადამიანია?" აღწერილი და გაანალიზებული გაქვს საშინელი მოგონება "უზარმაზარი სოციალური და ბიოლოგიური ექსპერიმენტის" შესახებ, რომელიც გერმანელებმა აწარმოეს. იგი დიდი სიზუსტით იმართებოდა რაოდენობრივი ინტერესებით, რომელთა მიხედვით ადამიანი შეიძლება გარდაიქმნას ან დანაწევრდეს და ქიმიური რეაქციის შედეგად დაშლილი ნივთიერების მსგავსად დაკარგოს მისთვის დამახასიათებელი თვისებები. "განა ეს ადამიანია?" ჰგავს იმ ბიოქიმიური მორალის თეორეტიკოსის მემუარებს, რომლის ორგანიზმიც იძულებით დაუქვემდებარეს საზარელ ლაბორატორიულ ექსპერიმენტს. შეშლილი მეცნიერის ლაბორატორიაში დატყვევებული არსება თავადვე განასახიერებს კეთილგონიერ მეცნიერს. "ვარსკვლავის გასაღებში", რომელსაც თავისუფლად შეიძლებოდა "განა ეს ადამიანია?" რქმეოდა, ფაუსონეს, შენს მუშა შეპერეზადას ეუბნები: "ყველას თვალში იყო ქიმიკოსი, მაგრამ გრძნობდე... მწერლის სისხლს ვენებში." შედეგად კი, "სხეულში ორი სული გაქვს, რაც მეტისმეტია." მე კი ვიტყოდი, რომ შენში ერთ სულია - ძლიერი და ერთიანი. არა მხოლოდ მეცნიერი და გადარჩენილი უდრის ერთმანეთს, არამედ მწერალი და გადარჩენილიც.

**პრიმო ლევი:** ეს კითხვაზე უფრო მეტად დიაგნოზია, რომელსაც ვეთანხმები და რომლისთვისაც მადლობას გეუბნები. ლაგერში ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა რაციონალურად მეცხოვრა. "განა ეს ადამიანია?"-ს დაწერით თავს დავაძალე სხვებისთვის და საკუთარი თავისთვის ამეხსნა მომხდარი, რომლის მონაწილეც გავხდი. კონკრეტული ლიტერატურული მიზნები სულაც არ მამოძრავებდა. ნიმუშად ან თუ გნებავთ სამწერლო სტილად ავიღე weekly report ანუ ყოველკვირეული მოხსენება, რომელსაც საწარმოებში იყენებენ. იგი უნდა იყოს მოკლე, ზუსტი, და ყველა თანამშრომლისთვის გასაგები ენით დაწერილი. მეცნიერულ ენას ნამდვილად არ მოითხოვს. ისე კი, ყოველთვის მინდოდა მეცნიერი გამოვსულიყავი, მაგრამ ომმა და ლაგერმა ხელი შემიშალა და იძულებული გავხდი, ტექნოლოგობას დავჯერებულიყავი. სწორედ ამას ვაკეთებ მთელი ჩემი პროფესიული ცხოვრების მანძილზე.

იმაში გეთანხმები, რომ "ერთიანი სულის" პატრონი ვარ და კიდევ ერთხელ მადლობას გიხდი. ჩემი მოსაზრება, რომ "ორი სული მეტისმეტია" ნახევრად ხუმრობაა, თუმცა ამავდროულად მინიშნებაა საკმაოდ სერიოზულ თემებზე. ქარხანაში თითქმის 30 წელი ვიმუშავე და უნდა ვაღიარო, რომ ქიმიკოსობა და მწერლობა არც ისე შეუთავსებელია. პირიქით, ვიტყოდი, რომ მათ შორის ორმხრივი მხარდრაჭერაც კი შეიძლება არსებობდეს. თუმცა, ქარხანაში მუშაობა, უფრო სწორად მისი მართვა, ბევრი ისეთი რამის კეთებას გულისხმობს, რაც ქიმიისგან ძალიან განსხვავდება და შორსაა: კადრების აყვანა და დათხოვნა, მფლობელთან, კლიენტებთან და მომმარაგებლებთან კამათი, გაუთვალისწინებელი შემთხვევების მართვა, გამოძახებები ტელეფონთან შუაღამეს ან მეგობრებთან ვახშმობის დროს, მოსაწყენი ბიუროკრატიული საქმეები და სხვა უამრავი soul destroying tasks, ანუ დავალებები, რომლებიც ანადგურებენ სულს. ეს ყველაფერი სასტიკად შეუთავსებელია წერასთან, რომელიც სულის სიმშვიდეს მოითხოვს. ამიტომ, ნამდვილად "ხელახლა დაბადებულად" ვიგრძენი თავი, როცა პენსიის ასაკს მივაღწიე, სამსახურიდან წამოვედი და ჩემს რიგით პირველ სულზე უარი ვთქვი.

**ფილიპ როთი:** "განა ეს ადამიანიას?"-ს მოჰყვა "ზავი". წიგნის თემა არის შენი მოგზაურობა აუშვიციდან იტალიისკენ. ამ ნამებულ მოგზაურობაში მართლაც არის რაღაც მითიური, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში გატარებულ გრძელ "გესტაციურ პერიოდში", რომლის მანძილზეც სამშობლოში დაბრუნებას ელოდი. "ზავი" - მაცვიფრებს ამ წიგნის სიცოცხლისუნარიანობა, მაშინ როცა იგი თავისუფლად შეიძლებოდა დაღდასმული ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვითა და უნუგეშო სასოწარკვეთით. შენი ცხოვრებასთან შერიგება შედგა სამყაროში, რომელიც ზოგჯერ პირველყოფილ ქაოსს ჰგავს. თუმცა ისე გასაოცრად დაინტერესებული ჩანდი გარემომცველი სამყაროთი, თითქოს მზად იყავი ყველაფრისგან სიამოვნება და ცოდნა მიგეღო. მე კი, აი, რა კითხვა გამიჩნდა - მიუხედავად შიმშილისა, სიცივისა და მღელვარებისა, იქნებ არც კი გაგიტარებია იმაზე უფრო კარგი დრო, ვიდრე, როგორც შენ აღნიშნავ, ის "შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის ინტერვალი, ბედის დროული და განუმეორებელი საჩუქარი" იყო. ისეთი ადამიანი ჩანხარ, რომელიც ფესვების ქონის ღრმა საჭიროებას განიცდის - იქნება ეს პროფესიაში, თემში, ადგილში, თუ ენაში. არადა, როდესაც წარმოუდგენლად მარტო და ფესვებს მოწყვეტილი აღმოჩნდი, ეგ მდგომარეობა "საჩუქრად" შერაცხე.

**პრიმო ლევი:** ერთმა ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა ექიმმა (ნატალია გინზბურგის ძმა იყო, იცნობ მის შემოქმედებას? ისიც ლევია, მაგრამ ჩემი ნათესავი არაა) დიდი ხნის წინ მითხრა: "შენი აუშვიცამდელი და შემდგომი მოგონებები შავთეთრია. აუშვიცის და სამშობლოსკენ მომავალი მოგზაურობის მოგონებები კი - ფერადი." მართალიც იყო. ოჯახი, სახლი და ქარხანა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ის აკლიათ, რის დანაკლისსაც ახლაც ვგრძნობ - თავგადასავალი. ჩემს ბედისწერას სურდა, რომ თავგადასავალი ომისგან გავერანებული ევროპის აურზაურში მეპოვა.

შენც მწერალი ხარ და ასეთი რაღაცები კარგად გესმის. "ზავი" "განა ეს ადამიანიას?" დაწერიდან 14 წელიწადში დავწერე. იგი უფრო გათვითცნობიერებული, უფრო ლიტერატურული, კიდევ უფრო დამუშავებულია ენობრივი თვალსაზრისითაც. ნამდვილ ამბებს მოგვითხრობს, თუმცა ფილტრში გატარებულს. მას წინ უძღოდა უამრავი ზეპირსიტყვიერი ვერსია: იმის თქმა მინდა, რომ ამ ამბებს ბევრ, სხვადასხვა კულტურული დონის მქონე ადამიანს ვუყვებოდი (ძირითადად, მეგობრებს და უფროსკლასელ მოზარდებს) და დროდადრო ისე ვასხვაფერებდი მათ, რომ უფრო და უფრო მეტი კეთილგანწყობა დაემსახურებინათ. როდესაც წიგნმა "განა ეს ადამიანია?" წარმატება მოიხვეჭა, მე ჩემში მწერალი დავინახე და კალამს მივაშურე. წერით ჩემი და ჩემი მომავალი მკითხველების გართობა მინდოდა, სნორედ ამიტომ ყველაზე უცნაურ, ეგზოტიკურ და მხიარულ ამბებს მივანიჭე უპირატესობა, განსაკუთრებით კი, ახლოდან დანახული რუსების სახის აღწერას. წიგნის საწყისი და საბოლოო გვერდები, როგორც შენ იტყოდი, გლოვითა და უნუგეშო სასონარკვეთის განწყობით შევფერე.

რაც შეეხება ფესვების გადგმას, rootedness-ს; მე, მართლაც რომ, ღრმად მაქვს ფესვები გამდგარი და საბედნიეროდ ამ ფესვებს არ მოვწყდი. ჩემი ოჯახი გადაურჩა ნაცისტთა ხოცვა-ჟლეტას და დღესაც იმ სახლში ვცხოვრობ, რომელშიც დავიბადე. ჩემი საწერი მაგიდა, როგორც ოჯახური ლეგენდა იუწყება, სწორედ იმ ადგილზე დგას, სადაც ამ ქვეყანას მოვევლინე. ამიტომ, რასაკვირველია, როცა ფესვებს მოწყვეტილი აღმოვჩნდი, საშინელი ტანჯვა განვიცადე. თუმცა, ეს ტანჯვა გადაწონა თავგადასავლის ხიბლმა, ადამიანებთან შეხვედრებმა, აუშვიცის ჭირისგან გამოჯანმრთელების სიტკბომ. რუსული "ზავი" ისტორიულ კონტექსტში მხოლოდ წლების შემდეგ აღვიქვი ბედის საჩუქრად, მას შემდეგ რაც იგი მასზე ფიქრითა და წერით განვწმინდე.

**ფილიპ როთი:** "თუ ახლა არა, მაშ, როდის?" შენი ყველა აქამდე წაკითხული ნაწარმოებისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით რეალურ ისტორიულ მოვლენებზეა დაფუძნებული, იგი ავანტიურულ რომანს ჰგავს, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე რუსი და პოლონელი ებრაელების პატარა პარტიზანული დაჯგუფების გერმანელებზე თავდასხმის ამბებს მოგვითხრობს. სხვა ნაწარმოებების ფაბულებში ნაკლებადაა ფანტაზიის ელემენტები, სამაგიეროდ ისინი მაცვიფრებენ გამომგონებლური ენობრივი ტექნიკით. შემოქმედებითი იმპულსი, რომელიც "თუ ახლა არა, მაშ, როდის?" უკან დგას, თითქოს უფრო შეზღუდული და არასრულია - შესაბამისად, ნაკლებად განმათავისუფლებელი ეფექტის მქონე ავტორისთვის - ვიდრე ის იმპულსი, რომელიც ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს წარმოშობს. მაინტერესებს, თუ მეთანხმები შემდეგში: აჯანყებულ ებრაელთა სიმამაცეზე წერით, შენ გრძნობდი, რომ აკეთებდი იმას, რისი გაკეთებაც გმართებდა, თითქოს იმ პოლიტიკური და მორალური შურისძიების შემოქმედი იყავი, რომლის მსგავსი არსად მოხდა და თანაც ეს იყო შენი, ცხადად ებრაული ბედისწერა.

**პრიმო ლევი:** "თუ ახლა არა, მაშ, როდის?" არის წიგნი, რომელსაც განსხვავებული ბედი ხვდა წილად. მიზეზი, რომელთა გამოც ის დავწერე, რამდენიმეა. აქ მათ მათი მნიშვნელობის მიხედვით ჩამოვთვლი:

რაღაც სანაძლეოს მსგავსი დავდე საკუთარ თავთან: ამდენი პირდაპირი, თუ შენიღბული ავტობიოგრაფიის შემდეგ, ხარ თუ არა ნამდვილი მწერალი, რომელსაც შეუძლია შეთხზას რომანი, შექმნას პერსონაჟები, აღწეროს სიტუაციები, რომლებშიც არასდროს მოხვედრილა? აბა სცადე!

გართობა მსურდა უჩვეულო გარემოში მომხდარი western-ის სტილის ისტორიის წერით. მინდოდა ჩემი მკითხველები გამერთო ოპტიმისტური ისტორიით, რომელშიც არის იმედი და ზოგჯერ მხიარულებაც. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი ხოცვა-ჟლეტის ფონზე ვითარდება.

მინდოდა იტალიაში იმ დროს გაბატონებული სტერეოტიპი დამემსხვრია: ებრაელი არის უწყინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სნავლული (მორწმუნე ან ათეისტი), რომელსაც არ ძალუძს აჯანყება და რომელიც ჯანყის გარეშე იტანს საუკუნოვან დევნას. ვალდებული ვიყავი პატივი მიმეგო იმ ებრაელებისთვის, რომლებმაც უიმედო მდგომარეობაშიც კი იპოვეს ძალა და ჭკუა, რომ ნაცისტებს აღსდგომოდნენ წინ.

იმის ამბიციაც მქონდა, რომ პირველი იტალიელი მწერალი ვყოფილიყავი, რომელიც იდიშურ სამყაროს აღწერდა. მსურდა ჩემი პოპულარობა იმისთვის "გამომეყენებინა", რომ იტალიელი მკითხველისთვის მიმეწოდებინა მათთვის აქამდე უცნობი აშქენაზი ებრაელების კულტურის, ენის, მენტალობის და ისტორიის ამსახველი... აღმწერი წიგნი.

ეს მიზეზები სხვადასხვაგვარად შეფასდა ყველა იმ ქვეყანაში, რომელშიც წიგნი გამოქვეყნდა. იტალიაში მას ყველა ასპექტით წარმატება ხვდა წილად. იმავეს ვიტყოდი ინგლისსა და გერმანიაზეც. ყოველ შემთხვევაში საზოგადოებისა და კრიტიკოსების პირველი რეაქციები ამაზე მეტყველებს. საფრანგეთში მას თითქმის არ მოჰყვა გამოხმაურება. ამერიკის შეერთებულ შტატებში წიგნი ზომიერად წარმატებული გამოდგა: ებრაული ცხოვრების წესი ამერიკელებისთვის კარგად იყო ცნობილი და მასზე ხელახლა ლაპარაკს უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ასევე, ამერიკელი მკითხველი ერთ რამეს მიხვდა: ეს ებრაული წიგნი დაწერილი იყო არა ებრაელის მიერ, არამედ იმ ადამიანის მიერ, ვინც შეეცადა გამხდარიყო ებრაელი ტექსტების შესწავლითა და ისტორიების მოსმენით.

პირადად მე ამ წიგნით კმაყოფილი ვარ, საკმაოდ ვისიამოვნე მისი დაგეგმვის და წერის პროცესით. პირველად და ერთადერთხელ ჩემი სამწერლო კარიერის მანძილზე, ვხედავდი (ან მეჩვენებოდა) ცოცხალ პერსონაჟებს ჩემს ირგვლივ, რომლებიც თავად მიყვებოდნენ თავიანთ თავგადასავლებსა და დიალოგებს. ის წელი, როცა ამ წიგნის წერა დავიწყე, ჩემთვის ძალიან ბედნიერი აღმოჩნდა. ამიტომ, შედეგის მიუხედავად, ეს წიგნი ჩემთვის განმათავისუფლებელი ეფექტის მქონე გახდა.

**ფილიპ როთი:** ახლა საღებავების ქარხანაზე ვისაუბროთ. დღეს ბევრი მწერალი მასწავლებლად მუშაობს, ზოგიც - ჟურნალისტად, 50 წელს გადაცილებულ მწერალთა უმეტესობას კი ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო სამსახურში აქვს ნამსახურები. შთამბეჭდავი რაოდენობის მწერლებს წიგნების წერასთან ერთად ექიმად უმუშავია, ხოლო არანაკლებია იმათი რიცხვი, ვინც სამწერლო საქმის პარალელურად ღვთისმსახური იყო. ტ. ს. ელიოტი გამომცემელი გახლდათ, ხოლო უალეს სტივენსი და ფრანც კაფკა მსხვილ სადაზღვევო კომპანიებში იყვნენ დასაქმებულები. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ორი დიდი მწერალი მუშაობდა საღებავების ქარხნის დირექტორად: შენ ტურინში, იტალიაში და შერვუდ ანდერსონი ელირიაში, ოჰაიოს შტატში. ანდერსონს ქარხნის (და ოჯახის) მიტოვება მოუხდა, რათა მწერალი გამხდარიყო. შენ კი პირიქით, მწერალი იმიტომ გახდი, რომ ქარხანაში დარჩი და იქ მოღვაწეობა განაგრძე. მაინტერესებს, თავს უფრო იღბლიანად და წერისთვის შეიარაღებულად მიიჩნევ, ვიდრე ჩვენ, რომელთაც ზურგს საღებავების ქარხანაში მიღებული გამოცდილება არ გვიმაგრებს?

**პრიმო ლევი:** საღებავების ინდუსტრიაში შემთხვევით მოვხვდი. უშუალოდ საღებავით თითქმის საერთოდ არ ვიყავი დაკავებული: პირველივე წლიდან ჩვენი ქარხანა საიზოლაციო საღებავებს აწარმოებდა სპილენძის ელექტრული სადენებისთვის. იმ დროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ საქმის მხოლოდ 30 თუ 40 სპეციალისტი მოიძებნებოდა. სწორედ ასეთი სადენებისგან არის გაკეთებული ის ცხოველები, ჩემს კაბინეტში რომ ნახე.

სიმართლე გითხრა, შ. ანდერსონის ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცოდი. მისი მოკლე ბიოგრაფია მხოლოდ გუშინ ვნახე. არა, მე არასდროს მომსვლია აზრად მასავით ქარხნისა და ოჯახის მიტოვება, რათა მწერლობისთვის მიმეძღვნა თავი. ამ ნაბიჯის გადადგმა შემეშინდებოდა და, რაც მთავარია, პენსიასაც დავემშვიდობებოდი.

საღებავებით დაკავებული მწერლების შენს მოკლე სიას კიდევ ერთი სახელი უნდა დავუმატო - იტალო ზვევო (1861-1928), ტრიესტელი ებრაელი, რომელიც კათოლიციზმზე მოექცა. იგი ტრიესტში საღებავების კომპანია Societa Veneziani-ში მუშაობდა, რომელიც მის სიმამრს ეკუთვნოდა და რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიხურა. ეს საკმაოდ ცნობილი კომპანია 1918 წლამდე ავსტრიულ ფლოტს საბრძოლო გემებისთვის წყალქვეშა ნაწილზე წყალმცენარეებით დაფარვის საწინააღმდეგო საღებავებით ამარაგებდა. ეს იმიტომ, რომ 1918 წლამდე ტრიესტი ავსტრიის შემადგენლობაში იყო. მას შემდეგ, რაც ტრიესტი იტალიის შემადგენლობაში შევიდა, კომპანიამ იტალიური და ინგლისური ფლოტის მომარაგება დაიწყო. British Admiralty-სთან ურთიერთობა რომ შესძლებოდა, ზვევომ ინგლისურის შესწავლა ჯეიმს ჯოისთან დაიწყო, რომელიც იმ დროს ტრიესტში მასწავლებლად მუშაობდა. ჯოისი ზვევოს დაუმეგობრდა და მას ნაწარმოებების გამოქვეყნებაში დაეხმარა.

ზემოთ ნახსენებ საღებავს მორავეია ერქვა. ეს დამთხვევა ცნობილი იტალიელი მწერლის სახელთან შემთხვევითი არაა. ტრიესტელმა მწარმოებელმაც და რომაელმა მწერალმაც ეს ფსევდონიმი დედის მხრიდან საერთო ნათესავისგან აიღეს. თუმცა, ბოდიშს გიხდი ამ უადგილო ჭორებისთვის.

დიახ, როგორც აქამდე აღვნიშნე, არაფერს ვნანობ. არა მგონია, ქარხნის დირექტორობით დრო ტყუილად გამეფლანგა (საღებავების იყო ეს ქარხანა თუ სხვა რამის). განსხვავებული და ძვირფასი გამოცდილება შევიძინე, რომელიც აუშვიცში განცდილს დაემატა და შეერწყა.

# იკითხე საუკეთესო


















პალიტრა L
გამომცემლობა
www.palitral.ge

„რჩეული მოთხრობები“ XX და XXI საუკუნეებში ქართველი მწერლების მიერ შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებს აერთიანებს.

სერიის მიზანი თანამედროვე ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და მათი ნაწარმოებების მკითხველთა ფართო წრისათვის გაცნობაა.



















**არადგინეთ ფასდაკლების ვაუჩერი „სულაკაურის წიგნის მაღაზიებში“**
**იიღეთ 20%-იანი ფასდაკლება „რჩეული მოთხრობების“ სერიის წიგნე**

სულაკაურის
წიგნის მაღაზია

www.sulakauri.ge
(+995) 32 291 11 65

*„სულაკაურის წიგნის მაღაზიის“ მისამართებია:*

- „გლდანი მოლი“, G სართული
- „სითი მოლი საბურთალო“, 1-ლი სართული
- ჭავჭავაძის გამზირი №15
- ცინცაძის ქუჩა №2
- „გალერია თბილისი“, -1 სართული
- „ისთ ფოინთი“, მთავარი მოედანი

გამოყენების ვადა: 31.08.2021